ქართველობის გადასარჩენად

გაზეთი გამოდის 1999 წლიდან

# ილორი

E-mail: r.jalagania@mail.ru

№151 (210) 27 დეკემბერი-3 იანვარი 2012 სახალხო მოძრაობა „სამეგრელოს“ ორგანო 30 თეთრი

# გილოცავთ ახალ 2012 წელს!

სახალხო მოძრაობა „სამეგრელოს„ გაზეთ „ილორის„ რედაქციას და სრულიად საქართველოს მოსახლეობას გულითადად გულოხავ ახალ 2012 წლის შემოგრძანებას! ძვირფასო მეგობრებო! გისურვებთ ბედნიერებას, წარმატებას, ჯანმრთელობას, ქვეყნის დახსნას შაგგნელი ძალების კლანჭებისაგან, დამოუკიდებელ, თავისუფალ, დემოკრატიულ, ბედნიერ საქართველოში ცხოვრებას!

სიყვარულითა და პატივისცემით,

ალექსანდრე ჭაჭია

ალექსანდრე ლაზი

## საქართველოს მთლიანობა დამილოცე

ახალი წლის მობრუნებას გაუმარჯოს,
მაშ შეავსეთ, სადღეგრძელო ახლის მთქმელი,
დრო ისეთი მოსულიყოს მტრის ჯინაზე,
საქართველოს მტრებისათვის საკვირველი.
მენატრება ჩემი ძველი მინდორველი,
წინაპართა სალაღობო მთა და მდელო,
მაშ, შეავსე, მერიქიფევ სასმისები,
ერთად შევსვათ ახალი წლის სადღეგრძელო.
შენ თამადავ, ერთი სტუმარს დამიხედე,
თუ არა სვამს, სუფრასთან არ გააჩერო,
საქართველოს სადღეგრძელოს თუ არ დალევს,
რად აჩერებ, ასეთ სტუმარს, მასპინძელო.
ჩემო ერო, თმაჭაღარა მყინვარწვერო,
დიდი შოთას და ილიას აკვნის მრწებო,
დამილოცე საქართველოს მთლიანობა,
წინაპართა... ერთად შევსვათ სადღეგრძელო.
წელო, წელო, მომავლისთვის ბევრის მთქმელო,
ქართველების ამისრულე ნატვრა ერთი,
ჩვენი ქვეყნის მთლიანობა დამილოცე,
პატარებმა რომ იწამონ მაღლა ღმერთი.

## კიდევ ერთი წელი გაილია და ახალი წელი მოგვადგა კარს, ახალ იმედთა მომლოდინეთ!

ბედნიერი იყოს თქვენთვის – ეს წელი მაინც! “მაინც”, იმიტომ, რომ გასულ წლებს უბრალო მოკვდავთათვის სახეირო არაფერი მოუტანია და მათი მძიმე მდგომარეობა კიდევ უფრო დამძიმებულია. მაგრამ, ახალი წელი ხომ ახალი იმედების წყარო და მომავალი სიკეთის მაუწყებელია!

სწორედ ეს იმედი ნუ მოგიშალოთ ღმერთმა, ჩვენო საყვარლებო და ძვირფასო ადამიანებო!

უფრო მძიმე წლები სდგომია საქართველოს, მაგრამ ვაუკაცურად გადაუტანია. ჩვენც უნდა გავუძლოთ საქართველოს სულითა და ხორცით არაქართული ხელისუფლების მიერ თავსმოხვეულ ქართველი ერის სულიერი და ფიზიკური განადგურების პოლიტიკას, რადგან, ნებისმიერი სახადი, რაოდენ დაუძლეველიც არ უნდა იყოს, დიდხანს მაინც ვერ ბოგინობს და ადრე თუ გვიან აღსასრული დაუდგება ხოლმე! იმედი უნდა ვიქონიოთ, რომ საქართველოში დასავლეთის უზნეობის ჯუნგლებიდან მონაბერ ქარს შემოყოლილი “ნაციონალების” ხელისუფლება მალე კვლავ ქარს გაჰყვება, ჩვენს სამშობლოს სადაგი დღეები დაუდგება და ქართველი ერიც მშვიდად ამოისუნთქებს!

2011 წელი მიილია და მას სირცხვილის აჩრდილად თან გაჰყვა ნაციონალთა და მათი “ბელადის” სამი წლის წინანდელი ომახიანი შეპირება იმის თაობაზე, რომ მალე პენსია ასი დოლარის ექვივალენტი გახდებაო. ყველაფერი პირიქით მოხდა – ხელისუფლების მიერ გატარებული არაგონივრული პოლიტიკის წყალობით წამლებზე, პირველადი მოხმარების საგნებსა და საკვებ პროდუქტებზე ფასები იმდენად გაიზარდა, რომ პენსიონერებს, ფაქტიურად, აქამდე რომ იღებდნენ, ის მათხოვრული პენსიაც კი გაუნახევრდათ.

ვისაც კიდევ ჰქონდა ამ ხელისუფლების იმედი, იმასაც გაუქრა!

მიუხედავად ამისა, ჩვენი ხელისუფლება კვლავ აგრძელებს თავის იაფფასიან სატელევიზიო შოუებს და ვითომ “ხალხისადმი თანაგრძნობით” გამსჭვალული პრეზიდენტი, პარლამენტის თავმჯდომარე თუ უმრავლესობის წარმომადგენელი დეპუტატები ხან ერთ პენსიონერს ესტუმრებიან, ხან მეორეს და იაფფასიანი დაპირებებით კვებავენ მომავლის იმედგადაწურულ, გაჭირვებისაგან იმედდაჩლუნგებულ ხალხს.

მაგრამ საქართველოს უკვე აღარ სჯერა მათი! აღარ სჯერა, იმიტომ, რომ მიხეილ სააკაშვილის ხელისუფლებამ ქართველ ხალხს მხოლოდ განუკითხაობა, შიმშილი, ახალი ტერიტორიების დაკარგვა და ვაება მოუტანა!

იმიტომ, რომ ხელისუფლებამ იურიდიულად გააფორმა აფხაზეთისა და სამაჩაბლოს საქართველოსაგან მოწყვეტა და ახლა ყასიდად ფაფხურობს საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის აღსადგენად! იმიტომ, რომ ამ ხელისუფლებამ ხალხს გაუყიდა ყველა სტრატეგიული ობიექტი და ეკონომიკა ერთ მუჭა „ნაციონალ“ მყვლეფავებსა და მთქვლეფავთ ჩაუგდო ხელთ!

იმიტომ, რომ ჯერ პირადობის მოწმობიდან გაგვიქრეს მამის სახელისა და ეროვნების მიმანიშნებელი გრაფა, ახლა კი ყოველნაირად ცდილობენ ქართველი ერის გაუსახურებას!.

იმიტომ, რომ ამ ხელისუფლებამ დღისით-მზისით, ხალხის თვალწინ დაუნდობლად დახვრიტა უდანაშაულო ახალგაზრდები!

იმიტომ, რომ საქართველოში კატასტროფულად დიდია ბავშვთა სიკვდილიანობა უჭმელობის, ავიტამინოზისა და პრეპარატების ხელმიუწვდომლობის გამო. პირველ ლედის კი უთქვამს, რომ საჭიროა ახალშობილთა მშობლებს სათანადო ლიტერატურა დავურიგოთ, რათა ბავშვების კარგად მოვლა ისწავლონო! არა მგონია, ქართველ დედას ვინმემ დედობა ასწავლოს, აი, სააკაშვილს კი ნამდვილად სჭირდება იმის სწავლება, რომ საკუთარი ხალხი შიმშილით სიკვდილის საშიშროების წინაშე არ დააყენოს!

იმიტომ, რომ საქართველოში კატასტროფულად გაიზარდა თვითმკვლელობათა სტატისტიკა! იმიტომ, რომ ამ ხელისუფლებამ ერთიანად გაანადგურა განათლების სისტემა და სამეცნიერო-კვლევითი დაწესებულებები!

იმიტომ, რომ ღვაწლმოსილი ადამიანები “ჩარეცხილებში” ჩარიცხა!

იმიტომ, რომ ამ ხელისუფლებამ მკვეთრად გაზარდა უმუშევართა რიცხვი, რის გამოც ლუკმა-პურის საძებრად საქართველოდან შორეულ უცხოეთში გადახვეწილია ერთ მილიონზე მეტი ქართველი!

იმიტომ, რომ ხელისუფლებას აღარც ეკლესია ენაღვლება და აღარც ხალხი!

იმიტომ, რომ ყველა სახელისუფლო სტრუქტურაში და მათ სატელიტ არასამთავროებში თვალთმაქცობა და უტიფრული სიცრუეა დავანებული!

იმიტომ, რომ ხელისუფლების ნებიერა არასამთავროები და იქ მოკალათებული მახინჯები სულიერი და ხორციელი გარყვნისაკენ მიუძღვიან ქართველ ახალგაზრდობას!

იმიტომ, იმიტომ, იმიტომ...

უსასრულოა ყველა იმ უკეთურობის ჩამონათვალი, რაც ამ ხელისუფლებამ ქართველ ხალხს შეაჩეჩა ხელში! მაგრამ მაინც სულდგმულობს იმის იმედი, რომ “ნაციონალების” ხელისუფლება მალე ისტორიის სანაგვეზე აღმოჩნდება და ხალხის მეხსიერებას უკეთურ სიზმრად შემორჩება საქართველოში მათი ბოგინის ავადსახსენებელი წლები!

ამის იმედად მყოფნი მოგილოცავთ ახალი 2012 წლის დადგომას, გისურვებთ გაძლებას, ჯანმრთელობას და ხანგრძლივ სიცოცხლეს!

გაზეთ “ილორის” რედაქცია.

# გადაათქმევინეთ ამ შლეგს, თორემ მართლა დაგვაქცია თავზე ქვეყანა!

## სააკაშვილი: „ჩვენ ავაშენებთ ქალაქს!“

### ახალი “ვასიუკები” სამეგრელოში

მოკლედ, ჩაღწია სამეგრელოშიც ოსტაპ ბენდერმა და ისეთი დაპირებებით აღანთო მეგრელები, რომ საწყლად პირდაბჩენილ ძუკუებს დღესაც ვერ მოუხერხებიათ ტუჩების მოპრუწვა.

საქართველოს პრეზიდენტი მიხეილ სააკაშვილი, 2011 წლის 4 დეკემბრის დასაწყისში სამეგრელოს ესტუმრა და ზუგდიდში, დადიანების სასახლესთან შეკრებილ მოსახლეობას სიტყვით მიმართა. ადგილობრივებს პრეზიდენტმა ახალი ინიციატივა გააცნო, რომლის განხორციელებაზე მუშაობაც, მისი ადმინისტრაციის ინფორმაციით, უკვე დაწყებულია.

სააკაშვილის თქმით, ანაკლიასა და ყულევს შორის დაფუძნდება ახალი ქალაქი სახელწოდებით ლაზიკა. გეგმის თანახმად, ლაზიკა დასავლეთ საქართველოს მთავარი სავაჭრო, ეკონომიკური და ბიზნესცენტრი გახდება, საქართველოსთვის კი ის მთავარი ცენტრის ფუნქციას შეიძენს შავი ზღვისპირეთის მასშტაბით. მისი დანიშნულება კი, ილფისა და პეტროვის არ იყოს, ალბათ საპლანეტთაშორისო ტურნირის მოწყობა იქნება ჭადრაკში!

პრეზიდენტის თქმით, 10 წელიწადში (მოკლედ, ათი წელი კიდევ მაბატონეთ საქართველოზეო. რვა წელიწადში ხომ აგვაშენა ქართველები, **“დარჩენილ”** ათ წელიწადში სრულიად საქართველოს ნამდვილად გადააქცევს **“ახალ”** სასომხეთად) ლაზიკა თბილისის შემდეგ სიდიდით მეორე ქალაქი იქნება, მინიმუმ, ნახევარმილიონიანი მოსახლეობით. ამ ქალაქის მშენებლობასთან დაკავშირებით უკვე დაწყებულია მოლაპარაკებები რამდენიმე მსხვილ საინვესტიციო ჯგუფთან აზიასა და ევროპაშიო.

მიხეილ სააკაშვილმა ყველა ქართველს, მათ შორის, უცხოეთში წასულ მოქალაქეებსა და აფხაზეთიდან დევნილ ხალხს მოუწოდა, რომ ახალი ქალაქის მშენებლობაში მიიღონ მონაწილეობა. მან ისიც აღნიშნა, რომ სამშენებლო სამუშაოები მომავალ წელს დაიწყება, რომელზეც რამდენიმე ათასი ადამიანი დასაქმდება. არქიტექტორებისთვის კი ლაზიკას მშენებლობასთან დაკავშირებით უახლოეს მომავალში კონკურსი მთელი მსოფლიოს მასშტაბით გამოცხადდებაო.

გამოსვლისას საქართველოს პრეზიდენტმა ზუგდიდის მასშტაბური რეკონსტრუქციის დაწყების შესახებაც ისაუბრა და მოსახლეობას ქალაქის რეაბილიტაციის პროექტის დეტალები გააცნო. მიხეილ სააკაშვილის თქმით, სარეაბილიტაციო სამუშაოები უკვე დღეიდან დაიწყება და მიზნად ზუგდიდის სამეგრელოს მთავარ ცენტრად გადაქცევას ისახავს.

მოკლედ, კალიგულასი არ იყოს, ცხენიდა დარჩა პალამენტში შესაყვანი, რომის ამ თავნება იმპერატორივით!

ინდაურები ხომ პარლამენტში ისედაც თავზესაყრელად ჰყავს, რომლებიც მიშას ყოველ დასტვენაზე აფხორილები ასტეხავენ ხოლმე **“ყურლუმ-ბურლუმ”**-ს!

მართლა აგონიაში იმყოფებიან სააკაშვილი და ნაციონალები. მოვიდა ერთი ჩუმი და საქმის მკეთებელი ადამიანი და მდუმარებით დაამარცხა ყბედებისა და ფუქსავატების ვითომ **“ნაციონალური”**, სინამდვილეში კი **“ნაცისტური”** ბრბო.

უცხოელი ინვესტორები თბილისში, რუსთაველის გამზირზე მდებარე გაუდაბურებულ 5 დიდებულ შენობაში არ დებენ ფულს და სამეგრელოს ჭაობებში ჩადებენ? ამ შენობებში ხომ დიდებული ოფისების მოწყობა შეიძლებოდა, რაც მოკლე ხანში ამოიღებდა დანახარჯს, მაგრამ საქართველოს ხელისუფლების მიერ ებრაელი ბიზნესმენების დაპატიმრება-დაყაჩაღების შემდეგ რომელი ჭკუათმყოფელი უცხოელი ბიზნესმენი გაბედავს საქართველოში საინვესტიციო თანხის დაბანდებას?

ყველაზე **“დიდ”** ქართველ გამინისტრებულ ბიზნესმენს კახა ბენდუქიძეს (რომლის რუსეთში დაგროვილი კაპიტალი, რატომღაც, სააკაშვილსა და მის **“ნაციონალ”** თანამზრხველებს დღეს სრულებით არ ახსენდებათ), როგორც იტყვიან, ძალით აყიდინეს ყულევი, რადგან თურმე ერთხელ მოწვეულმა ინვესტორობის კანდიდატებმა ჰკითხეს: თუ ასეთი კარგი საინვესტიციო გარემო გაქვთ, თქვენ თავად რატომ არ დებთ ფულსო. ინვესტიცია კი არა, ბენდუქიძეს საკუთარი სახლის ყიდვა არ უნდოდა ამ დაქცეულ ქვეყანაში და სასტუმროში ცხოვრობდა.

შემდეგ ჩაყარა ფული ყულევში და იქიდან სარგებელი არაფერი მიუღია. ხოლო, თუ როგორი უსაფრთხო და ხელსაყრელი საინვესტიციო გარემოა საქართველოში, ამაზე უკვე სერიოზულად მხოლოდ ნაციონალთა მიერ **“მოთაფლული”** საერთაშორისო კვლევითი ორგანიზაციები საუბრობენ. მათი მთავარი არგუმენტი მხოლოდ ისაა, რომ საქართველოში, თურმე, რამდენიმე საათში შეიძლება ფირმის დარეგისტრირება, მაგრამ, შემდეგ როგორ იფუნქციონირებს ეს ფირმა ქვეყანაში, სადაც ყოველ დარგს წურბელებად ასხედან თავზე ხელისუფლების მიერ წახალისებული მონოპოლისტები, ამაზე უკვე აღარავინ საუბრობს! არა და, რატომღაც, ყველას ურჩევნია, რომ, თუნდაც როგორც რუსეთში, ფირმის რეგისტრაციას რამდენიმე დღე მოანდომოს, შემდეგ კი ყოველგვარი ხელოვნური დაბრკოლებების გარეშე იმუშაოს!

სწორედ ხელოვნური თუ ბუნებრივი სიძნელეების მოძალების გამოა დღეს სამეგრელოში ყოველი მეორე სახლი დაკეტილი, რადგან მათი მფლობელები უცხოეთში არიან გახიზნულები ლუკმაპურის საშოვრად. საიდან მოიყვანს ახალი ქალაქის შესავსებად ნახევარ მილიონ ადამიანს მიხეილ სააკაშვილი? ალბათ იქაც ჩინელებს, ბურებს, ზანგებს, სომხებს ან თურქებს ჩაასახლებს!

უნიკალურ ჭურიის ნაკრძალსაც გაანადგურებს, ტორფიან ადგილებსაც მოსპობს და ვერც ქალაქს ააშენებს. უფრო სწორად, თუ ტორფნარი გაშრა, გამორიცხული არ არის მიწისქვეშა ხანძრები, რაც უკვე გლობალური ეკოლოგიური კატასტროფების მიზეზად შეიძლება იქცეს.

შეგახსენებთ: მოსკოვის შემოგარენში თითქმის ყოველ ზაფხულს უჩნდება ხანძარი ტორფის მიწისქვეშა საბადოებს, რაც იმის მიზეზით ხდება, რომ იქ ჭაობები გაუაზრებლად დააშრეს კომუნისტური მმართველობის ჟამს. იმასაც შეგახსენებთ, რომ გულის სისხლძარღვის დაავადების ადამიანებს შორის სიკვდილიანობის ლამის 70 პროცენტით მატება სწორედ ტორფის ხანძრების დროს მოდის, როცა ეს ვეებერთელა ქალაქი შხამიანი ბოლის საფარველში გაეხვევა ხოლმე, და მიუხედავად იმისა, რომ ამ უმძლავრესი მეგაპოლისის სპეციალური სამსახურები ამ ხანძრის ქრობით არიან ხოლმე დაკავებულები, მაინც ვერაფერს ხდებიან ამ ბუნებრივ კატაკლიზმთან. ჩვენ კი, ჩვენი მწირი შესაძლებლობების ფარგლებში, მხოლოდ მეთვალყურის როლს უნდა დავჯერდეთ, ვიდრე ტორფის მარაგი მთლიანად არ ამოიწვება. ალბათ ძნელი გასაზრებელი არ არის, თუ რა უბედურებას მოგვიტანს ამგვარი გამანადგურებელი ბუნებრივი მოვლენა!

გარდა ამისა, ჭურია და მისი შემოგარენი, სადაც მიხეილ **“დამაქცევარი”** ახალი ქალაქის გაშენება აპირებს, გადამფრენი უნიკალური და წითელ წიგნში შეტანილი გარეული ფრინველების სატრანზიტო დერეფანია და ამიტომაც არ შეიძლება ჩიტირეკია სააკაშვილის მიერ კაბინეტში გააზრებული სისულელის სისრულეში მოყვანა. საჭიროა ამ შიზოიდური ადამიანის თავიდან ამოფრენილი გეგმის შესაჩერებლად ჩაერთოს გაერო და სააკაშვილს აუკრძალონ ბოდვითი იდეების რეალიზება.

ადამიანებს ხომ მოსვენება და სიცოცხლის ხალისი დაუკარგა ამ მართლაც დიქტატორმა, ახლა ფაუნასა და ფლორასაც გადასწვდა!

შორეულ წარსულში, ჩვენი წინაპრები, რომლებიც ჯერ კიდევ **“ბარბაროსებად”** იწოდებოდნენ, მიხვდნენ იმას, რომ ჭაობიან ადგილზე ქალაქის თუ ციხე-სიმაგრის აგება წმინდა წყლის სისულელე იყო. აი, რას ამბობენ წყაროები:

**“შავი ზღვის ნაპირიდან რიონის აღმა აყოლებით ასოთხმოც სტადიონზე ანუ მისი ექვივალენტური ოცდათექვსმეტ კილომეტრზე, დაახლოებით იქ, სადაც ტეხური შეერთვის რიონს, დღევანდელ სოფელ ისულასთან, აიეტს დაუარსებია და აუშენებია ქალაქი-სახელმწიფო (პოლისი), მაგრამ იმის გამო, რომ ეს ადგილი მეტისმეტად დაბლობი და ჭაობიანი ყოფილა, თვით კოლხებს დაუნგრევიათ და მიწასთან გაუსწორებიათ. ქალაქი-სახელმწიფო უფრო მაღლობ და სტრატეგიული მნიშვნელობის ადგილზე გადაუტანიათ, მაგრამ სად გადაიტანეს ცნობილი არ არის”** (ამბროსი კილასონია. **“კოლხეთი სამი ათასი წლის წინათ, აიეტის მეფობის ჟამს”** გვ. 6).

ახლა წარმოიდგინეთ, რა დონის ბარბაროსები უნდა იყვნენ სააკაშვილი და მისი შემგულიანებლები, რომ ათეულობით საუკუნეების შემდგომ, დღევანდელი უახლესი ტექნოლოგიებისა და კომპეტენტური გეოლოგიური დასკვნების პირობებში, ქალაქი ააშენო იქ, რომლის მიზანშეწონილობას თვით მეფე აიეტიც კი განიხილავდა როგორც სულელურ და არაეფექტურ საქმედ.

ეჭვი არ გვეპარება, ხალხის პროტესტის შემდეგ იგი თავის ამერიკელ მფარველებს და სომეხ თუ თურქ თანამზრახველებს ეტყვის: **“ხედავთ, სწორედ თქვენთვის მინდა ამ ქალაქის აშენება, რადგან საქართველოში მისი შემვსები მოსახლეობა აღარ დარჩა. ველური ქართველები კი ჩემი ხელისუფლებიდან წასვლისთანავე ამ დიდებულ პროექტს ჩააგდებენ, ამიტომ, ყველაფერი უნდა იღონოთ საიმისოდ, რომ მე კვლავ საქართველოს უმაღლეს ხელისუფლად დავრჩეო”.** უკვე აღარაფერი უნდა გვიკვირდეს ამ გაუწონასწორებელი ადამიანისაგან, რომელიც გამარჯვებულიც კი ქვეყნისათვის საკმაოდ სახიფათო ავანტიურაზე მიდიოდა, ქართულ პოლიტიკურ არენაზე ბიძინა ივანიშვილის გამოჩენასა და რეალური მარცხის აღქმისთანავე კი საერთოდ დაჰკარგა ნორმალურად განსჯის უნარი და უტოპიაში გადავარდა.

ყველაზე დიდი უბედურება კი ის არის, რომ ვერავინ უბედავს დაარწმუნოს, რომ ამგვარი ავანტურისტული პროექტების გაჟღერებით უფრო ღრმად ჩამარხავს საკუთარ, ისედაც მიწასთან გასწორებულ პოლიტიკურ თუ პიროვნულ ავტორიტეტს.

ქალაქი, თანაც მსხვილი პოლისი, რომელშიც ნახევარ მილიონმა ადამიანმა უნდა დაიდოს ბინა, თანდათან, ათწლეულების განმავლობაში შენდება, რადგან მას უამრავი ინფრასტრუქტურა უნდა ახლდეს, რათა სრულფასოვნად შესძლოს ფუნქციონირება. უცებ და ფაცხა-ფუცხით კი ის საქათმეები და საღორეები შენდება, რომელიც 2008 წლის გაუაზრებელი ომის შემდეგ შიდა ქართლში მოძალებულ დევნილებთა ახალ ტალღას დაუდგეს.

**ალბათ კიდევ აპირებს ახალ ომს, სისხლისღვრას და ახალი დევნილებისათვის უნდა ახალი საქათმეების აშენება!**

**როლანდ ჯალაღანია,**
**„აიას“ და „ფაზისის“**
**აკადემიების წევრი**

## „ჯავახქის დიასპორა“ ჯავახეთის დაკარგვით გვემუქრება

რამდენიმე ხნის წინ რუსეთის **„ჯავახქის დიასპორამ“** საქინფორმის გვერდზე **„Facebook“**-ში შემდეგი განცხადება განათავსა:

„2008 წლის იანვარში, როდესაც საპრეზიდენტო არჩევნების პარალელურად საქართველოში ჩატარდა პლებისციტი შეკითხვაზე: **„გსურთ თუ არა, რომ საქართველო ნატოს წევრი გახდეს?“** – გამოცხადდა გაყალბებული შედეგები, რომელთა მიხედვით თითქოს სამცხე-ჯავახეთის მხარეში ამომრჩეველთა 70%-ზე მეტმა ქვეყნის ნატოში შესვლას მისცა ხმა. თუმცა საქართველოს წევრობა ნატოში სამცხე-ჯავახეთის ქართველი მოსახლეობისთვის მიზანშეუწონელია და ის მას მხარს ვერ დაუჭერდა, სულ მცირე, შემდეგი გარემოებების გამო:

– სამხედრო პოლიტიკური ალიანსის – ნატოს წევრობა ნიშნავს თურქეთის, როგორც ალიანსის წევრისათვის, მხარის ტერიტორიების შესაძლო გადაცემას, რაც სომეხი ხალხის მრავალსაუკუნოვან ბრძოლას და ისტორიას ეწინააღმდეგება;

– სამხედრო-პოლიტიკური ალიანსის – ნატოს წევრობა სომხეთის პირდაპირი გამოწვევაა, რამეთუ ეს ფაქტი მის ეროვნულ უსაფრთხოებას ემუქრება.

ზემოთქმულიდან გამომდინარე, ვაცხადებთ, რომ საქართველოს მისწრაფება სამხედრო პოლიტიკური ალიანსის – ნატოს წევრობისკენ სამცხე-ჯავახეთის სომეხთა პოლიტიკურ ნებას ეწინააღმდეგება, და ასეთი დიდი პოლიტიკური მნიშვნელობის მქონე საკითხის ამგვარი გაყალბებით, მხარის სომეხი მოსახლეობის აზრის უგულებელყოფით გადაწყვეტა მასებს კონფლიქტისაკენ უბიძგებს, რაც, საბოლოო ჯამში, გვაიძულებს, სეცესიისაკენ მოვუწოდოთ და გამოვაცხადოთ.

**რუსეთის „ჯავახქის დიასპორა“**
**2001 წლის დეკემბერი“**
**საქინფორმი**

## გამოცხადებული ომი თავისუფალი პრესის წინააღმდეგ, გამოუცხადებელი არჩევნების წინ!

დამოუკიდებელ მედიას მძიმე დროება დაუდგა. რაც უფრო ახლოვდება არჩევნები, თითოეული ჩვენგანი ამ სიმძიმეს სულ უფრო ნათლად გრძნობს. ჩვენთვის, დამოუკიდებელი მედიის ჟურნალისტებისთვის, დიდი ხანია საჯარო ინფორმაციის მოპოვებაც კი უდიდეს ძალისხმევასთან არის დაკავშირებული, მაგრამ ახლა საფრთხე უკვე ამ მძიმე შრომით მოპოვებული ინფორმაციის გავრცელებას ემუქრება. რაც უფრო ახლოვდება არჩევნები, საფრთხე მით რეალური და ხელშესახები ხდება. პოლიტიკურ კრიზისში მყოფმა ხელისუფლებამ ბრჭყალები გამოაჩინა და დამოუკიდებელ მედიას აშკარა ომი გამოუცხადა.

დამოუკიდებელ მედიაზე, განსაკუთრებით კი პრესაზე, იერიში პირველად პრეზიდენტმა მიხეილ სააკაშვილმა მიიტანა. მან ერთ-ერთი საჯარო გამოსვლისას წარმოუდგენელი რამ ბრძანა: საშინელი ქართული გაზეთების კითხვა არ ღირსო და საბიუჯეტო ორგანიზაციებს მოუწოდა, მათი გამოწერა შეეწყვიტათ. მალე ასეც მოხდა, ბევრმა საბიუჯეტო ორგანიზაციამ შეწყვიტა იმ გაზეთების გამოწერა, რომლებიც სახელისუფლებო მედიის სიაში არ მოიაზრებოდნენ, ხოლო დეპუტატები და სახელმწიფო მოხელეები ერთხანს გაზეთებს პიჯაკის ქვეშ საგულდაგულოდ მალავდნენ.

მასშტაბური ბრძოლა პრესასთან 2009 წელს დაიწყო. ერთ-ერთი **"მნიშვნელოვანი რეფორმა"**, რომელიც **"ვარდების რევოლუციის"** შემდგომ მოსულმა ხელისუფლებამ გაატარა, დედაქალაქის ცენტრალური უბნებიდან პრესის გამავრცელებელი ჯიხურებისა და სტელაჟების აღება იყო. თურმე, ისინი თბილისს ამახინჯებდნენ. ნათელი შეიქნა, რომ სტელაჟებისა და ჯიხურების აკრძალვა ჟურნალ-გაზეთების რეალიზაციაში ხელის შეშლას ისახავდა მიზნად. ბუნებრივია, რაც უფრო ნაკლებია სარეალიზაციო პუნქტი, მით ნაკლებია ტირაჟი, რაც ნაკლებია ტირაჟი, მით ნაკლებია შემოსავალი. ეს კი თავისუფალი მედიის განვითარების შესაძლებლობას კლავს და იძულებულს ხდის, რაღაცაზე ან ვიღაცაზე იყოს დამოკიდებული. ამას კი მედიის მწვავე რეაქცია მოჰყვა. ამ ამბავში დროულად ჩაერია საქართველოში აკრედიტებული დიპლომატიური კორპუსი და ხელისუფლებამ მაშინ **"უკან დაიხია"** – განაცხადა, ტენდერი გამოცხადდება და ვინც საუკეთესო დიზაინის ჯიხურებს შემოგვთავაზებს, ჟურნალ-გაზეთების პრესტიჟულ ადგილებზე გაყიდვის უფლებასაც ის მიიღებსო. პრესის გამავრცელებლებმა იმუშავეს და მერიას ჟურნალ-გაზეთების ჯიხურების დიზაინის რამდენიმე ნიმუში და იმ ადგილების სია წარუდგინეს, სადაც ჯიხურების დადგმას მოისურვებდნენ. მერიის დაპირება ტენდერზე გაჭიანურდა, ჩვენ კი სულ მალე გასაკვირი ამბის მოწმენი გავხდით: ერთ მშვენიერ დღეს, უტენდეროდ და უკონკურსოდ, თბილისის ქუჩებში, მათ შორის იქაც, სადაც ადრე სხვა გამავრცელებლების ჯიხურები იდგა, ხელისუფლებასთან დაახლოებული ფირმის, პრესის სარეალიზაციო (თუმცა, მოგვიანებით როგორც გაირკვა, ისინი სულ სხვა მიზნით, ე.წ. გარე რეკლამისთვის და ლატარიის ბილეთების სარეალიზაციოდ იყო განკუთვნილი)

ახალი ჯიხურები გამოჩნდნენ, ასევე ახალი გაზეთ **"პრაიმ ტაიმის"** სარეკლამო ბანერებით, თანაც სწორედ იმ დიზაინით, რომელიც მერიას გამავრცელებლებმა წარუდგინეს და სწორედ იმ ადგილებში, რომლებიც პრესის გამავრცელებლებმა თავიანთ პროექტში მიუთითეს(?).

როგორც ჩანს, უგულავას კანტორაში იფიქრეს, რაღა ჩვენ ვიმუშაოთ დიზაინზე, პრესის სარეალიზაციოდ მომგებიანი ადგილების შერჩევაზე ვიტეხოთ თავი, პრესის გამავრცელებლებს დავპირდეთ ყველაფერს, საქმე გავაკეთებინოთ და მერე **"გადავაგდოთო"**. ასეც მოხდა, მაგრამ მერიის ახალი პროექტი, რომელიც იმთავითვე პრესის გავრცელების მონოპოლიზაციისა და შემდეგ დამოუკიდებელი პრესის ჩასაძირად წამოიწყეს, სამარცხვინოდ ჩაფლავდა. ვერც ახალი გაზეთი **"პრაიმ ტაიმი"** გახდა ქართული პრესის ლიდერი და ვერც "vaid distribiuSen"-ის ჯიხურები პრესის გამავრცელებელთა ფლაგმანი – პრესის ასოციაციის ინიციატივით, გამომცემლობებმა ამ ჯიხურებში საკუთარი გაზეთები არ შეიტანეს!

**ხათუნა პაიჭაძე**

# ჭეშმარიტება და მხოლოდ ჭეშმარიტება

## ცალკეული სპეციალისტების მიერ ქართველური ენების უგულებელყოფის ცდის – როგორც არამეცნიერული, ანტიეროვნული აქტის – აღკვეთისა და ევროსაბჭოს კონვენციის მოთხოვნათა შესაბამისად ამ ენების დაცვის უზრუნველყოფის აუცილებლობის შესახებ

(გაგრძელება. დასაწყისი იხ. №146, 147, 148, 149, 150)

არავითარი სპეციალური ენათმეცნიერული განათლება არ არის საჭირო იმისათვის, რომ ვერკვეოდეთ: მეგრული, ლაზური (ჭანური) და სვანური დიახაც წარმოადგენენ ცალკე დამოუკიდებელ ენებს, – მომძე ქართველურ ენებს. მესამეკლასელი ბავშვისთვისაც უთუოდ ადვილი გასაგებია შემდეგი რეალობა:

მეგრული, ჭანური და სვანური რომ ენები არ იყვნენ და ქართულის ისეთივე დიალექტები იყვნენ, როგორიცაა კახური, იმერული, გურული და სხვა: 1) განა შეიძლება, შედგენილ იქნას მეგრულ-ქართული, სვანურ-ქართული, ლაზურ-ქართული, სვანურ-მეგრული და მისთანა ლექსიკონები, და რატომ არ შეიძლება ქართულ-ქართლური, კახურ-ქართული, კახურ-გურული, იმერულ-კახური და მისთანა ლექსიკონების შედგენა? ანდა: 2) რატომ ითარგმნება მეგრული, ლაზური და სვანური ქართულად და ასევე რატომ არ ითარგმნება ქართლური, კახური, გურული და სვანური? 3) რატომ შეიძლება დაიწეროს ლექსები და შესრულდეს სიმღერები სვანურ, მეგრულ და ლაზურ ენებზე, და არ შეიძლება, იგივე, – გურულ, კახურ, ქართლურ და სხვა დიალექტებზე? 4) რატომ სჭირდება შესწავლა ქართულისა მეგრელს, ლაზს, სვანს და არ სჭირდება იგი ქართლელს, კახელს, იმერელს და სხვებს? დაბოლოს: 5) ვინმეს სმენია ან წაუკითხავს სადმე, ცნებები: კახური ენა, იმერული ენა და მისთანანი, და, ვის არ სმენია და არ წაუკითხავს ცნებები: მეგრული ენა, ჭანური ენა, სვანური ენა. აქ კომენტარები ზედმეტია.

როგორც ეს ჩვენი გამოკვლევებით არის წარმოჩენილ-დამტკიცებული, მეგრული ენა მსოფლიოს ენებს შორის გამორჩეულია ლექსიკის განსაკუთრებული, გასაოცარი, დიახ ფანტასტიკური სიმდიდრით. იგი ათეულობით (მეტიც, ასეულობით) მილიონ სიტყვას ითვლის (ამაზე, კონკრეტულად, შემდგომ სტატიებში).

სხვა რომ არა იყოს რა, განა შეიძლება, ათობით (მეტი, ასეულობით) მილიონი სიტყვის მქონე ენა იყოს დიალექტი რომელიმე ათობით, გნებავთ, ასობით ათასი სიტყვის მქონე ენისა?

ცხადია, არა!

ჩვენ მიერ ჩატარებული გამოკვლევების შედეგები, საკუთრივ ცოცხალი ენობრივი მონაცემები ცხადყოფენ, რომ პროტოქართული, იგივე იაფეტური ენა, კოლხური ენა და მისი უშუალო გაგრძელება მეგრული ენა, სხვა ქართველურ ენებთან ერთად, ადამჟამიერი ენაა, ადამის ენაა (ამაზეც, შემდგომ სტატიებში).

მეგრული ენა, ლექსიკის გასაოცარი სიმდიდრისა და სიტყვათა აღწერილობითი ხასიათის მეშვეობით, წარმოადგენს საგანთა უნივერსალური სამყაროს უნივერსალურ მოდელს (ამაზეც ქვემოთ).

თანამედროვე მეგრულ ენაში ცოცხლად არის დაუნჯებული ამ ენის, ზოგადად ანუ საერთოდ ენის და სხვადასხვა ენის წარმოშობისა და განვითარების მთელი ისტორია, თავგადასავალი (ამაზეც ქვემოთ).

რომ მეგრული ენა გადაშენებულიყო, კაცობრიობა სამუდამოდ დაკარგავდა ენის წარმოშობის შესახებ საიდუმლოებით მოცული ცხრაკლიტულის გასაღებს.

და ბოლოს, კოლხური ენა, იგივე მეგრული ენა დიდი წმინდანებისა და ღმერთების ენაა.

კერძოდ, კოლხური ენა წმინდა ნინო კაბადოკიელისა და წმინდა გიორგი კაბადოკიელის, ანუ კოლხი წმინდანების ენაა, რადგანაც, როგორც წყაროები ასაბუთებენ, მაშინ კაბადოკიაში კოლხები მოსახლეობდნენ.

ამიტომაც, კოლხურ ენაზე ქადაგებდნენ ქრისტიანულ სარწმუნოებას კოლხეთში ჯერ კიდევ პირველ საუკუნეში ანდრია პირველწოდებული და სიმონ კანანელი, შემდგომში კი, მესამე საუკუნეში – წმინდა ნინო კაბადოკიელი და სხვანი.

მეტიც კიდევ: კოლხური ენა კოლხეთის მეფის აიეტის ენაა, აიეტისა, რომლის მამა იყო ჰელიოსი – მზის ღმერთი.

წყაროებისავე მიხედვით კოლხები იყვნენ ბერძენთა ღმერთებიც: ზევსი, ჰერა და სხვები.

და კიდევ მეტი: მარიამ ღვთისმშობელი და მისი მშობლები იერუსალიმელები იყვნენ: იერუსალიმში კი, წყაროებისავე მიხედვით, მაშინ კოლხები მრავლად მოსახლეობდნენ. ამიტომაც, ჩანს, შემთხვევითი არ ყოფილა ის ფაქტი, რომ საქართველო ღვთისმშობლის წილხვედრი ქვეყანაა.

ამრიგად, კოლხური ენა და მისი უშუალო გაგრძელება – მეგრული ენა – ღმერთებისა და დიდი წმინდანების ენაა. იგივე ითქმის ლაზურ და სვანურ ენებზეც.

ასეც რომ არ იყოს, მეგრული ენა, ასევე ლაზური და სვანური ენები, როგორც მსოფლიოს სხვა ენები, შექმნილია ქვეყნიერების შემქმნელი დიადი ძალის მიერ.

აი, როგორ ენასაც და ვის ენასაც ებრძვიან ისინი, ვინც მეგრულ ენას, (ასევე ლაზურ და სვანურ ენებს) უბიძგებენ გადაშენებისაკენ, ბოროტი განზრახვით გამოგონილი მოტივით, რომ თითქოსდა ამ ენების არსებობა ხელს უწყობდეს სეპარატიზმის გაღვივებას, და საშიშროებას წარმოადგენდეს ქართველთა ერთიანობისათვის.

გამორიცხული არც ის არის, რომ ცალკეულ გულუბრყვილო და საქმეში ჩაუხედავ და უბირ ადამიანებს სჯეროდეთ კიდეც, ან ირწმუნონ მომავალში, ერთეული ცრუპატრიოტების მიერ სხვათა გასაბრიყვებლად და თავიანთი ავი ზრახვების მისაღწევად შემოგდებული ამგვარი სატყუარისა. მაგრამ არარსებული სეპარატიზმის გაღვივება აბა როგორ შეიძლება? განა ცოტას ეცადნენ ადრე, ზოგიერთები, ე. წ. **„მეგრული სეპარატიზმის“, „ჩხოუშიაელობის“, „აშორდიაისტობის“, „პროვინციული ფაშიზმის“** და მისთანათა გამომგონებელ-ჩხრეკელნი (მარჯვე ტერმინებსაც როგორ მოუხმობენ ხოლმე), მაგრამ არაფერი გამოუვიდათ. მათი ყოველი ცდა ამ მხრივ, სრული უშედეგობით დამთავრდა. არ აღმოჩნდა არც ერთი მეგრელი, რომელსაც სეპარატისტული, ანუ საქართველოსაგან სამეგრელოს გამოყოფის შესახებ უბრალოდ მოსაზრებაც კი გასჩენოდა ან გამოეხატა. თუნდაც ერთ ასეთ მეგრელს დღემდე ვერავინ დაასახელებს. მიუხედავად ამისა, ამგვარის შესაძლო დაშვების წინასწარი ბრალდებით, მის წინააღმდეგ მებრძოლის იმიჯის მაძიებლები, აქამდე არ გამოილივნენ. ამგვარზეა ნათქვამი: **„მოყვარე მტერი ყოვლისა მტრისაგან უარესია“**, და **„მგლის შიშით ცხვარი ვის დაუხოცია“**-ო.

რა საბაბითაც არ უნდა ახდენდნენ ბრძოლას მეგრული, ლაზური (ჭანური) და სვანური ენების წინააღმდეგ, ზოგიერთები, ამ ენების ბედზე რომც არაფერი ვთქვათ, იგი არაფრითაა გამართლებული იმის გამო, რომ მათი სიკვდილი მოასწავებს საერთო ქართული ენის ზრდა-განვითარების შეწყვეტასა და სიკვდილს. ამასთან, მეგრული, ლაზური (ჭანური) და სვანური ენების სიკვდილი ანუ მიწის პირისაგან გაქრობა, ამ ენების მატარებელი 10 მილიონამდე ხალხების გაქრობას, სიკვდილს ნიშნავს. ცხადია, ეს მხოლოდ მასშტაბებში ჩამორჩება ჰიტლერული ფაშიზმის ნამოქმედარს, რამაც, თავის დროზე, 60 მილიონამდე ადამიანი შეიწირა.

ყოველივე ზემოაღნიშნულის გაცხადებისა და გააზრიანების აუცილებელმა საჭიროებამ გვაიძულა გვეთქვა სიმართლე ყოველივე ამის გამო. არადა, მკითხველისთვის უთუოდ გასაგებია, თუ რამდენად უხერხული და ძმიმეც შეიძლება იყოს ჩვენთვის ამგვარ თემაზე სიტყვის ჩამოგდებაც კი, მით უმეტეს, მსჯელობა. მაგრამ ჩვენთვის, სამეგრელოსა და სვანეთში მცხოვრებთათვის, ანუ აქაური შვილებისთვის მეგრული, ლაზური (ჭანური) და სვანური ენები ისეთივე მშობლიურია და გულსატკივარიც, როგორც საერთო ქართული ენა; ესენი ჩვენი აკვნის ენაა და მათ წინააღმდეგ მიმართული ყოველგვარი უსამართლობა, თუნდაც მხოლოდ ერთეულები რომ ავლენდნენ ასეთს, როცა იგი საფრთხის მომგვრელია, ფრიად საწუხარი და აღმაშფოთებელიცაა. ამას, გამორიცხული არ არის, მეტად არასასურველი შედეგები მოჰყვეს, ვინაიდან არაფერი ისე არ აღაშფოთებს ადამიანს, როგორც უგულებელყოფა, წაბილწვა, დისკრეტიზაცია იმ ენისა, რომელზეც იგი ლაპარაკობს, რომელიც მისი აკვნის ენაა. ამიტომაც, არა გვაქვს უფლება, გავჩუმდეთ და დაველოდოთ მოვლენათა ავბედით განვითარებას, რაც სახარბიელო შედეგს არავის მოგვიტანს.

ასეც რომ არ იყოს, ხომ ჭემარიტი გამონათქვამია: **„ისტორიკოსი, რომელიც მომხდარ ფაქტებზე დუმს, არანაკლებ ტყუის, ვიდრე ის, ვინც არარსებულ ისტორიას თხზავს“** (ამიანე გერცელიუსი, IV საუკ. რომაელი ისტორიკოსი). ჩვენ კი, ვიტყოდით: ის, ვინც ადამიანთა საზოგადოებისათვის სასიცოცხლოდ საშიში სიყალბისა და დანაშაულის ფაქტებზე დუმს, არანაკლებ დამნაშავეა, ვიდრე ის, ვინც ასეთ სიყალბესა და დანაშაულს შეგნებულად სჩადის.

ცხადია, ზემოთ აღნიშნული სამწუხარო გამოვლინებანი ერთეულებს (თუმცა, ნეტავ მხოლოდ ასე იყოს) ეხება, მაგრამ ხომ ფაქტია ისიც, რომ ამგვარი ერთეულები, დროდადრო, გარკვეულ ამინდს ქმნიან. ამიტომაც იმაღლებენ ასეთთა წინააღმდეგ ხმას ჭეშმარიტი ქართველები, წინდახედული ადამიანები, ისინი, ვინც კარგად უწყიან ქართველთა ერთიანობის ფასი და უფრთხილდებიან მას. აი, ზოგიერთი მაგალითიც:

**„ადამიანური სიმდაბლისა და უსამართლობის ნიმუში,“ „აბსურდი – ერთი სიტყვით.“** –ასე შეაფასა ავადმოსაგონარი ე. წ. **„მეგრელთა საქმე“** ცნობილმა ჟურნალისტმა ალვენ (ალეკო) ასლანიშვილმა ამავე სახელწოდების თავის წიგნში (თბ., 2005). (თუმცა, წიგნის ბოლოში, სამწუხაროდ, გარკვეულ ცდუნებას ეს უკანასკნელიც ვერ გაექცა).

ანალოგიური შეფასება და დასკვნებია მოცემული პროფ. გიორგი ციციშვილის ნაშრომში **„მაფალუ“** (თბ., 2007), ვახტანგ გვარამიასა და გიორგი ციციშვილის ნაშრომში „მეგრული საკითხი“ (თბ., 2009) და სხვათა შრომებში, ავისმზრახველების მიერ თავის დროზე შეთითხნილ ე. წ. **„მეგრელთა საქმესთან“, „მაფალუისტებთან“, „მეგრულ სეპარატიზმთან,“ „ჩხოუშიაელებთან“, „პროვინციულ ფაშიზმთან“** და მისთანებთან დაკავშირებით;

**„დავძლიოთ ეროვნული ცნობიერების სიღატაკე,“** – ასეთი სათაურით დაწერილ საგაზეთო სტატიაში („ილორი“, 27 ივლისი, 2010 წ.) პედაგოგიკის დოქტორი ზურაბ ცუცქირიძე მეგრული ენის მიმართ ზოგიერთი ჩვენი თანამემამულის დამოკიდებულებას ეროვნული ცნობიერების სიღატაკედ მიიჩნევს და გამოდის მისი დაძლევის მოწოდებით. ასევე აღსანიშნავია პროფ. ზურაბ კიკნაძის სწორი დამოკიდებულება მეგრული ენის მიმართ. სხვა მრავალი მაგალითის მოტანა შეიძლებოდა.

როცა სამეულის ახალ **„თეორიას“** ვეხებით, საყურადღებოა ის ფაქტი, რომ ეს **„თეორია“** მისმა ავტორებმა საენათმეცნიერო და კერძოდ სახელმძღვანელო წიგნებში წარმოადგინეს და წლების მანძილზე ასწავლიან კიდეც, ფილოლოგიის ფაკულტეტის სტუდენტებს (მაგ., ქუთაისის უნივერსიტეტში და მასთან არსებულ დიალექტოლოგიის ინსტიტუტში, რომელსაც ტ. ფუტკარაძე ხელმძღვანელობს).

მეტიც კიდევ, მათ მოახერხეს დედა ეკლესიაში შეღწევაც ენის განყოფილების სპეციალისტების სახით და მთელი ძალისხმევით შეეცადნენ დედა ეკლესიისა და სინოდის **„განსწავლას“** იმის შესახებ, თუ რა დიდ **„საშიშროებას“** წარმოადგენს მეგრულის, სვანურისა და ლაზურის ენებად **„გამოცხადება“** ქართველთა ერთიანობისათვის, და რაოდენ გასაკვირიც არ უნდა იყოს (ალბათ სატანის დახმარებით), მოახერხეს საკვირაო ეპისტოლეში (თანაც, ორჯერ) თავიანთი მოსაზრების სიტყვა-სიტყვით გაპარება.

ასეთ პირობებში, მათი ახალი **„თეორიის“** შესახებ სწორი მოსაზრების მხოლოდ გულით ტარება ან თუნდაც მისი ავბედითი არსის გამო გულში მჯიღის ცემა საქმეს ვერავითარ სარგებლობას მოუტანს. ამიტომაც მიმართავდნენ ხოლმე ჭეშმარიტი ენათმეცნიერები, ძველი დროიდანვე, ენათმეცნიერებაში გამოვლენილი არასწორი შეხედულებების კრიტიკას. ამის მაგალითია ენათმეცნიერების ინსტიტუტის ზემოხსენებული (ოღონდ, დიდად დაგვიანებული) კრებულიც. თუმცა, როგორც აღინიშნა, ახალი **„თეორიის“** ავტორთა მხრივ აღნიშნული კრებული შეფასებულია უარყოფითად, რის არგუმენტადაც, კვლავ და კვლავ, **„მტრული“** და **„დივერსიული“** ძალების არსებობა-ქმედება, **„სეპარატისტული მოსაზრების“** გაღვივებისადმი ხელისშეწყობა და მისთანა მოგონილი ბრალდებები სახელდება. ჩანს, ეს, ძველთაგან (არა მხოლოდ ჩვენში) ნაცადი და აპრობირებული, ადვილად სასროლი მაგრამ ერთობ დამთრგუნველად მოქმედი, იარაღია. ამიტომაც იყენებენ მას ისინი. არადა, რა დამოკიდებულება აქვს მეგრული, სვანური და ლაზური ენების არსებობას, და, მით უმეტეს, ამ ფაქტის აღიარება-გაცხადებას, სეპარატიზმთან? რატომ არ შეუქმნა ამ ენების არსებობამ საფრთხე ათასწლეულების მანძილზე ქართველთა ეროვნულ ერთიანობას და რითია მოსალოდნელი ასეთი საშიშროება მომავალში? როგორ ხდებოდა ის, რომ სამეგრელო იყო სწორედაც მუდამჟამს ქართველთა გამაერთიანებელი? ანდა, რატომ აიგივებენ ავტონომიის მოთხოვნას, ასეთი თუნდაც რომ წამოეყენებინა ოდესღაც ვინმეს სამეგრელოშიაც, – მაშინ, როდესაც თვითონ მთავრობას ჰქონდა ქვეყნის ავტონომიური მოწყობის გეზი, – სეპარატიზმთან, რაც ცალკე დამოუკიდებელ ქვეყნად გამოყოფის მოთხოვნას ნიშნავს.

და მაინც, ყველაზე გასაკვირი და საკითხავი, აი, რა არის: განა, მეგრელობა ქართველობა არ არის? მაშ, ვის უნდა გამოეყოს მეგრელობა? საკუთარ თავს? ვინ და რატომ აიგივებს მეგრელ, სვან და ლაზ ხალხებს სხვა ეროვნების (ესე იგი, არამონათესავე) ხალხებთან, მაგალითად, ოსებთან და სხვებთან? ვის ინტერესებში შეიძლება შედიოდეს ამგვარი რამ? რატომ უნდა აყენებდეს ასეთ შეურაცხყოფას, რატომ უნდა უცხადებდეს ვინმე ამ ხალხებს ამგვარ უნდობლობას და როდემდე შეიძლება გაგრძელდეს ასეთი რამ?

**„მეგრელებმა აღიარონ, რომ მეგრული დიალექტია და არა ენა, არადა აღიარონ, რომ მეგრელები ქართველები არ არიან“**-ო, – არაერთხელ განუცხადებია ტ. ფუტკარაძეს სახალხოდ, მათ შორის, ქართული ენათმეცნიერების ტაძარში. აი, როგორ აშანტაჟებს იგი მეგრელობას. აი, სანამდე მიდის ტარიელ ფუტკარაძის **„ენათმეცნიერული“** თავხედობა. მას სხვა სახელს ვერ დავარქმევთ, რადგანაც ამ შემთხვევაში ევფემიზმის გამოყენებას (რაც ადრე გვიცდია) აზრი არა აქვს. ასე რომ არ იყოს, დღეს, როდესაც მსოფლიო მასშტაბით დემოკრატიზმის ზეობაზეა, – მოწოდებით მაინც, – კურსი აღებული, როდესაც ქსენოფობიის გაფაჩუნებასაც კი არავის პატიობენ, როდესაც **„...აღრიცხვაზეა აყვანილი ყოველი გარეული ფრინველისა და ქვეწარმავლის რიცხოვნობა და კანონით გათვალისწინებულია მათი მფარველობა, როდესაც ასრსებობს ქუჩის მაწანწალა ძაღლების დაცვის კომიტეტებიც კი,“** როგორ კისრულობენ ან ბედავენ ტ. ფუტკარაძე და მისი თანამზრახველები, ამგვარ დისკრიმინაციულ, დივერსიულ, იმპერიულ-შოვინისტურ და ფაშისტურ ქმედებებს?

სათქმელი ამ შემთხვევაშიც ბოლომდე უნდა ითქვას, ვინაიდან საქმე 10 მილიონამდე ადამიანის გადაშენების ანუ ყოფნა-არყოფნის საკითხს ეხება:

ტ. ფუტკარაძემ თავისი უძლეველობა მაშინ ირწმუნა, როცა თანამზრახველებად თითო-ოროლა **„თვისტომის დამწუნებელი ღამურა“** (აკაკის მიხედვით) დაიხელთა, ზოგი თანამოსამსახურეობისა და ზოგიც სხვა ვალდებულების მეშვეობით. მან კარგად იცოდა მუხის დანაჩივლები; **„ნაჯახი რას დამაკლებდა, ტარად ჩემი ჯიშისა რომ ჰქონდეს მორგებულიო“**; მან კარგად იცოდა ქართული ანდაზაც: **„მტერს მოვერევი, მოყვარეს რა ვუყო თორემ“.** და ბოლოს, მან კარგად იცოდა საკუთარი ბუნებაც, რომ – რასაც თვითონ იკადრებდა, სხვა ვერ იკადრებდა.

ქართველი და მსოფლიო ენათმეცნიერებისა და ხალხების გაბრიყვების ცდაზე გადაგებულ ტ. ფუტკარაძეს, ჩანს, ისე მოუვიდა, როგორებზედაც არის ნათქვამი: **„ბრიყვებს ჰგონიათ, ჩვენიაო მთელი სამყარო“.** ფუტკარაძემ, ასეც იგრძნო თავი, იმის წყალობით, რომ ქართულ ეკლესიაში თანამოაზრედ დაიგულვა ანაფორიანი მღვდელმსახური, მიტროპოლიტი ანანიას (ჯაფარიძის) სახით. ამით უზომოდ გაყოყოჩებულმა, მისი კვაზიმეცნიერული **„თეორიის“** სხვათა მიერ გაუზიარებლობა, მითუმეტეს, მის საწინააღმდეგოდ გამოთქმული ყოველი მოსაზრება, ამიერიდან, ქართული ეკლესიის წინააღმდეგ მიმართულ ქმედებად გამოაცხადა და ჭეშმარიტების მღაღადებელთა მიმართ საბრძოლველად დიდი კოზირიც ჩაიგდო ხელთ. **„ჩემი მოსაზრება, ადრე – ქრისტიანობის შემოსვლის პერიოდში – მეგრულისა და სვანურის დიალექტებად არსებობაზე საგანგებოდ ტ. ფუტკარაძეს გავაცანიო“**, რომ აცხადებს ხსენებული ღვთისმსახური, რატომ მაინცდამაინც მას და რატომ **„საგანგებოდ“**? რატომ ენათმეცნიერების ინსტიტუტში არ განაცხადა იგი? ამგვარზეა ნათქვამი: **„მითხარი ვისთან მეგობრობ და გეტყვი ვინა ხარო“**. ასეც რომ არ იყოს, რატომ აგრძელებს ანალოგიურ საქმიანობას თავად ღვთის მსახური, ანდა რატომ ჰყოფს ერს **„თავისიანებად“** და „სხვისიანებად“, ანუ ამ ქვეყნად დასარჩენებად და არდასარჩენებად? რა სამსახურს გაუწევს ასეთი ქმედება ეკლესიისადმი ხალხის რწმენას?

**მამანტი ძაძამია,**
**პროფესორი, აკადემიკოსი.**

იერი
ეროვნული
პოლიტიკა



# ბერია XX საუკუნის საუკეთესო მენეჯერი

## სერგეი კრემლიოვი

თარგმანი **როლანდ ჯალაღანიასი**

სიტუაციის შეფასებისათვის მე მოვიხმობ ციტატას კონსტანტინე სიმონოვის ნაწარმოებიდან, რომელიც 1991 წელს გამოქვეყნდა პოლიტგამომცემლობის **"ანტიბერიასეულ"** კრებულში. მიუხედავად ამ ნაწარმოების პასკვილური ხასიათისა, მისგან მაინც შეიძლება გარკვეული ნაწყვეტების ამოღება:

**"რატომ იყო დაინტერესებული ბერია, რომ მალენკოვი გამხდარიყო სსრკ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე, ხოლო ხრუშჩოვს, რომელიც ბერიას აზრით იყო მეორეხარისხოვანი ადამიანი და საკუთარ დაცემამდეც კი ვერ გახსნა ამ პიროვნების ნატურა, დაეკავებინა სტალინის თანამდებობა – სკკპ ცენტრალური კომიტეტის მდივანობა? ყველაფრის მარტივად ახსნა შეიძლება. ბერიას იდეა დასტრიალებდა იმ აზრს, რომ ქვეყანაში მმართველ ძალად უნდა ქცეულიყვნენ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე და მისი მოადგილეები..."**

აქ ფასეულია ორი აზრი:

ბერია აბსოლუტურად იზიარებდა სტალინის აზრს კომპარტიის თაობაზე;

ორპირი და ფლიდი ადამიანი იყო არა ბერია, არამედ ხრუშჩოვი...

და კიდევ ერთი რამ ვერ შეიგნო სიმონოვმა: ატანილი იყო რა ბერიას გაშავების სურვილით, მან აქ სწორედ მისი გამამართლებელი არგუმენტი დაიმოწმა! ლავრენტი ბერიას აქტიურობის მიზეზი გახლდათ არა მისი პირადი, არამედ სახელმწიფოებრივი ინტერესები!

სიმონოვმა, ამავე დროს, სამართლიანად განსაზღვრა, რომ სიტუაციას სიცოცხლე შესძინა არა ხაზმა **"მალენკოვი-ხრუშჩოვი"**, არამედ ხაზმა **"ხრუშჩოვი-ბერია"**. ამ ორი უკანასკნელი ადამიანის ურთიერთობათა თაობაზე იმდენი ცილისწამებაა დახვავებული (ძირეული თეზისები ხრუშჩოვმა გაახმოვანა პლენუმზე, რომელიც ბერიას დაპატიმრების შემდეგ იქნა მოწვეული), რომ მისი დაწვრილებითი ახსნის საშუალება მე ნამდვილად არ გამაჩნია. მაგრამ, ზოგი რამ, საილუსტრაციოდ, მკითხველს მაინც უნდა ვაცნობო. ვთქვათ, რომ სწორედ ბერია იქცა **"მიხოელსის საქმის"** და **"ექიმების საქმის"** გადახედვის ინიციატორად. ფონდ **"დემოკრატიის"** მიერ გამოცემულ კრებულში **"ლავრენტი ბერია. 1953"** საქმეა ისეა წარმოდგენილი, რომ ბერია ნამდვილად ითვლება ექიმების დაუსაბუთებელი ბრალდებისაგან განმანთავისუფლებლად. 1953 წელს სწორედ მის მიერაა ხელმოწერილი (თუმცა, ნაკლებ სარწმუნოა, რომ მისი ხელით იყოს დაწერილი) ბარათი კომპარტიის ცეკას პრეზიდიუმის სახელზე **"იმ პირების რებილიტაციის შესახებ, რომლებიც პასუხისგებაში არიან მიცემულნი ექიმების საქმესთან დაკავშირებით"**. მაგრამ, აი რას სწერს თავის წიგნში **"მოსკოვი. კრემლი, დაცვა"** საქმის კურსში მეტნაკლებად მყოფი გენერალი დოკუჩაევი:

**"სტალინის სიკვდილის შემდგომ, გაანთავისუფლა რა ძიებისაგან ექიმები და გამოაცხადა რა სრულმასშტაბიანი ამინისტია სისხლის სამართლის დამნაშავეებისათვის, ხრუშჩოვი იმ ეროვნულ გმირად გადაიქცა, რომელსაც ხალხი, სწორედ ისე, როგორც "დემოკრატიის შუქურას", ოქროს ტახტრევანით დაატარებს აღმა-დაღმა".**

დოკუჩაევი სულაც არ არის ბერიას მომხრე. გარდა ამისა, იგი ბერიას სახელზე ლაფის მისხმაზეც არ ამბობს უარს, განსაკუთრებით მაშინ, როცა ამტკიცებს, რომ სწორედ ბერიას სინდისზეა 40-იანი წლების დასასრულს აგორებული **"ლენინგრადის საქმე"**... იგი ამტკიცებს, რომ ბერიას ორგანულად სძულდა სტალინი, სურვილი ჰქონდა, რომ დროულად მოეშორებინა იგი თავიდან და ა.შ. და ა.შ. მაგრამ, მიუხედავად ამისა, მაინც ფასდაუდებელია ბრეჟნევ-გორბაჩოვის ეპოქის ამ მაღალჩინოსნის მიერ მოყვანილი ფაქტები.

აი, რას ამბობდა ხრუშჩოვი **"ანტიბერიასეულ"** პლენუმზე:

**"თუ მაგალითად მოვიყვანთ გვიანდელ საკითხებს – ექიმების საქმეს – ეს ძალზე სამარცხვინო საქმეა ჩვენთვის, ეს ხომ სრული სიყალბეა... დიახ, მე ვთვლი, რომ ე.წ. ექიმების საქმე ჩვენი დიდი სირცხვილია. ჩვენ, პრეზიდიუმის წევრებმა არაერთხელ ვითათბირეთ ამის თაობაზე, მე ველაპარაკებოდი ლავრენტისაც..."**

ეს სრულიადაც არ გახლდათ სიყალბე, თუმცა ექიმებს პოლიტბიუროს ყველა წევრისათვის ზიანი არ მიუყენებიათ. შჩერბაკოვი, ჟდანოვი, ბერია, სტალინი თევზის ფხასავით ჰქონდა გაჩხერილი ყელში **"მეხუთე კოლონას"**. კრემლის ექიმები კი მზად იყვნენ, რომ ხრუშჩოვისა და მიქოიანისაგან მტვერიც კი ჩამოეფერთხათ. ამიტომაც სრულიად ნათელია ხრუშჩოვის დამოკიდებულება ექიმებისადმი, რომელთა **"რეაბილიტაციას"** ნიკიტა მხოლოდ საკუთარ დამსახურებად თვლიდა. სხვაგვარად, იგი გაყუჩდებოდა და საერთოდ არ ახსენებდა ამ ისტორიას, რადგან ბერიას წინააღმდეგ **"სამხილები"** და ბრალდებები მის მოწინააღმდეგეებს საკმაოზე მეტი ჰქონდათ!

მაშ ასე, ექიმების საქმეში ინიციატივას ძირითადად ხრუშჩოველები ავლენდნენ. და ამასთან დაკავშირებითაც სახეზეა საინტერესო წვრილმანები... ბერიას დაპატიმრების შემდეგ, სსრკ შინაგან საქმეთა მინისტრის მოადგილედ დაინიშნა ვიღაც შატალინი, რომელიც ამავე დროს სკკპ ცეკას მდივნად რჩებოდა. სწორედ მას დაევალა ლავრენტი ბერიას კუთვნილი საბუთების ამოღება, რომელიც სტალინის ყოფილი თანამებრძოლების მიერ სწრაფად იქნა განადგურებული.

შატალინმა **"ანტიბერიასეულ"** პლენუმზე უამრავი სიბინძურე დააფრქვია ლავრენტის მისამართით (რომელსაც მოგვიანებით გავაცნობ მკითხველს), ექიმების საქმესთან დაკავშირებით კი ასეთი რამ თქვა:

**"ავიღოთ ექიმების საქმე. როგორც მე, ისე ჩემი ამხანაგები, ვფიქრობთ, რომ ამ საქმესთან დაკავშირებით მიღებული იყო მართებული გადაწყვეტილება, მაგრამ, რა საჭირო იყო ამასთან დაკავშირებით სსრკ შინაგან საქმეთა სამინისტროს კომუნიკეს გამოქვეყნება? რა საჭირო იყო ამ თემის განუწყვეტლივ ტრიალი პრესაში? და ა.შ. ვერ გამიგია, რატომ იყო აუცილებელი ამ თემის მუდმივად გაშუქება? ეს გაკეთდა იმისათვის, რომ საკუთარ თავზე მიეწერა დამსახურება – შემომხედეთ, რა ღირსეული პრეტენდენტი ვარო..."**

ესე იგი, შატალინის სიტყვებით გამოდის, რომ ბერიას დიდი კავშირი არ გააჩნდა ექიმების რეაბილიტაციის საქმესთან და, როგორც იტყვიან, ხელოვნურად **"მიეწება"** ამ საქმეს... და თანაც **შსს**-საც გაუკეთა რეკლამა და საკუთარ თავსაც...

ეს უკანასკნელი ხომ მართლაც სრულიად უსაფუძვლო შემოდავებაა! როგორც შატალინმა, ასევე პლენუმის სხვა მონაწილეებმა კარგად იცოდნენ, რომ შინაგან საქმეთა სამინისტროს **"კომუნიკე"** და ამ საკითხის **"პრესაში ტრიალი"** საჭირო გახდა იმიტომ, რომ 1953 წლის 3 აპრილს ცეკას პრეზიდიუმის მიერ მიღებულ დადგენილებაში **"ე.წ. ექიმების საქმეში დაშვებული ხარვეზებისა და სიყალბეების შესახებ"** მე-2 და მე-7 პუნქტებში ეწერა:

**"2. დამტკიცდეს განცხადების ტექსტი, რომელიც უნდა გამოქვეყნდეს პრესაში;**

**<...>**

**7. მიღებული დადგენილების ტექსტი გაეგზავნოს სკკპ ცეკას ყველა წევრს"**

**სკკპ ცეკას ყველა წევრს!**

ახლა კი სკკპ ცეკას მდივანი შატალინი პლენუმის ტრიბუნიდან ურცხვად ატყუებდა სკკპ ცეკას ყველა წევრს და ცეკას არცერთ წევრს არ გამოუთქვამს გაოცება ამ სიცრუესთან დაკავშირებით (აღშფოთებაზე არაფერს ვამბობ).

მაგრამ, იქნებ კომუნიკე ბერიას ინიციატივით შეიქმნა – თვითრეკლამირებისათვის. არავითარ შემთხვევაში – კომუნიკეს ტექსტი იყო საკმაოდ მშრალი და იგი არც **"პრესაში უტრიალებიათ"** განუწყვეტლივ. ამ საქმესთან დაკავშირებით ხმაურის ატეხვა ხომ არავის აძლევდა ხელს.

მართლაც უამრავი ამოუცნობი რამ გვხვდება 1953 წლის ამნისტიასთან დაკავშირებულ მოვლენებში. გენერალი დოკუჩაევი მას ხრუშჩოვის ინიციატივად მიიჩნევს, მაგრამ ამავე დროს აღნიშნავს, რომ ბერიას მიერ გამოცემულმა ამნისტიამ საბჭოთა კავშირი ციხიდან გამოშვებული ბანდიტებითა და სხვა ჯურის სისხლის სამართლის დამნაშავეებით აავსო, და ა.შ.

მაგრამ ლავრენტი ბერიამ ხომ 1953 წლის 26 მარტს შემოიტანა წინადადება იმ ერთ მილიონამდე დამნაშავის ამნისტიის შესახებ, რომლებიც კონკრეტულ კატეგორიას მიეკუთვნებოდნენ. კერძოდ, იმ პირებზე, ვისაც 5 წლამდე სასჯელი ჰქონდათ მოსახდელი და, მიუხედავად სასჯელის ვადისა, იმ პირების ამნისტირება, რომლებიც სასჯელს იხდიდნენ თანამდებობრივი გადაცდომებისათვის, სხვადასხვა სამეურნეო და ზოგიერთ შემთხვევაში სამხედრო დანაშაულისათვის. ამავე კატეგორიას მიეკუთვნებოდნენ ქალები, რომელთაც ჰყავდათ ათ წლამდე ასაკის შვილები, ორსული ქალები, არასრულწლოვნები 18 წლის ასაკამდე, მოხუცებულები, მძიმედ დაავადებულები.

ამრგად, ბერიას მიერ მონიშნულ მილიონში ამნისტირებულებში შედიოდნენ:

– თანამდებობრივი უფლებამოსილების გადამეტებისათვის გასამართლებულები (კოლმეურნეობათა თავმჯდომარეები, ბრიგადირები, საწარმოთა ხელმძღვანელები და სხვა) – 30.000 ადამიანი;

– ქალები – ბავშვებიანი და ორსული – 400.000 ადამიანი;

– მოხუცები – 238.000 ადამიანი;

– მოურჩენელი ავადმყოფობით დაავადებულები – 198.000 ადამიანი;

– მცირეწლოვნები – 31.181 ადამიანი.

საერთო ჯამში ეს 900.000 ადამიანს შეადგენს, რომლებიც, საეჭვოა, რომ ციხიდან გამოსვლისთანავე თავხედური კრიმინალით დაკავებულიყვნენ. ამასთან, ისინი **"გულაგის"** ციხეებში მოხვდნენ არა ბერიას **"წყალობით"**, არამედ კრუგლოვის მინისტრობის დროს. ლავრენტი ბერია კი წინადადებას აყენებდა, რომ შეემსუბუქებინათ სასჯელი სამეურნეო სფეროში გამოვლენილ დამნაშავეთა და სხვა ნაკლებად მძიმე დანაშაულში შემჩნეულ პირთა მიმართ, რომელთაც არ უძალადიათ ადამიანებზე და არ მიუყენებიათ ზიანი კონკრეტული მოქალაქეებისათვის.

შეიძლებოდა კი, რომ ამ კატეგორიის ადამიანების განთავისუფლებას მოჰყოლოდა ქვეყანაში ძალადობის ვეებერთელა **"ტალღის"** აზვირთება? პირადად მე ამაში ძალიან მეპარება ეჭვი, თუმცა, ზოგიერთ ექსცესს კი შეიძლებოდა მართლაც ჰქონოდა ადგილი, და, აი, რატომ... ბერიამ სკკპ ცეკას პრეზიდიუმს ბერიამ შინაგან საქმეთა სამინისტროს ბარათი წარუდგინა როგორც სამუშაო დოკუმენტი, სადაც საჭირო არ გახლდათ ფორმულირებათა იურიდიული დამუშავება. ერთი დღის შემდეგ კი – 1953 წლის 27 მარტს, გენერალურ პროკურატურასა და იუსტიციის სამინისტროსთან წინასწარი შეთანხმების გარეშე, სსრკ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარემ ვოროშილოვმა და პრეზიდიუმის მდივანმა პეგოვმა ხელი მოაწერეს ამ ამნისტიას. მათი აჩქარება (რაც, უეჭველია, ხრუშჩოვის ძალდატანებით მოხდა) გახდა გარკვეული უსიამოვნებების მიზეზი. ასე რომ, ბერია აქ არაფერ შუაშია და ეს საკითხი ჯერ კიდევ გასარკვევია.

შესასწავლია ასევე 1953 წლის ზოგიერთი რეაბილიტაციის თემაც... მართალია, ბერიას, როგორც სსრკ შინაგან საქმეთა მინისტრის, ხელში გადიოდა ყველა სარეაბილიტაციო ინიციატივა და ყველა მათგანის გარშემო ატეხილი დავა ბერიასათვის დიდი უსიამოვნებების მომტანი შეიძლებოდა ყოფილიყო.

ეს განსაკუთრებით ეხება **"ექიმების საქმეს"**. მე არ გამოვრიცხავ, რომ ისინი, რომლებიც სტალინის ლიკვიდაციის გეგმას ადგენდნენ, თადარიგს დაიჭერდნენ ე.წ. **"ექიმების საქმის"** მიმართაც. ამასთან, ეს საბუთები, რომლებიც თითქოს **"ამხელდნენ" "ექიმთა საქმის" "ფალსიფიკატორებს"**, შეთხზული იყო სტალინის მიერ. ბერიაც სწორედ ამის გათვალისწინებით გეგმავდა ოპერაციებს.

სხვა რა დარჩენოდა მას ამ სიტუაციაში? საჭირო იყო მიეხედ-მოეხედა, უფრო ღრმად გარკვეულიყო არსებულ სიტუაციაში...

**"დაუთმე მცირეოდენში"**, – გვასწავლის სიბრძნე. მაშ რატომ არ უნდა დაეთმო ბერიას ექიმების საქმე? შეიძლებოდა ისინი გაგვენთავისუფლებინა სამსახურიდან და, გარკვეული დროის განმავლობაში, მათ ადგილებზე სხვები დაენიშნათ. მით უმეტეს, რომ ბერია ახლა უკვე აღარ სარგებლობდა შინაგან საქმეთა სამინისტროს ექიმების მომსახურეობით. ეს კი გახლდათ ამ ექიმებისაგან **"დაცვის"** უტყუარი მექანიზმი.

**"ექიმების საქმისაგან"** თავის დროულად დახსნა მართლაც მომხიბლველი საქმე გახლდათ, რომლის განსახორციელებლად ბერიას უამრავი მექანიზმი გააჩნდა ცხოვრების ყველა სფეროში. და ქვეყნის უმაღლესი ხელისუფლებაც იძულებული იყო გაეზიარებინა ბერიას ეს პათოსი. იგი ხომ სხვაზე ადრე უღებდა ალღოს შექმნილ მდგომარეობას, ამასთან, თვით სტალინზე ბევრად კარგადაც კი – თუ წარმოქმნილი საქმე ეხებოდა საზოგადოებრივი პროცესების თეორიულ საკითხებს.

სახალხო მეურნეობის პრიორიტეტებზე ბერიას გააჩნდა საკუთარი, საზოგადოებისათვის ფრიად ოპტიმალური საკუთარი ხედვა.

იგი სხვებზე ადრე ერკვეოდა კონკრეტულ ამოცანებში, რომლის გადაწყვეტაც მის კომპეტენციაში შედიოდა და ამ საკითხებს წყვეტდა იმგვარი დავიდარაბის გარეშე, რომელსაც დასცინოდნენ და კიცხავდნენ ლენინი და ვლადიმერ მაიაკოვსკი. **"ანტიბერიასეულ"** პლენუმზე მისი ყოფილი მოადგილე სპეცკომიტეტში ზავენიაგინი ბერიას შემდეგი სიტყვებით კიცხავდა: **"როცა ჩვენ ვმუშაობდით რომელიმე საკითხზე, ბერია გვეუბნებოდა: ჯანდაბა, გაანებეთ თავი ამ ჩხირკედელაობას, თქვენ ხომ ორგანიზატორები ხართ".**

ზავენიაგინი შემდეგ **"წიოკობდა": "როგორ შეიძლება მუშაობის ორგანიზება, თუ მის სიღრმეებში ვერ ჩაიხედავ?"** მას არ ესმოდა, რომ ბერია ამ სიღრმეებს სწვდებოდა... როგორც ორგანიზატორი. სხვაგვარად, როცა ზავენიაგინი მოხსენებით ბარათს წარუდგენდა ბერიას, ყოველ მათგანს არ დაასრულებდა შემდეგი სიტყვებით: **"გთხოვთ თქვენს მითითებებს..."**

ესე იგი, მისივე სიტყვებით გამოდის, რომ ზავენიაგინი საკუთარ ტყავს უფრთხილდებოდა – არც თუ ღირსეული პოზიციაა. თუ ზავენიაგინი ბერიას მითითებებს ელოდებოდა ხოლმე, მაშინ მას არა აქვს ლავრენტის ორგანიზატორული საქმიანობის სტილის გაკიცხვის მორალური უფლება.

ბერია სკკპ ცეკას პრეზიდიუმის წევრებს შორის ყველაზე კარგად ერკვეოდა სახალხო სამეურნეო დარგში წამოჭრილ პრობლემებში. ამ მხრივ მას შეიძლებოდა გატოლებოდნენ მხოლოდ კაგანოვიჩი, საბუროვი და პერვუხინი, მაგრამ პირველი მათგანი უკვე აღარ იყო ახალგაზრდა, ორ მომდევნოს კი ბერიაზე ბევრად დაბალი სახელმწიფო სტატუსი გააჩნდათ და არ ჰქონდათ მისნაირი გავლენა.

ბერიამ ასევე კარგად იცოდა სამეცნიერო-ტექნიკური პროგრესის მიმართულებები.

ჰქონდა საგარეო პოლიტიკის რაციონალური ხედვა. ამასთან, ასევე კარგად ჰქონდა შესწავლილი ქვეყნის შიდა პოლიტიკის ქვაკუთხედები.

ამასთან, ბავშვობიდან შესისლხორცებული იყო რა ეკონომიკურ საქმიანობასთან, ყველასაგან, ვისთანაც უწევდა მუშაობა, მოითხოვდა ეკონომიას, არა რაღაც გროშებში გამოხატულს, არამედ რაციონალურსა და დიდი საქმისათვის სასარგებლოს. სწორედ ეს გამოარჩევდა ლავრენტი ბერიას სკკპ ცენტრალური კომიტეტის პრეზიდიუმის სხვა წევრებისაგან.

*(გაგრძელება შემდეგ ნომერში)*

# კოლხეთი სამი ათასი წლის წინათ, აიეტის მეფობის ქვეშ

## კოლხები შავი ზღვის სამხრეთ-აღმოსავლეთ სანაპიროზე

ჩვენი დასკვნით, პირველი ქალაქ-სახელმწიფოს გეოგრაფიული ადგილმდებარეობა არის დღევანდელი სოფელი ისული. ამ სოფლის ტერიტორიაზე ფუნქციონირებდა ძველი კოლხეთის სახელმწიფოს მართვის ცენტრი. სამწუხაროდ, ქალაქ-სახელმწიფოს ტერიტორია რიონისა და ტეხურის ადიდებისას წყლით იფარებოდა, რამაც იძულებული გახადა სახელმწიფოს მეთაურნი შეერჩიათ ქალაქ-სახელმწიფოს ასაშენებელი მაღალი და სტრატეგიული მნიშვნელონის ადგილი. შეურჩევიათ ასეთი ადგილი, დაუწყიათ მშენებლობა, ხოლო **"იასუ"**-ს ნაგებობანი თვით კოლხებს მიწასთან გაუსწორებიათ.

კოლხეთის რომელ კუთხეში გადაიტანეს ქალაქ-სახელმწიფო ცნობილი არ არის, ამის დადგენა კი მეტისმეტად საჭირო საქმედ მიმაჩნია. ქალაქ-სახელმწიფოს და სამეფო სახლის ფუნქციონირების გეოგრაფიული ადგილმდებარეობის დასადგენად გამოვთქვამ იმ მოსაზრებას, რაც შემდეგში მდგომარეობს: მრავალ საინტერესო ცნობათა შორის პოემა **"არგონავტიკაში"** მითითებულია, რომ არსებობს ჰელიოსისა და პერსეს გრძნეული ასულის კირკეს სახელობის კირკეონის ველი, რომელზედაც ფაზისი მოედინება. მეორე ველზე როდოსელი მეტად მცირე, ამავე დროს, ბურუსით მოცულ ცნობას გვაწვდის. აი, ეს ცნობაც: **"მყისვე ტალღებმა გზა მისცეს გემსა და ვაჟკაცების ხელმარცხნივ ახლო იყო მაღალი კავკასიონი, აიას ქალაქი კუტაისი, ხოლო ხელმარჯვნივ გადაშლილი იყო არესის ველი და წმინდა ჭალა — არესის ჭალა, სადაც ურჩხული ეგრაგნებოდა შეფოთლილ მუხას და დარაჯობდა ფხიზლად, დღე და ღამ მის კენწეროზე დაკიდულ სასმისს".** სად მდებარეობდა არესის ველი და წმინდა ჭალა, არ არსებობს რაიმე ისეთი ხელმოსაკიდი ცნობა, როგორიც თან ახლავს კირკეს ველს, რომელზედაც ფაზისი მოედინება. ამ შემთხვევაში ნათლად ჩანს, რომ რიონის მარჯვენა და მარცხენა ნაპირზე მდებარე ველს, რომელსაც **"ანჯელ"**-ს ვეძახით, სამიათასი წლის უკან კირკეს ველი ერქვა.

როგორ მოვნახოთ არესის ველის გეოგრაფიული ადგილმდებარეობა. ერთი რამ მაინც ცხადია, რომ ის ახლოს უნდა იყოს ქალაქ-სახელმწიფოს და სამეფო სასახლესთან, როგორც ძვირფასი საგანძურის — ოქროს საწმისის შესანახი ადგილი. ეს ველი და წმინდა ჭალა, როდოსელის ცნობის თანახმად, არესის სახელობისაა. არესი კი პელასგებისა და ბერძნების ომის ფარველი ღმერთი იყო. არესისადმი შეწირული ველი და წმინდა ჭალა საკმაოდ დიდი ფართის ტერიტორია იყო და რადგანაც ამ დიდ ველთან ნახსენებია ჭალა, ის რომელიღაც მდინარის ნაპირზე უნდა იყოს განფენილი, რომელიც მდინარის ნაპირზე მდებარეობს. გამომდინარე აქედან, არესისადმი შეწირული მიწის ნაკვეთი უნდა ვეძიოთ მდინარის ნაპირზე. დასადგენად იმისა, თუ სად მდებარეობდა არესის ველი და წმინდა ჭალა, ყურადღებით განვიხილოთ მდინარე აბაშის პირას (მარტვილის რაიონი) მდებარე ჭალა, რომელსაც მარსის ჭალას უწოდებენ ადგილობრივი მკვიდრნი და საერთოდ სამეგრელოს მცხოვრებნი, დღესაც.

მარსი, მსგავსად არესისა, ძველი და ახალი წელთაღრიცხვის მიჯნაზე, ომის მფარველი ღმერთი იყო რომაელებისათვის, პირველ საუკუნეში რომის იმპერიამ დაიპყრო და თავის ბატონობას დაუმორჩილა კოლხეთი და მთლიანად საქართველო. ისინი თავიანთი ბატონობის განსამტკიცებლად მიმართავდნენ მათთვის ჩვეულ ხერხებს და ყველგან ნერგავდნენ მათი ბატონობის, ესე იგი, თავიანთი იდეების განმტკიცებისა და გავრცელებისათვის საჭირო პროპაგანდას. ორი ათასი წლის უკან ჩატარებული პროპაგანდის შედეგი, რომელსაც რომაელები ეწეოდნენ დაპყრობილი ქვეყნების ხალხში, ჯერაც არ გამქრალა. სამეგრელოში ისე მტკიცედ ყოფილა დანერგილი რომის იმპერიის სადიდებელი ლოზუნგები, რომ მან დღემდე მოაღწია და თუ რაიმე საქმე სადიდებელია და მხარდასაჭერია, ამბობენ **"ვიხა რომას"** გაძახებინებო. რომ ჰკითხოთ, რას უნდა ნიშნავდეს ეს გამოთქმა, ვერ აგიხსნიან, მაგრამ ეს სხვა არაფერია გარდა რომის სადიდებელი გამოთქმისა **"გაუმარჯოს რომს"**. რომაელები დაპყრობილ ქვეყნებში მათთვის მნიშვნელოვან კვანძებს უცვლიდნენ სახელებს, ყველა საკითხს არჩევდნენ და გადაწყვეტილებებს მხოლოდ თავიანთ სასარგებლოდ ღებულობდნენ.

ბოროტად იყენებდნენ ძალით მოპოვებულ უფლებებს. რომის იმპერიის წარმომადგენლებმა, კოლხეთის მიერ ომის მფარველი ღმერთის არესისათვის შეწირული მიწის დიდ ნაკვეთს, რომელიც მდინარე აბაშის ნაპირს გასდევს ათეულ კილომეტრზე, თოთქმის მის ბუნებრივ სათავემდე არესის ველი და წმინდა ჭალა ეწოდებოდა, რომაელებმა მას შეუცვალეს სახელი და თავიანთი, ომის მფარველი ღმერთის მარსის სახელი უწოდეს.

რომაელების მიერ ჩატარებულმა ღონისძიებამ გამოიწვია არესის ჭალის სახელწოდების და მისი გეოგრაფიული ადგილმდებარეობის ნიშნების დაკარგვა და მივიწყება. ამრიგად სამეგრელოში კარგად ცნობილი მარსის ჭალა, რომელიც მდებარეობს მდინარე აბაშის სანაპიროზე (მარტვილის რაიონი) აიეტის მიერ, კოლხების და შემდგომში ბერძნების მიერ აღიარებული (როგორც ეტყობა ბერძნებმა კოლხების ომის მფარველი ღმერთი იწამეს და არესი თავიანთი ომის მფარველ ღმერთად გამოაცხადეს) ომის მფარველი ღმერთისადმი შეწირული სახელდებული არესის ჭალაა, საიდანაც არგონავტებმა გაიტაცეს მედეა და ოქროს საწმისი. ჩვენს მიერ დადგენილი ნაკვეთის არესის ჭალიდან ან მდინარე აბაშის ნაპირიდან, დასავლეთის მიმართულებით, დაახლოებით ოთხხუთ კილომეტზე, იქ სადაც კოლხეთის დაბლობი თავდება და იწყება ტეხურას თვალწარმტაცი ხეობა, უნაგირას მთის ფერდობზე და მის მცირე ბორცვებზე, შემორჩენილია უზარმაზარ ნაგებობათა ნანგრევები, რომელსაც უცხოელმა არქეოლოგებმა **"არქაიო პოლისი"** უწოდეს. სწორედ ეს ადგილი უნდა იყოს ქალაქ-სახელმწიფოს ან პოლისის სამი ათას სამასი წლის უკან ნაშენი ნაგებობათა ნანგრევები.

ნაგებობათა გრანდიოზულობა, რომელსაც ანალოგი არ მოეპოვება საქართველოს ტერიტორიაზე არსებულ ძველ ციხე-სიმაგრეთა ნაგებობების ნანგრევებს შორის, ნათელ წარმოდგენას იძლევა კოლხეთის სუვერენული სახელმწიფოს მართვის მაღალ კულტურაზე, მისი პირველი მეფის აიეტის დიდ გონივრულობაზე და უსაზღვრო შესაძლებლობებზე. აიეტის ნამოდვაწარს დღესაც განცვიფრებაში მოჰყავს მნახველი. სამწუხაროდ, ამ მოსაზრებას, ესე იგი კოლხეთის ქალაქ-სახელმწიფო ანუ პოლისი, ნაშენ-ნაგებია სამი ათასი წლის წინათ კოლხეთის სუვერენული სახელმწიფოს მეფე აიეტის მეფობის ჟამს, აღნიშნულის დადგენას წინ ეღობება და ართულებს ზოგიერთი წერილობითი, მაგრამ ნაკლებად დასაჯერებელი ცნობები. ბატონიშვილი ვახუშტი წერს: **"აწ სენაკს ზეით უნაგირას ძირში არს ნაქალაქევი ციხე გოჯად წოდებული ეს აღაშენა მეფის ფარნავაზის ჟამს ქუჯიმ"** (ბატონიშვილი ვახუშტი, **"აღწერა სამეფოსა საქართველოსა", გვ. 777**). ამავე აზრისაა ლეონტი მროველიც. ჩემის აზრითა და გაგებით, ამჟამინდელი ეგრისის მთავარი ქუჯი ვერ შეძლებდა ამ გრანდიოზული ციხე ქალაქის აშენებას.

ქუჯის მიერ ის ციხე-სიმაგრე შეიძლება იყოს აშენებული, რომელსაც **"ჭაქვინჯის"** სახელით იხსენიებენ. ქუჯის მიერ აშენებულ ციხეს მის სახელთან დაკავშირებული ნიშან-თვისების მაჩვენებელი უნდა ჰქონოდა. ასეთად შეიძლება ჩაითვალოს **"ჭაქუჯი"**. სამწუხაროდ ცნობათა ზეპირი გადმოცემების, ხანგრძლივი შენახვის და სინაარსობრივი დაცვის ნაკლებ იმედიანობის შედეგად მრავალი საუკუნეების განმავლობაში სახელი დამახინჯებულა და **"ჭაქვინჯის"** სახელით მოაღწია ჩვენამდე. ჭაქვინჯი, ანუ ქართულად რომ გადავთარგმნოთ **"ჭასკერი"**, ისეთი გაუგებარი სახელია, რომელსაც ვერაფერთან ვერ დავაკავშირებ, ვერავითარ ახსნა-განმარტებას ვერ მოუძებნი. მრავალი საუკუნის განმავლობაში თანდათანობით არასწორი გამოთქმის შედეგად ქუჯი ქვინჯად აქციეს და ჭაქუჯის მაგივრად წარმოიშვა სახელი **„ჭაქვინჯი“**. ამ ციხესთან ახლოს პატარა მდინარე მოედინება, რომლის სახელია ჭანისწყალი. ამ მდინარის სახელის ფუძე **"ჭა"**-სთანაა დაკავშირებული ციხე-სიმაგრის სახელის, ფუძე **ჭა**-ს მიმატებული აქვს ციხის აღმაშენებლის ვინაობის გამომხატველი, ეგრისის მთავარი ქუჯის სახელი **"ჭაქუჯი"**, ციხე-სიმაგრე **"ჭაქვინჯი"**, იგივე **"ჭაქუჯი"** დაახლოებით ათასი წლით გვიან იქნა აშენებული, ვინემ **"ია"** (არხაიო პოლისი, ნაქალაქევი). ამრიგად **"ია"**-ს დაარსებასთან და აშენებასთან ეგრისის მთავარს ქუჯის არავითარი კავშირი არა აქვს. ამდენად, ჭეშმარიტებას მოკლებულია ბატონიშვილ ვახუშტისა და ლეონტი მროველის წერილობითი ცნობა იმის შესახებ, თითქოს **"ია"** (არქაიო პოლისი, ნაქალაქევი) სამეგრელოს მთავარ ქუჯის მიერ იყო აშენებული.

**ამბროსი კილასონია**

*(გაგრძელება იქნება)*

# ღია წერილი საქართველოს პრეზიდენტს ბატონ მიხეილ სააკაშვილს!

ბატონო მიხეილ ამ წერილს გწერს 78 წლის კაცი, წარმოშობით ჭიათურის რაიონის სოფ. ცხრუკვეთიდან. აღნიშნული სოფელი თქვენც გეკუთვნით, მას ადრე ხშირად ახსენებდით მაგრამ რატომღაც გაქრა თქვენი აზროვნების ორბიტიდან, მივიწყებულია ისე, როგორც საქართველოს დანარჩენი სოფლები. მეც და ყველა ჩემ თანასოფლელს დიდი იმედი გაგვიჩნდა მაშინ, როდესაც ჩვენი საამაყო ქართული ოჯახის; — ბატონო იოსებ წერეთლის და ქალბატონ ოლღა ბაგრატიონის გენეტიკური შთამომავალი გაზრდილი ბატონ ნიკოლოზ წერეთლის და ქალბატონ თამარ აბაშიძის ოჯახში გახდით საქართველოს პრეზიდენტი. თქვენმა წინაპრებმა ზეციურ საქართველოში წაიღეს ცხრუკვეთის კეთილდღეობაზე ნაფიქრალი და ნაოცნებარი, რომლის აღსრულებაც ვერ შეძლეს. ჩვენ თანასოფლელებს გვეგონა თქვენი წინაპრების ნაფიქრალსა და ნააზრევს სინამდვილედ აქცევდი. ნუთუ თქვენთვის არავის უთქვამს, როგორ ზრუნავდა სოფლისათვის დედა-უნივერსიტეტის დამაარსებელი ივანე ჯავახიშვილის თანამებრძოლი ყველასთვის საყვარელი ადამიანი პროფესორი ალექსანდრე წერეთელი (ჩემი ნათლია). რომელმაც საქართველოს დამოუკიდებლობისთვის ბრძოლის გამო 19 წელიწადი გადასახლებაში გაატარა. და დღეს მისი სახელობის ქუჩაც კი არ არის თბილისში. როცა ამ დროს ათასი გადამთიელის ქუჩაა. აკადემიკოსი ანდრია ბიწაძე ხომ გაგიგიათ? თბილისის საკრებულომ რამდენიმე წლის წინათ მიიღო გადაწყვეტილება რომელიმე ქუჩას მისი სახელი დარქმეოდა, დღესაც ეს გადაწყვეტილება შესრულებული არ არის.

ეს ინფორმაციისათვის!

ეხლა შევეხები იმ საკითხს რომელიც დღეს ერისა და ბერის საფიქრალი გახდა. თქვენმა მოსვლამ პრეზიდენტის თანამდებობაზე, დიდი იმედი ჩაგვისახა გულში. ყველას ეგონა საქართველო გახდებოდა ეკონომიკურად მაღალგანვითარებული ქვეყანა და ყველა ვიცხოვრებდით ევროპულ დონეზე (თქვენი დაპირება ასეთი იყო), მაგრამ სასტიკად მოგტყუვდით — თქვენ შენების მაგივრად ნგრევა აირჩიეთ. რამაც საქართველო უფსკრულის პირას მიიყვანა, დაიკარგა ტერიტორიები, განადგურდა მეცნიერება, საქართველოს მოსახლეობის 70% უმუშევარია, მოსახლეობაში შიშის სინდრომმა დაისადგურა, თქვენი მოხელეები დაუსჯელად დაპარპაშობენ, პენსიონერთა ძვლებზე ჰყვავის კორუფცია, სისასტიკემ ზღვარს გადააჭარბა, ხალხი მონად იქცა, არსაიდან იმედი არ ჩანს; ტყუილი, ტყუილი და ისევ ტყუილი. მოტყუებული ხალხი რამდენჯერმე ქუჩაში გამოვიდა, რომელიც სასტიკად დაარბიეთ, ქართველი ხალხის სისხლით შეღებილ რუსთაველის პროსპექტზე მეორე დღეს ზეიმი ჩაატარეთ. ამან და სხვა თქვენს მიერ დაშვებულმა შეცდომებმა გადააწყვეტინა ბატონ ბიძინა ივანიშვილს პოლიტიკაში მოსვლა. აკი განაცხადა კიდეც **„სამშობლო მეღუპება და სხვა გადაწყვეტილების უფლება არ მქონდაო“** (ღმერთმა გვიმრავლოს ასეთი მაღალზნეობით გულანთებული ქართველები). ბატონო მიხეილ, ბიძინა ივანიშვილი არც წიკლაური, არც დარჩიაშვილი, არც **„პადოშა“**, არც გამყრელიძე და არც ნათელაშვილია. ბატონი ბიძინა ივანიშვილი დღევანდელი საქართველოს ილია ჭავჭავაძის დარი პიროვნებაა. ბატონი ილია თუ კალმით იცავდა საქართველოს, ქართულ კულტურას, ქართველ ხალხს (მას დიდი ფული არ ქონდა) ბატონი ბიძინა ივანიშვილი საქართველოს და მის ხალხს კალმითაც იცავს და ფულითაც. მას უანგაროთ უყვარს საქართველო და ასევე უანგაროდ შეიყვარა ქართველმა ხალხმა და მიიღო როგორც თავის ოჯახის საპატიო წევრად. ქართველებმა უდიდესი სიყვარული ვიცით, მაგრამ არც სიძულვილშიც ჩამოვუვარდებით სხვებს.

ბატონო მიხეილ! თქვენ სწორი ნაბიჯი გადადგით, როცა ბატონ ბიძინა ივანიშვილს უანგარო ქველმოქმედებისათვის საქართველოს მოქალაქეობა ჯილდოდ მიეცით, მაგრამ უკანონოდ მოიქეცით, როცა ჯილდოს სახით მიცემული მოქალაქეობა ჩამოართვათ, იმ საბაბით, თუ როგორ გაბედა ბატონ ბიძინა ივანიშვილმა პოლიტიკაში მოსვლა. ეს ხომ დემოკრატიის დასამარებაა?! — იმ ქვეყანაში რომელი ქვეყანაც დემოკრატიის შუქურადაა წოდებული. თქვენი ქმედება შეურაცხყოფის მიყენებაა ბატონი ბიძინა ივანიშვილის და მისი მეუღლის ქალბატონი ეკატერინე ხვედელიძის და მთელი ქართველი ხალხის მიმართ, რომლებიც შედიან და ლოცულობენ ბატონი ბიძინა ივანიშვილის მიერ უანგაროდ აშენებულ სამების ტაძარში.

ამ ბუმბერაზმა ქართველმა უანგარო ქველმოქმედებით ჯილდოს სახით მოიპოვა საქართველოს მოქალაქეობა, რაც სამართლიანი და დროული იყო. აღნიშნული მოქალაქეობას არავითარი კავშირი არ აქვს დაბადებით მიღებულ მოქალაქეობასთან. ჯილდოდ მიღებული მოქალაქეობა არ უკრძალავს ბატონ ბიძინა ივანიშვილს სხვა ქვეყნის მოქალაქეობას. აქედან გამომდინარე თქვენ უკანონოდ ჩამოართვით ბატონ ბიძინა ივანიშვილს და ქალბატონ ეკატერინე ხვედელიძეს საქართველოს მოქალაქეობა, რომელიც შეცდომაა და დანაშაულის ტოლფასია. აქედან გამომდინარე, გთხოვთ და მოგმართავთ თქვენი დიდი წინაპრების შეწუხებული სულების სახელით; — შეცდომა აღიარე, ბოდიში მოუხადე ბატონ ბიძინას და მის მეუღლეს ქალბატონ ეკატერინეს, საქართველოს გულანთებულ მთელ მოსახლეობას, რომელთაც იმედის ნაპერწკალი გაუჩნდათ ბატონი ბიძინა ივანიშვილის პოლიტიკაში შემოსვლით **„ვისაც დღე-და-ღამ ჰნატრობდა ჩუმის ნატვრითა ქართველი“** (კაკალაშვილის არ გეგონოს ილია ჭავჭავაძის სიტყვებია) და უპირობოდ აღიდგინეთ საქართველოს მოქალაქეობა.

თქვენ, ბატონო პრეზიდენტო, პროფესიით იურისტი ბრძანდებით, მგონი სამოქალაქო სამართლის სპეციალობით (როგორც მახსოვს ერთ თქვენ გამოსვლაში აღნიშნეთ). თქვენ ქმედებას კანონის საღი თვალით შევხედოთ. საბჭოთა პერიოდში ჩვენ ყველანი საბჭოთა მოქალქეებად ვითვლებოდით. ვლადიმერ მაიკოვსკის სიტყვებს მოგაგონებთ **„აჰა მიიღე ადივსე შურით საბჭოთა კავშირის ვარ მოქალაქე“** ამ სიტყვებით მან ამერიკელებს მიმართა. საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ ბატონი ბიძინა ივანიშვილი რუსეთში დარჩა და მიიღო რუსეთის მოქალაქეობა, მაგრამ ის, რომ მას არ ქონდა საქართველოს მოქალაქეობა ხელი არ შეუშლია იმ უანგარო ქველმოქმედებისათვის რასაც ის აწარმოებდა საქართველოში. თქვენ ღირსეულად დააფასეთ მისი უანგარო ქველმოქმედება და ყოველგვარი პროცედურის გარეშე, რაც კონსტიტუციითა და ორგანული კანონით არის დადგენილი, მიანიჭეთ ჯილდოს სახით საქართველოს მოქალაქეობამ, რომელიც არ ექვემდებარება ჩამორთმევას. მით უმეტეს მაშინ, როცა ჯილდოს მფლობელი უფლის სახლის ამშენებელია. სწორედ უფალმა შეაცვლევინა ბატონ ბიძინას წინანდელი განცხადებები, რომ ის პოლიტიკაში არასდროს არ მოვიდოდა და გამოგვიგზავნა ქართველ ხალხს უფლის წილხვედრი საქართველოს გადასარჩენად. თუ თქვენ უფლის ნებას წინ აღუდგებით და გაჯიუტდებით მაშინ უფალი მის წილხვედრ ქვეყნის გადასარჩენად აამოქმედებს კანონს რომელი კანონიც მის ხელშია და სახელმწიფო კანონზე მაღლა დგას, რომელი კანონითაც იმოქმედეს ქართველი ხალხი და მიიღებს სწორ და სამართლიან გადაწყვეტილებას.

ბატონო პრეზიდენტო ყური დაუგდე ჩვენ სულიერ მამას უწმინდესსა და უნეტარესს ილია II-ის თქვენ ცუდ რჩევას არ მოგცემთ.

აღნიშნული გადაწყვეტილება თუ თქვენით მიიღეთ — შეცდომაა, თუ ვინმემ გირჩიათ — მტერია თქვენი.

მოგმართავთ! დაფიქრდით ცივი გონებით მიიღეთ სწორი გადაწყვეტილება რომელსაც მთელი ქართველი ხალხი ელოდება და აღუდგინეთ საქართველოს მოქალაქეობა ბატონ ბიძინა ივანიშვილს და ქალბატონ ეკატერინე ხვედელიძეს. უფალი ლმობიერია იმათ მიმართ ვინც დაშვებულ შეცდომებს, როგორიც მძიმე არ უნდა იყოს, გამოასწორებს. წინააღმდეგ შემთხვევაში უფლის რისხვა მძიმე იქნება.

თქვენი კეთილის მსურველი,

**ლეონტი ბიწაძე**

# მეგრული სეპარატიზმი?

ადამიანთა ერთი ნაწილი (რა თქმა უნდა, ძალიან მცირე) პირზე დუჟმორეული ამტკიცებს, რომ ბუნებაში არსებობს მეგრული სეპარატიზმი. სამწუხაროდ, ზოგიერთი მათგანი აღიარებს მეგრული სეპარატიზმის არსებობის საჭიროებასაც კი, რაც, ჩვენის აზრით, ძირშივე მცდარი აზრია. სამეგრელოში სეპარატიზმის არსებობა სინამდვილეს არ შეესაბამება. შესაძლებელია, ზოგიერთკონკრეტულ პიროვნებაში არსებობდეს გარკვეული სეპარატისტული განწყობილება, რასაც, ცხადია, თავისი ობიექტური მიზეზები გააჩნია, რაზედაც ჩვენ ქვემოთ გვექნება საუბარი.

საერთოდ, რა მწარეც არ უნდა იყოს სიმართლე, უმჯობესია დროულად ვთქვათ და საქვეყნოდ განვაცხადოთ. ჭირი, ცხადია, მაინც არ დაიმალება, ისევე, როგორც შუბი ხალთაში და რაც უფრო ჩქარა იქნება იგი გამოვლენილი, მით უფრო უკეთესია, რადგან დროულად გახდება შესაძლებელი მისი ლოკალიზება და, ბოლოს, მისი ლიკვიდაცია.

## "ციტატა-შეხსენება

...ახლანდელი ხელისუფლების მმართველობის წლებში სამეგრელო აჟვავებული, საკმაოდ განვითარებული აგრარულ-ინდუსტრიული რეგიონიდან გაძარცვულ, გაღატაკებულ და ჩამორჩენილ პროვინციად გადაიქცა, უმუშევარი მოსახლეობით, ემიგრაციის კატასტროფული დონით, სიკვდილიანობის მაღალი მაჩვენებლით, გაყინული კულტურული ცხოვრებით. აფხაზეთის დაკარგვისა და სატრანსპორტო კომუნიკაციების გადაკეტვის შემდეგ სამეგრელო გეოეკონომიკურ ჩიხში მოექცა. უკიდურეს ეკონომიკურ სიდუხჭირეს ემატება ხალხის მეხსიერებაში სამუდამოდ აღბეჭდილი ის დამცირება, ტანჯვა და შეურაცხყოფა, რომელიც ახლანდელმა ხელისუფლებამ მიაყენა სამეგრელოს მოსახლეობას. როდესაც მე მსაყვედურობდნენ იმის თაობაზე, რომ სამეგრელოს განსაკუთრებულად მძიმე მდგომარეობას ვუსვამდი ხაზს და მეუბნებოდნენ, რომ ყველა რეგიონი დიდ გაჭირვებას განიცდის, მე ვპასუხობდი და დღესაც ვპასუხობ: ჯერ ერთი, რა საამაყო და სატრაბახოა, რომ მთელი ქვეყანა გაჭირვებაში და უკიდურეს მდგომარეობაში იმყოფება. მეორე, სამეგრელომ სხვა რეგიონებისაგან განსხვავებით, უმძიმესი და უსასტიკესი დარტყმა მიიღო, რომელიც თავისი სიმძიმით ეკონომიკურ და სოციალურ სიდუხჭირეს ერთად აღებულს უდრის...

ალექსანდრე ჭაჭია,
2001 წლის 12 ოქტომბერი".

ჩვენ არა გვაქვს პრეტენზია ისტორიულ-მეცნიერული თვალსაზრისით მივუდგეთ მეგრული სეპარატიზმის არსებობის თუ არარსებობის საკითხს, მაგრამ გვინდა ვისაუბროთ, რომ თუკი ასეთი განწყობილება არსებობს, საიდან უნდა იღებდეს სათავეს და, საერთოდ, რა ქმნის სეპარატიზმის საფუძველს, როგორ შეიძლება გაღვივდეს და აღმოცენდეს იგი და ა.შ.

ყოველივე ეს საჭიროდ გვესახება თუნდაც იმიტომ, რომ ყველამ ერთად, როგორც შეგვიძლია და რითაც შეგვიძლია ვეძებოთ სეპარატისტული განწყობილების ლიკვიდაციისა და ამ უბედურების სრულად აღმოფხვრის გზები. 1992 წლის 7 სექტემბერს, საქართველოს ტელევიზიით გამოსვლისას ქართველ ტრადიციონალისტთა კავშირის თავმჯდომარემ, ბატონმა აკაკი ასათიანმა განაცხადა: **"ჩემს გაოგნებას იწვევს თბილისელთა და საქართველოს სხვა კუთხის წარმომადგენელთა არაჯანსაღი დამოკიდებულება სამეგრელოსადმი და საერთოდ მეგრელი კაცისადმი. ესენი ხომ დასაბამიდან ჩვენი სისხლი და ხორცი არიან? სამეგრელო არც სამაჩაბლოა და არც აფხაზეთი. მეგრელი კაცი არც ოსია და არც აფხაზი. მე ჯერ არ შემხვედრია მეგრელი კაცი, რომელიც უარყოფდეს თავის ქართველობას. ამას სხვა კუთხის შვილები ამბობენ, თუმცა არა ყველა".**

ნათქვამია, სამ წვეთ ნავთს შეუძლია სამი კილოგრამი თაფლი წაახდინოს, მას ნავთის სუნი და გემო მისცეს, რის შემდეგაც იგი საკვებად აღარ გამოდგებაო. სწორედ ასეა აქაც, სწორედ ეს მცირე ნაწილი საქართველოს მოსახლეობისა სხვადასხვა კუთხიდან უბიძგებენ სამეგრელოს მკვიდრთ, რათა მათ ჩამოუყალიბდეთ სეპარატისტული განწყობილება.

მაგალითად, რა გამართლება შეიძლება მოეძებნოს ბანდფორმირება მხედრიონის მიერ ჩადენილ ბოროტებას 1992 წელს ზუგდიდსა და წალენჯიხაში და ე.წ. **"სამთავრობო"** ავიაციის მიერ მარტვილის ცენტრის დაბომბვას. **"ხუნტის"** წევრთა მოქმედება და სისასტიკე თვით გადამთიელი დამპყრობლების: თემურ ლენგის, ჯალალედინის, შაჰ-აბას პირველის და მურვან ყრუს მიერ თავის დროზე ჩადენილ ბოროტებას თუ შეიძლება შეადაროს ადამიანმა.

ქალაქები ზუგდიდი და წალენჯიხა ხუთჯერ იქნა გაძარცვული და შეურაცხყოფილი, ღირშესანიშნავი შენობა-ნაგებობები ვანდალებმა გადაწვეს და საძირკვლამდე დაანგრიეს. სოფელი დარჩელი ჯერ პირწმინდად გაძარცვეს, შემდეგ კი ოცდაშვიდი ოჯახი გადაწვეს. ამ ბარბაროსულ სადამსჯელო ოპერაციებს პირადად ბანდიტი ჯაბა იოსელიანი თავკაცობდა. ერთხელ მან რიხიანად განაცხადა: **"მერე რა, თუ ვძარცვავდით, ეს ომის წესია, ნაპოლეონიც ძარცვავდა მოსახლეობას ომის დროს"**. ამ აზრზე მდგომთ გვინდა შევახსენოთ, თუ ნაპოლეონი ძარცვავდა, მას ფრანგები არასოდეს გაუძარცვია. იგი დაპყრობილ ხალხებს შეიძლება ძარცვავდა კიდეც, მაგრამ მხოლოდ იმისათვის, რომ საკუთარი ჯარი გამოეკვება. ჯაბა იოსელიანი და მისი ამფსონები კი თავის სისხლსა და ხორცს ძარცვავდნენ, ქართველობას ძარცვავდნენ.

ჩვენს გაოგნებას იწვევდა ცნობილი და საპატიო პიროვნებების, ბატონების, პროფესორ აკაკი ბაქრაძის (სტატია დაწერილი იყო ჯერ კიდევ მის გარდაცვალებამდე – „ილორი") და ლაშა თაბუკაშვილის გაუმართლებელი თანაგრძნობა ჯაბა იოსელიანისა და მისი მხედრიონისადმი. ისინი უდანაშაულოდ თვლიდნენ ე.წ. **"კანონიერ ქურდს"** ჯაბა იოსელიანს და მის ყაჩაღურ გარემოცვას. ნუთუ სამეგრელოს რეგიონის ხუთგზის გაძარცვას, ხალხის შეურაცხყოფა-დამცირებას, დაყაჩაღებას, საცხოვრებელი სახლების გადაწვას და სხვა უთვალავ დანაშაულს შეიძლება მოეძებნოს რაიმე გამართლება? ნუთუ ამ ადამიანებს სამეგრელოს მრავალგზის აწიოკება ცხოვრების ნორმად მიაჩნიათ?

ზუგდიდში ცენტრალურ მოედანზე, მომიტინგეთა გაფანტვის მიზნით, ტყვია დაუშინეს შეკრებილ ხალხს. რამდენიმე კაცი სასიკვდილოდ დაიჭრა. ენგურქაღალდკომბინატის ტერიტორიაზე არსებული, თანამედროვე სტილით აგებული სასტუმრო, ქალაქის ცენტრში არსებული სასტუმრო **"ოდიში"**, მილიციის შენობა, სახლმმართველობის შენობა და სავაჭრო ცენტრი **"თუთარჩელა"** დაწვეს. ყოველივე ზემოთ აღნიშნული და კიდევ ბევრი გაუგონარი დანაშაულებრივი მოქმედებით გაბოროტებულმა ექსპრეზიდენტის მომხრეთა ორმოცდაათკაციანმა ჯგუფმა 1992 წლის თებერვალში იერიში მიიტანა ენგურქაღალდკომბინატის ტერიტორიაზე დაბანაკებულ მხედრიონელებზე. მოკლული იქნა სამი მხედრიონელი, დაიჭრა ხუთი. დანარჩენ ოცდაათს იარაღი აჰყარეს და დაატყვევეს. ორი მხედრიონელი თურმე ნარკოტიკებით გაბრუებული თუ ალკოჰოლით გადამთვრალი იწვა სასტუმროს კორიდორის ბოლოში მდებარე ნომერში. ისინი თავდაპირველად არავის გახსენებია. როცა გაიხსენეს, უკვე ძალიან გვიანი იყო. ხანძრის სტიქია ბობოქრობდა. ეს ორი მხედრიონელი ცეცხლმა იმსხვერპლა.

მომდევნო დღეს ტელევიზიამ უჩვენა დამწვართა გვამები. ეს იყო მართლაც საზარელი სანახაობა. ამის თაობაზე კი დიქტორი ფრიად თვითდაჯერებული ინტონაციით გვაუწყებდა: **"...აი, რა გააკეთეს ზუგდიდში, ორი ადამიანი ცოცხლად გამობუგეს ხანძარში"**. შემდეგ ვიღაც ზნედაცემული და სინდისგარეცხილი ექიმი-ექსპერტი **"ამტკიცებდა": "აი, აქ დაუსვიათ დანა და აუჭრიათ ხორცი"** და ა.შ. ამით პატივცემული დიქტორი და ექიმი მთელ საქართველოს უნერგავდნენ ზიზღს **"კაცის ცოცხლად დამწველ და შემდეგ დამწვრის ტანიდან ხორცის დანით ამჭრელ და მჭამელ ზუგდიდელებზე"**. სამწუხაროდ, ამ პროვოკაციული გადაცემის ავტორს და ექიმ-ექსპერტს ამგვარ ამაზრზენ ინსინუაციაზე პასუხი არავინ მოსთხოვა.

ანალოგიური ფაქტის მოწმენი გავხდით 1992 წლის სექტემბერში. ქვემო დარჩელის რამდენიმე შეძლებული ოჯახი გადაწვეს მხედრიონელებმა. ისინი სამი მანქანით მიდიოდნენ ნაძარცვ-ნაალაფარით დატვირთულები. მათ დარჩელისა და ახალკახათის გასაყართან დახვდნენ წინა დღით გაძარცვული მოქალაქეები და ცეცხლი დაუშინეს ნაძარცვით დატვირთულ მანქანებს: ერთი მანქანა, რომელშიც სამი მხედრიონელი იჯდა, დაიწვა. ორი დაიცხრილა, 6 მხედრიონელი დაიჭრა. ამ ფაქტის შესახებ ტელევიზიამ გადმოსცა: **"ნაომარი, დაღლილ-დაქანცული ბიჭები მოდიოდნენ გზაზე, ზვიადისტები დახვდნენ და, აი, როგორ გაუსწორდნენ მხედრიონელებს"**. ეს გადაცემა გახლდათ აშკარა პროვოკაცია. ამით ტელევიზიამ დიდი ცოდვა ჩაიდინა. ამ გადაცემით, რა თქმა უნდა, ძალაუნებურად, მნახველში აღიძვრებოდა ზიზღი სამეგრელოსადმი. საკითხავია, რატომ გაკეთდა ეს, ან რა მიზანი ჰქონდა მას. მოვიგონოთ 1950-1952 წლებში შეთითხნილ-შეკოწიწებული, ავადსახსენებელი **"მეგრელთა საქმე"**. რა იყო ეს? განა ყოველივე ეს გულს არ გაუტეხს მეგრელ კაცს და არ ქმნის ნიადაგს სეპარატისტული განწყობილების აღმოცენებისათვის? საკითხავია, ვის მიერ იყო შეთითხნილი ეს და რა მიზანს ისახავდა იგი. აკ. მგელაძე, ნ. რუხაძე, ბერიშვილი, ელისაბედაშვილი, ეგნატაშვილი, მისთანანი და ძმანი მათნი ხომ **"მეგრელთა საქმის"** აგორებით არწმუნებდნენ სტალინს მთელი სამეგრელოს მოსახლეობის აყრასა და გასახლების აუცილებლობაში. რისთვის იყო ჩაფიქრებული ყოველივე ეს მუხანათობა და სისაძაგლე? პასუხი ცალსახაა, ზემოთ ხსენებული ვაუბატონები და მათი თანამოსაქმენი ვერაფრით ვერ ურიგდებოდნენ საბჭოთა კავშირში თითქმის მეორე კაცად მეგრული წარმოშობის ბერიას აღიარებას. ცხადია, რომ ყველაფერი მიმართული იყო ბერიას ლიკვიდაციისათვის. მათ სურდათ ბერიას მოსპობა და მის ადგილზე აკაკი მგელაძის დასმა. ამით რუხაძეს გზა ეხსნებოდა შინაგან საქმეთა საკავშირო მინისტრის პოსტისაკენ. ე.ი. სახეზე იყო ომი სავარძლისათვის, რომელიც ზნეობადაცემულ კაცუნას პირადი აღზევების მიზნით ძმასაც კი გაამეტებინებს დასაღუპავად.

მამაზეციერმა სტალინს სიკვდილის განაჩენი გამოუტანა. იგი 1953 წლის 5 მარტს აღესრულა. არადა, მოსალოდნელი იყო სამეგრელოს მოსახლეობასაც ჩრდილო კავკასიის ხალხების და მესხების ხვედრი გაეზიარებინა.

აი, ასეთი და სხვა ბევრი ფაქტი, რომელზედაც ქვემოთ გვექნება საუბარი, ხელს უწყობს მეგრელ კაცში სეპარატისტული გრძნობების ჩასახვას, გაღვივებას და აღმოცენებას.

დასავლეთ საქართველოში დადის ასეთი გამოთქმა: **"აფხაზს ეუბნებიან, "შენ ქართველური წარმოშობის ხარო". აფხაზი მთელი ხმით გაჰყვირის: "არა, მე ქართველობისა არაფერი მცხია". მეგრელი თვითონ ამბობს "მე ქართველი ვარ". მაშინ მას ხმამაღლა უკიჟინებენ "არა, შენ ქართველი არა ხარ!"** რას ნიშნავს ყოველივე ეს? ასეთი ახირებული დამოკიდებულებაც ხომ აშკარად ხელს უწყობს მეგრელ კაცში სეპარატისტული გრძნობის ჩამოყალიბებას.

მეცნიერულად ხომ დამტკიცებულია, რომ მეგრელები, ლაზები და ჭანები ქართველური ტომები არიან. მერე რა, დიდი გერმანია ხომ ორასამდე სხვადასხვა ტომისაგან შედგება. პრუსია ყოველთვის იყო მათი გამაერთიანებელი და შემკვრელი ერი ერთიანი გერმანული სახელმწიფოსი. აღნიშნული ტომები ეთნიკურად ახლოს არიან და ერთი მეორის მსგავსი გერმანული დიალექტით საუბრობენ. მიუხედავად აღნიშნული დიალექტების ფონეტიკური სიახლოვისა, ქვეყნის დასაწყისში მცხოვრებლებს არც კი ესმით ქვეყნის მეორე ბოლოში მცხოვრებთა ლაპარაკი, მაგრამ ყველა მათგანს ერთიანი სახელმწიფო და ერთიანი ენა – გერმანული აქვთ და გერმანელ ერს წარმოადგენენ.

საინტერესოა და საკითხავი: რა მოხდა ჩვენში, საქართველოში არსებულ შვიდ ქართველურ ტომს რა ვერ გაუყვიათ? რითი ვერ გუობს ეს ექვსი ძმა მეშვიდეს? აკი ვიძახით, რომ გიორგი ჭყონდიდელმა დავით აღმაშენებელს პატარაობიდანვე ჩაუნერგა: **"საქართველოს ძლიერება მის ერთიანობაში უნდა ეძებოო"**. განა ამაში შეიძლება დღეს ვინმეს ეჭვი შეეპაროს? 1965 წლის შემოდგომაზე ზუგდიდში მიმდინარეობდა ილიკო სუხიშვილისა და ნინო რამიშვილის ქორეოგრაფიული ანსამბლის გასტროლები. ბატონმა ილიკომ შესვენებისას დამსწრე საზოგადოებას შემდეგი საინტერესო ამბავი მოუთხრო: **"შარშან ჩვენი ანსამბლი საგასტროლოდ თურქეთის რესპუბლიკაში გაემგზავრა. როცა წინა წელს ვიყავით თურქეთში, იქაურმა ქართველებმა გვთხოვეს მათთვის ჩაგვეტანა "დედა-ენა". მე 3.000 ცალი "დედა-ენა" ვიყიდე, შევაფუთვინე და სხვა ბარგთან ერთად წავიღეთ. "ტამუნიაში" დაიწყეს გასინჯვა ჩვენი ბარგისა. ჩვენ, რა თქმა უნდა, ერთიმეორესთან ქართულად ვლაპარაკობდით. ჩვენს ლაპარაკს ეტყობა ყური მოჰკრა "ტამუნის" უფროსმა. იგი აღელვებული მოვარდა ჩვენთან და გვკითხა: "კაცო, ჩვენებურები ხართ?" ეს კაცი თურქეთში მცხოვრები ქართველი (ლაზი) აღმოჩნდა. როცა გაიგო რომ ჩვენ ქართველები ვიყავით, მაშინვე გასცა განკარგულება, რათა ჩვენი ბარგი ყოველგვარი კონტროლის გარეშე გაეტარებინათ და თავისი ხალხი ბარგის გადატანაშიც კი დაგვახმარა. აი, ასე და ამგვარად გავიდა 3.000 "დედა-ენა" თურქეთის რესპუბლიკაში. იცით, მეგობრებო, რა დიდი საჩუქარი იყო ეს იქაური ქართველებისათვის? მას ენით ვერ გამოვხატავ. მართალი გითხრათ, თავიდან შემეშინდა კიდეც, რომ დაეჭირათ ეს წიგნები, "ტამუნის" უფროსი ასე კაცურად რომ არ მოქცეულიყო, სკანდალი გარდუვალი იყო. თურქეთში, განსაკუთრებით ტრაპიზონსა და ართვინში ლაზებს წამყვანი ადგილი უკავიათ. მთელი ანსამბლი მიგვიწვია ერთმა მილიონერმა ლაზმა, დაგვაბინავა ზღვისპირეთის ზღაპრული სილამაზის ბუნებაში ჩაფლულ მრავალსართულიან სასტუმროში, იქ დავყავით ორ კვირაზე მეტი, მთელი ამ ხნის განმავლობაში რაღაც საოცარი სიყვარულით და სიკეთით ვიყავით გარემოსილნი, ბინის და საჭმლის ხარჯი არ გადაგვახდევინა, წამოსვლისას დიდი ბანკეტი გაგვიმართა და ყველას სამახსოვრო საჩუქრები დაგვირიგა.

თურქეთის რესპუბლიკის მაშინდელი პრეზიდენტი შევდეთ ცუნაი შესვენებისას მოვიდა ჩვენთან, გაგვესაუბრა და გვითხრა: "მე ქართველებთან ნათესაობა მაკავშირებს, დედაჩემი ლაზია. იგი ახალგაზრდობაში ლამაზი ყოფილა. საერთოდ, ლაზები არ თხოვდებიან თურქებზე, მაგრამ მამას დედაჩემი მოუტაცნია. ასე და ამგვარად, მე ნახევრად ლაზი, ე.ი. ქართველი ვარ". შემდეგ იგი ლაზურად გაესაუბრა ჩვენი ანსამბლის წევრ მეგრელ ბიჭებს. ძალზე ამაღელვებელი იყო, რომ თურქეთის რესპუბლიკის პრეზიდენტი და ჩვენი ანსამბლის წევრები ლაზურად (ლაზური და მეგრული თითქმის ერთიანია) საუბრობდნენ.

შემდეგ ჩვენთან მოვიდა იქაური აფხაზი კაცი. მან გვითხრა, ამ მხარეში მცხოვრებ აფხაზთა შორის ყველაზე ღარიბი მე ვარ, საკუთრებაში მაქვს მხოლოდ ერთი ტრაქტორი და ხუთი ჰექტარი მიწა. ჩვენ გაოგნებულები დავრჩით – 5 ჰექტარი მიწისა და ერთი ტრაქტორის მფლობელს ნუთუ ღარიბი ეთქმის? როგორც ვხედავთ, თურქეთში მცხოვრები ლაზები და ჭანები თავს ქართველებად თვლიან. ეს უნდა გვახარებდეს კიდეც. ტერიტორია, რომელიც ლაზებსა და ჭანერებს უჭირავთ, საქართველოს ამჟამინდელი ტერიტორიის თითქმის ერთ მესამედს შეადგენს".

სეპარატისტული განწყობილების წარმოშობის ერთ-ერთ მიზეზად გვესახება კომუნისტური რეჟიმის დროს არსებული გაუთავებელი შემოწმებები სამეგრელოს რეგიონისა. ეს მაშინ მოდაშიც კი იყო. პირადად მომისმენია ზუგდიდელი ერთ-ერთი პასუხისმგებელი პირის წუხილი: **"წელს იანვრიდან ივლისამდე 16 სხვადასხვა ინსტანციიდან მოვიდნენ შემმოწმებლები. ზოგი პარტიის ცეკადან, ზოგიც სოფლის მეურნეობის სამინისტროს სხვადასხვა განყოფილებებიდან და ა.შ."**. იმ პერიოდში სასწავლებელი, სადაც მე ვმუშაობდი, ერთ წელიწადში ათჯერ შემოწმდა. ჩვენ სტუმრების დახვედრის, გართობის და გაცილების მეტს ვერაფერს ვასწრებდით. აღნიშნული შემმოწმებლები ჩამოდიოდნენ 5-6 დღით. წასვლისას უყურადღებოდ არ რჩებოდნენ. ასე და ამგვარად **"მოწმდებოდა და მოწმდებოდა"** ობიექტები. იმ პერიოდში, ავი ენები, იმასაც კი ამბობდნენ, რომ, თბილისში, თურმე, დიდი კონკურსი იყო სამეგრელოსა და აფხაზეთის რაიონებში შემოწმებაზე გასამგზავრებლად.

ვალიკო ზონია,
ზუგდიდის რაიონი,
სოფელი დარჩელი.

*(დასასრული შემდეგ ნომერში)*

ეროვნული ბიბლიოთეკა

# რა ენაზე დაიწერა დედანში ბიბლიური „დაბადება“?

**(მოხსენება აკადემიის სამეცნიერო სხდომაზე განსახილველად)**

„კვლავ შეიცნო ადამმა თავისი ცოლი; შვა ქალმა ვაჟი და უწოდა სახელად **შეთი**, რადგან მომმადლაო უფალმა სხვა ნაშიერი ნაცვლად აბელისა, კაენმა რომ მოკლა“ (დაბ.4.25). **შ,თ, (-შეთი)** ნიშნავს: **ახსოვს [უზენაესი] ნათელი,** ზოგადი ფორმით: **[უზენაესი] ნათელის ხსოვნა**.

**ჭ,ბ,რ, ( —-ჭაბერე —- ჭაბელე —-ჭაბელი —-აბელი)** სიტყვა – სიტყვით ნიშნავს: **ქმნილი [უზენაესთან] კავშირისათვის არის,** უფრო გამართულად, **ქმნილი [უზენაესთან] კავშირის მქონედ**, ანუ **უზენაესთან მოკავშირედ ქმნილი**. ამიტომაც უფალი აბელს და მის მიერ მორთმეულ ძღვენს ყურადღებას აქცევდა, კაენს კი არა. შეთი აბელის სანაცვლოდ იმიტომ იყო მომადლებული, რომ იცოდა მასაც ექნებოდა უზენაესი ნათელის ხსოვნა.

ხსოვნა ადამისა, ფაქტიურად, მხოლოდ იბერთა მოდგმამ შეინარჩუნა. ადამიანს რუსულად ჰქვია **человек,** ინგლისურად - **man**, სომხურად **ყოტ** და ა.შ. სიტყვა ადამიანი ( —-ადამი(სი)ანი ——ადამი(ში)ანი. ანუ ადამის მოდგმისანი, ადამის სამყაროსი მხოლოდ ე.წ. ქართველურ ენებს გვაქვთ შენარჩუნებული. ეს ძალზე მნიშვნელოვანია.

„შეთსაც შეეძინა ვაჟი და უწოდა სახელად ენოში, მაშინ დაიწყო უფლის სახელის ხსენება “ (დაბ. 4.26). მიაქციეთ ყურადღება! „... უწოდა სახელად ენოში და მაშინ დაიწყო უფლის სახელის ხსენება“. აქ, უეჭველია, რაღაც მინიშნებაა და ეს რაღაც საიდუმლო იმ ენამ უნდა გახსნას, რა ენაზეც იგი დაიწერა. ასეთივე მინიშნებებია დანარჩენ არგუმენტებშიც..

**ჭ,ნ,შ,** (-ჭენოში – ენოში) ნიშნავს: ქმნილი უფლის ხსოვნისათვის ანუ უფლის გახსენებისათვის. (აქ ნ, არის წყალი. წყარო სიცოცხლისა, ანუ იგივეა, რაც ღმერთი, უფალი) (შეად. დაბ. 4.26). რაკი **უფლის ხსოვნისთვის ქმნილი** დაარქვა შვილს, ყოველი დაძახებისას გამოვიდოდა უფლის სახელის ხსენება, აბა რა იქნებოდა?

9. „იცოცხლა ლამექმა ასოთხმოცდაორი წელი და შვა ძე. უწოდა მას სახელად ნოე. ასე თქვა: ეს გვანუგეშებს ჩვენს შრომასა და ჯაფაში ამ მიწაზე, რომელიც დასწყევლა უფალმა“ (დაბ. 5.28-29).

სახელ <u>**ნოეს**</u> თავდაპირველ დედნურ ფორმაში **ო** და **ე** ბგერებს შორის ჭ(„) ბგერა უნდა მჯდარიყო და არქაულ ხანაში უნდა დაწერილიყო ფორმით ნ,ჭ, (გახმოვანების შემდეგ – ნოჭე), რაც ნიშნავს **უფლისგან ქმნილს**.

ბუნებრივია, უფლისგან დაწყევლილ მიწაზე შრომასა და ჯაფაში ოფლისმღვრელ ლამექს **უფლისგან ქმნილი** მემკვიდრე –ძე ანუგეშებდა (შეად. დაბ. 5.29).

10. „იცოცხლა ენოქმა სამასოცდახუთი წელი და შვა მეთუშალახი“ (დაბ. 5.21) ენოქის დედნისეული ფორმა უნდა ყოფილიყო, „ **,ნ,ქ**, (ქმნა; სიცოცხლის წყარო – უფალი ღმერთი; მიწა (დედამიწა). **ქი** იგივეა, რაც **გი**. **გ-ქ-კ**-ს და, საერთოდ ჰარმონიულ ბგერათა ფონეტიკური თვისებაა სიტყვაში ერთიმეორის შეცვლა. ე.ი. **მიწაზე ქმნილმა ღმერთმა** (ენოქმა) შვა მეთუშალახი (—— მ,თ,შ,ლ,ხ,‖ მე, ნათელი, ხსოვნა, ვარდნა, შობა), რაც ნიშნავს **ვარდნის (დაცემის) შემდეგ შობილ მესგან (უზენაესი) ნათელის ხსოვნა**-ს, ანუ ჯერ კიდევ ღვთის ხატმა (ღვთიური ცოდნით აღჭურვილმა მიწიერმა ღმერთმა – ენოქმა) შვა დაცემის შემდეგ შობილ მესგან უზენაესი ნათელის ხსოვნა – მეთუშალახი.

11. ენოქი, რომ ზეკაცი იყო ჩანს დაბადების შემდეგი ფრაგმენტიდან: „დადიოდა ღმერთთან ენოქი მეთუშალახის დაბადების შემდეგ სამასი წელი და შვა ძენი და ასულნი.

სრული ხანი ენოქისა იყო სამასოცდახუთი წელი.

დადიოდა ღმერთთან ენოქი და აღარ იყო, რადგან წაიყვანა იგი ღმერთმა“ (დაბ. 5.22 24). უკანასკნელი წინადადება ასე უნდა გავიგოთ: მიწიერი ღმერთი ენოქი დადიოდა ღმერთთან, რადგან იგი გაღმერთებული ადამიანი იყო და ბოლო ვიზიტისას „აღარ იყო (აღარ დაბრუნებულა, კ.ფ.), რადგან წაიყვანა იგი ღმერთმა“.

12. „იცოცხლა მეთუშალახმა ასოთხმოცდახუთი წელი და შვა ლამექი“ (დაბ.5.25). ლამექი [—-ლ,მ,ქ, ‖ ვარდება, მე, მიწა) ‖ <u>**ვარდნილი მე მიწაზე, ანუ ცოდვით დაცემული ადამი ბნელ (მიწიერ) სამყაროში,**</u> რომელსაც უკვე წართმეული (დაკარგული) ჰქონდა უზენაესის მიერ ბოძებული ღვთიური ნათელი და ღვთიური ცოდნის მხოლოდ ნაპერწკალიღა ჰქონდა შერჩენილი, ამიტომ მას **უფლისგან ქმნილი** ძე – ნოე ანუგეშებდა.

13. ყოვლისშემძლე შემოქმედს, თითქოსდა, არ მოეწონა, რომ ადამიანები ყოვლისშემძლეობაში ეჯიბრებოდნენ და „თქვა უფალმა: აჰა ერთი ხალხია ეს და ერთი ენა აქვს ყველას: რაკი ეს საქმე წამოუწყიათ, ამიერიდან გააკეთებენ ყველაფერს, რასაც კი განიზრახავენ.

აბა ჩავალ და ენას ავურევ მათ, რომ ვერაფერი გააგებინონ ერთმანეთს. გაფანტა ისინი უფალმა იქიდან მთელს დედამიწის ზურგზე და მათაც შეწყვიტეს ქალაქისა და გოდოლის შენება.

ამიტომ ეწოდა სახელად **ბაბილონი**, რადგან სწორედ აქ აღრია უფალმა მთელი დედამიწის ენა და აქედან გაფანტა ისინი უფალმა მთელი დედამიწის ზურგზე“ (დაბ. 11. 6 9).

**ბაბილონი** დედანში **ბ,ბ,ლ,ნ,** ფორმით უნდა უნდა ყოფილიყო დაწერილი.

არქაულ ფორმის წინადადებაში **ბ,ბ,ლ,ნ, ბ,** ნიშნავს **ბმა**-ს, **კავშირს**, **ლ, - ვარდება**-ს, ნ, კიდევ, წყალს – **წყაროს სიცოცხლისა** – ს, მეტაფორული მნიშვნელობით **ღმერთს, უფალს**. მაშინ თანამედროვე მეტყველების დონეზე ბ,ბ,ლ,ნ, სიტყვა – სიტყვით ნიშნავს: **ბმა – ბმად ვარდება უფლისგან**. ბმა-ბმად, ანუ ოჯახებად, თუ **საგვარეულოებად განიდევნება უფლისგან**, და სადაც ეს მოხდა, იმ ადგილს ეწოდა **ბმა-ბმად ვარდნა უფლისგან**, ანუ **ბ,ბ,ლ,ნ,** ( ბაბილონი) (შეად, დაბ. 11.9).

14. ღვთის გამოგზავნილი და სოდომის გასანადგურებლად მოსულ კაცებს (ანგელოზებს) შეხვდა სოდომის კარიბჭესთან მჯდარი ლოტი. ლოტმა მათ თავისი გულწრფელი სამსახური შესთავაზა. მათ თავიდან იუარეს ლოტის სამსახური, მაგრამ ბოლოს მაინც დათანხმდნენ და სახლში შეყვნენ ლოტს, რომელმაც გულუხვად უმასპინძლა. „ვიდრე დასაძინებლად დაწვებოდნენ“, გარს შემოეხვია ლოტის სახლს სოდომის მოსახლეობა, დიდი და პატარა, რომ მოეკლათ ლოტის სტუმრები, მაგრამ ლოტი წინ აღუდგა. მაშინ მასაც დაემუქრნენ და უთუოდ მოკლავდნენ, მაგრამ „ხელი გამოიწოდეს“ უფლისგან მოვლენილმა ცის კაცებმა, შეიყვანეს ლოტი, კარი შიგნიდან ჩარაზეს, ხოლო მათ ყველას სიბრმავე მოჰგვარეს, რომლის შემდეგ უვნებელნი დარჩნენ.

შემდეგ ლოტს აუწყეს ღვთის დანაბარები: სოდომი უნდა გავანადგურეთო და როცა „ყველანი გარეთ გაიყვანეს, უთხრა ერთმა: თუ გინდა ცოცხალი გადარჩე, უკან არ მოიხედო, არც სადმე გაჩერდე ამ მხარეში, მთას შეეფარე, თორემ დაიღუპები.

უთხრა ლოტმა: არა უფალო.

აჰა, მადლი მიპოვნია შენს მორჩილს შენს თვალში; დიდია შენი წყალობა ჩემდამი შენ, რომ მოიღე და გადამარჩინე, მაგრამ მთას ვერ შევეფარები, ვაითუ უბედურებას გადავაწყდე და დავიღუპო. აგერ, ეს ქალაქი უფრო ახლოსაა გასაქცევად, პატარაც არის, იქ შევაფარებ თავს. პატარა ქალაქია და გადავრჩები.

უთხრა [ანგელოზმა]: კეთილი, შეგისრულებ ამ სათხოვარსაც, არ დავამხობ ამ ქალაქს, შენ რომ ახსენე.

აბა, იჩქარე, შეაფარე იქ თავი, რადგან შენს იქ მისვლამდე ამ საქმეს ვერ აღვასრულებ. **ამიტომ ეწოდა ამ ქალაქს ცოღარი**“ (დაბ. 19. 17 22). ე.ი. ცის კაცმა ღმერთთან შეუთანხმებლად თავის **თავზე იღო** პატარა ქალაქის უვნებლად დატოვება, რომლის გადარჩენა ლოტმა ითხოვა.

**ცოღარი** დედანში უნდა დაწერილიყო ფორმით **ც,ღ,რ,,** სადაც **ც,** ნიშნავს **ცა**-ს, **ღ, - იღო**-ს. მაგ.,გოგიქ წისქვილიშა ოქუალი მიდე-ღ,“ (გოგიმ წისქვილში საფქვავი წა-**იღო**). როგორც ვხედავთ, იბერიული (ე.წ. მეგრული) **მიდე-** უდრის ქართ. **წა**-ს, ხოლო **ღ,** კი **იღო**-ს, **იტვირთა** –ს. მაშასადამე **ც,ღ,რ,** სიტყვა-სიტყვით ნიშნავს **ცის [კაცმა] იღო (იტვირთა) არის**. თანამედროვე მეტყველების დონეზე კი შეიძლება ასე გამოვთქვათ: **ცის [კაცის] ტვირთად ყოფიერი** (შეად. დაბ. 19.21-22).

15. **დაბადებაში** ვკითხულობთ, რომ აბრაამი თავის ცხვრის ფარას თავისი სარდლისაბიმელექის ტერიტორიაზე აძოვებდა და მის ტერიტორიაზე წყლისთვის ჭა ამოთხარა, მაგრამ მისმა მსახურებმა წაართვეს აბიმელექის დაუკითხავად. ეს აბრაამმა არ იცოდა და განაწყენებულს აბიმელექმა შეამჩნია წყენა. მდგომარეობის გარკვევის შემდეგ შერიგდნენ.

„უთხრა აბილექმა აბრაამს: რა არის ეს შვიდი ბატკანი, ცალკე რომ გამოასახი?

უთხრა აბრაამმა: მიიღე ჩემგან ეს შვიდი ბატკანი იმის დასტურად, რომ ჩემი ამოთხრილია ეს ჭა. ამიტომ ეწოდა ამ ადგილს ბერშება, რადგან აქ შეჰფიცეს ერთმანეთს. შეკრეს კავშირი ..“ (დაბ. 21.29 32). არქაულ ხანაში ბერშება დაიწერებოდა ფორმით **ბ,რშ,ბ,.** როგორც ზემოთ დავინახეთ, **ბ,** ნიშნავს **ბმას, კავშირს, რშ,** კიდევ, მეორე პირის ზმნაა და ნიშნავს **გახსოვს** – ს, მაშასადამე, **ბერშება‖ ბ,რშ,ბ,** ნიშნავს: **კავშირი, გახსოვდეს კავშირი!** ე.ი. ჭის შემოგარენს დაარქვეს კავშირი გახსოვდეს კავშირი, რადგან იქ შეჰფიცეს ერთმანეთს და შეკრეს კავშირი.

16. აბიმელექმა უთხრა ისაკს: გაგვეცალე, რადგან ჩვენზე უფრო ძლიერი შეიქენი. წავიდა იქიდან ისაკი და დადგა გერარის ხეობაში და იქ დასახლდა (დაბ. 26.16-17). სიტყვა გერარი არქაულ ხანაში დაიწერებოდა ფორმით **გ,რ,რ,. გ,‖გე‖ მიწა. გე** არ არის გრეკული სიტყვა, წმინდა იბერიულია. ცოცხალ ხეზე იტყვიან **გე**-რე (მიწაზე არის) **გე**-დგ, (მიწაზე დგას) და ა.შ. **რ,‖რე** (არის). მაშასადამე, (გერარი ——) **გ,რ,რ,** ნიშნავს მიწა **არის, არის**, ანუ **მიწა ბლომად არის**.

ხშირად ხეობა მცირე მიწიანია, ზოგჯერ მთლად უმიწო და კლდოვანი, სადაც ისაკი დაესახლა უხვ მიწიანი იყო, ამიტომაც შეერქვა გერარი.

17. „ისევ ამოიღო ისაკმა მამამისის აბრაამის დროს ამოღებული ჭები, ფილისტიმელებმა, რომ ამოავსეს აბრაამის სიკვდილის შემდეგ და კვლავ უწოდა ის სახელები, მამამისმა, რომ შეარქვა.

თხრიდნენ ისაკის მორჩილნი გერარის ხეობაში და წააწყდნენ იქ გამდინარე ჭას. ედავებოდნენ გერარელი მწყემსები ისაკის მწყემსებს, ჩვენიაო წყალი. ისაკმა უწოდა იმ ჭას ყესეკი, რადგან დაობდნენ მასთან “(დაბ. 26.18 20).

**ყ** ბგერა ებრაულში და, საერთოდ, სემიტურ ენებში არ არსებობს. არსებობს მისი შესატყვისი „ ბგერა იბერიულშიც და ებრაულშიც. ებრაულში მას ჰქვია „**ამზა** და აპოსტროფით —- აღინიშნება.

ე.ი. **ყესეკი** დედანში დაიწერებოდა ფორმით „ , ს,კ,. აქ „ , ნიშნავს **ქმნას, ჰყო**-ს, **ს, - სასიამოვნოს, შვებას**, **კ, - იკავა-ს**. მაგ., **გიორგიქ ოხორე დიხა მი–კ,** (გიორგიმ სამოსახლო მიწა მო-**იკავა**). იმ ხანად გრამატიკული საოფქსაციო საშუალებები არ არსებობდა, „ყველა სიტყვა ფუძე, იყო (არნ. ჩიქობავა). თუ ამ სიტყვებს დავაკავშირებთ ერთმანეთს თანამედროვე დონეზე და გრამატიკულად გავმართავთ, ვირწმუნებთ, რომ **ყესეკი** ( „ ,ს,კ,) ნიშნავს: **შვებისთვის ქმნილი მოკავებულია**.

18. „ამოიღეს მეორე ჭა და მასზედაც შეედავნენ. უწოდა მას სახლად სიტნა“ (დაბ. 26.21), რადგანაც უხდებათ მისი დატოვებაც. სიტყვაში **სიტნა ტნ** ბგერათა კომპლექსი არაა ბუნებაში არსებული ჰარმონიული კომპლექსი, რამდენადაც არსებობს მისი შებრუნებული ფორმა **ნტ** [მაგ., იბერიულში **ანტი, ენტ**, **(გაექცა) ინტ**, **(გაიქცა)**, **ონტუუ** (უკიდია ცეცხლი)]. ამიტომ უნდა ვიფიქროთ, რომ , ბგერა დაიკარგა, თორემ თავიდან ტ-სა და ნ-ს შორის , ბგერა უნდა მჯდარიყო. ამიტომ სიტყვა **სიტნა** არქაულ ხანაში დაიწერებოდა ფორმით **ს,ტ,ნ,,** სადაც **ს,‖ სიამოვნება, შვება**; **ტ, ‖ ტოვა**; **ნ,‖ წყალი**. გამომდინარე აქედან, **ს,ტ,ნ,** უნდა ნიშნავდეს: **მიტოვებული შვების წყალი**. ძლიერი წყურვილის შემთხვევაში, წყლით დარწყულება უდიდესი შვებაა ცხოვლებისათვის, ასე, რომ აღნიშნულ სახელწოდებასა და მის დანიშნულებას შორის შინაარსობრივი თანხვედრა აშკარაა რომ იბერიული ენით იხსნება.

19. „გადაინაცვლა ამ ადგილიდან და კიდევ ამოიღო სხვა ჭა; მასზე აღარ შედავებიან და უწოდა რეხობოთი (ებრ. სიფართოვე). თქვა: რაკი ამიერიდან გაგვაფართოვა უფალმა, ვიმრავლებთ ამ ქვეყნად“ (დაბ. 26.22). იმ არქაულ ხანაში სიტყვა რეხობითი დედანში დაიწერებოდა ფორმით **რ,ხ,ბ,თ,. რ,, ბ,** და **თ,** სიტყვების მნიშვნელობები ზემოთ გავარკვიეთ. **ხ,** ქართულად ნიშნავს **შვა**-ს, ზოგადად **შობა**-ს. დღესაც ასე იტყვიან სამეგრელოში: **თხაქ ქაცარი ფინახარც ქო – ხ,** (თხამ თიკანი ფარეხში კი-შვა). აქვე უნდა აღინიშნოს, რომ **ბ,** ბგერათა კომპლექსი გამოიყენებოდა ბიოლოგიური ბმის – მემკვიდრეობის უწყვეტობის აღსანიშნავად. **ბ,** ს გახმოვანებული ფორმა **ბა- შვილს, ნაშიერს** ნიშნავს იბერიულ – კავკასიურ ენებში. **ბ,** ფორმა სხვადასხვა ხმოვნებით გახმოვანებული გვაქვს ქართველურ ენებშიც და შვილს, მემკვიდრეს გამოხატავს. ლაზურში **ბე-რე** (შვილი), მეგრულში **ბო-ში** (ბიჭი), ქართულში **ბა-ვშვი**. ე.ი. არქაული ხანის წინადადებაში რ,ხ,ბ,თ, შემდეგი აზრი დევს: **შობა – ბმისთვის ნათელი არის**, ე.ი. **ჭას** და მის შემოგარენს ეწოდა **რ,ხ,ბ,თ,,** ანუ **შობისა და მემკვიდრეობის უწყვეტობისთვის სასიცოცხლო ადგილი**. გავიხსენოთ: „სიცოცხლე იყო ადამიანთა ნათელი“ (იოანე 1.4).

20. შემდეგ გაგრძელებაში წერია, რომ ღმერთმა ჩააგონა აბიმელექი და მათი ახლობლები, რომ მათ ისაკთან უსამართლობა ჩაიდინეს და შეიგნეს რა შეცდომის დაშვება, ძველი ურთიერთობის აღდგენა შესთავაზეს ისაკს. ისაკმა მათ ლხინი გაუმართა, რომლის შემდეგ „ადგნენ დილაადრიანად და შეჰფიცეს ერთმანეთს.

იმავე დღეს მოვიდნენ ისაკის მორჩილნი და შეატყობინეს ჭის ამბავი, რომელსაც თხრიდნენ. უთხრეს: წყალი ვიპოვეთო, უწოდა მას სახელად შიბყა. ამიტომაც ეწოდება ქალაქს ბერშება დღევანდლამდე“ (დაბ. 26.31 32).

დედანში უეჭველია ეწერებოდა **შ,ბ,„ ,,** რაც უნდა ნიშნავდეს (**შ,‖ ახსოვს**, ზოგადი ფორმით ხსოვნა; **ბ,‖ბმა, კავშირი; „ ,‖ქმნა**) **ხსოვნისთვის კავშირისა ქმნილი**. ამიტომ ერქვა ტექსტში დღევანლამდე, ანუ მოსემდე **ბერშება** (—— **ბ,რშ,ბ,**), **კავშირი გახსოვდეს კავშირი!**

21. I საუკუნის ებრაელი მეცნიერი იოსებ ფლავიუსი წერს: „**თუბალები** წარმომდგარი იაფეტის შვილის **თუბალ**-საგან დღეისათვის იწოდებიან **იბერებად**“. ასურულ წყაროებში **თუბალ**ის ადგილას მოხსენიებულია **ტაბალი**, ბერძნულ ბიბლიაში –**თობელი**, ძველ ბერძენ მწერლებს ნახსენები აქვთ **ტიბარენები**, მრავლობით რიცხვში, მხოლობით რიცხვში გვექნება **ტიბარი**, ხოლო ე.წ. ქართველურ ენებში ცნობილია **იბერი.** ამ ეთნიკური სახელწოდების საწყისი ბგერა **ი** ნაცვეთი უნდა იყოს ე.წ. მეგრული სიტყვისა **თი**, რადგან **თი** (ის) და **ი** (ის) ერთი დაიგივე მნიშვნელობით იხმარება დღესაც. მაგ., ხან იტყვიან „**თი ბოშიქ ვამორთ“,** ხან კიდევ, „**ი ბოშიქ ვამორთ**“ (ის ბიჭი არ მოვიდა); „**თი საქმექ ვაგშართ**“, ხან კიდევ, „**ი საქმექ ვაგშართ**“ (ის საქმე არ გამოვიდა) და ა.შ. მაშასადამე **იბერი** იბერიულ (იგივე ე.წ. მეგრულ) ენაში იოსებ ფლავიუსამდე ბევრად ადრე უნდა არსებულიყო ფორმით **თიბერი**.

**თ** ბგერის **ტ**-დ ქცევა და **რ** ბგერის რელაქსაცია (დარბილება) **ლ** –თი მრავალ ენებში ჩვეულებრივი ფონეტიკური მოვლენაა. ამასთან, თუ გავითვალისწინებთ იმ ფაქტსაც, რომ თანხმოვნური მეტყველების ხანაში ჩასახული სიტყვების გახმოვანება სხვადასხვა ენებში სხვადასხვა ხმოვნებით ხდებოდა (მაგ., მეგრ. **ნოთე‖** ქართ. **ნათუ** – რა, მეგრ. **ბარტყუ‖**ქართ. **ბერტყა** და ა.შ.). ერთიდაიგივე მ ნ ი შ ვ ნ ე ლ ო ბ ი ს **თუბალი‖ტაბალი‖თობელი‖ტიბარი‖თიბერი** დედანში **თ,ბ,რ,** ფორმით უნდა დაფიქსირებულიყო და შემდეგ სხვადასხვა ენებზე შემდეგი ევოლუციის გზა უნდა გაევლო:

თუბარი ——————————-> თუბალი (ებრ.)

თაბარი – თაბალი –> ტაბალი (ას.)

თ,ბ,რ, -> თობერი — ——————————> თობელი (ბერძნ.)

თიბარი ——————————-> ტიბარი (ბერძნ.)

თიბერი ——————————> იბერი (იბერ.)

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ **თ, ნათელი**-ს, სიწმინდისა და სისპეტაკის გამომხატველია, **ბ,** – ბმისა, კავშირისა, ხოლო **რ,,** გახმოვანების შემდეგ **რე** ქართულად ნიშნავს სიტყვას **არის**. მაშასადამე, არქაულ ხანაში წინადადება **თ,ბ,რ,** ჩვენმა უძველესმა წინაპრებმა შემდეგი მნიშვნელობით დააფიქსირეს: **[უზენაეს] ნათელთან კავშირი არის**, ე.ი. **თუბალი‖თიბერი‖იბერი** ნიშნავს **[უზენაეს] ნათელთან კავშირის მქონე**-ს.

სწორედ, **უზენაეს ნათელთან კავშირმა** მოგვიყვანა დღემდე კაცობრიობის დასაბამიერი ერი და **უზენაეს ნათელთან კავშირის** აღდგენა, ანუ ამქვეყნიური ეგოისტური ამბიციების დაძლევა და ღმერთისკენ მიბრუნება გადაარჩენს კიდეც ქართველ ერს.

ბევრი მოიძებნება. მაგრამ ზემოყვანილი ციტატები და მათი მეცნიერული ანალიზი, ვფიქრობთ, საკმაო საფუძველია იმისათვის, რომ განისაზღვროს რა ენაზე დაიწერა დედანში **„დაბადება“** და ენათმეცნიერები დაინტერესდნენ აკადემიურად შეისწავლონ ჩემს მიერ წამოწეული ვერსია.

ამიტომ საზოგადოებრივი აზრი და მოთხოვნაც მეტად მნიშვნელოვანია.

**კუკური ფიფია,**
**“ფაზისის” აკადემიის აკადემიკოსი**

# სასაკლაოები მოვაჭრეებს ტყავს აძრობენ

მას შემდეგ, რაც პირუტყვის სასაკლაოზე დაკვლა აუცილებელი გახდა, ხორცის ფასი საქართველოს ბაზარზე სტაბილურად მაღალია.როგორც ხორცით მოვაჭრეები ამბობენ, ამ პირობებში, ახალ ხორცზე მაღალი ფასის გამო, გაყიდვა შემცირდა. მოთხოვნა იმპორტირებულ, გაყინულ ხორცზე გაიზარდა, თუმცა ბოლო დროს ისიც გაძვირდა, კილოგრამზე დაახლოებით 1-2 ლარით.

სასურსათო ბაზრების დახლებზე ახალი ხორცის ფასი 12-14 ლარის ფარგლებში მერყეობს, ცალკეულ მაღაზიებში საქონლის ხორცის ფასი კილოგრამზე 18 ლარსაც კი აღწევს. მომხმარებლის უკმაყოფილებას მოვაჭრეები იმით პასუხობენ, რომ ხორცის გასაყიდი ფასი მათგან დამოუკიდებელი მიზეზით გაძვირდა და ამაში ნატახტარისა და თელეთის სასაკლაოებს ადანაშაულებენ. ხორცის რეალიზატორები იმასაც ამბობენ, რომ მომსახურების საფასურის გარდა, სასაკლაოები მათ ტყავსაც კი ართმევენ.

გასაგები მიზეზების გამო, მოვაჭრეები საჯაროდ ვინაობის დასახელებას ერიდებიან, პირად საუბრებში კი დეტალურად აღწერენ იმ გზასა და ხარჯებს, რომელიც ხორცმა დახლზე მოხვედრამდე უნდა გაიაროს.

**„თითო პირუტყვის მიყვანა და სასაკლაოზე დაკვლა არავის უღირს, ამიტომ გლეხები იძულებული არიან, საქონელი ვაჭრებს ცოცხლად მიჰყიდონ. დიდ სოფლებში ამისთვის ბაზრობებიც ეწყობა, სადაც კვირაობით მივდივართ და ცოცხალ საქონელს ვყიდულობთ. სადაც ბაზარი არ არის, სოფელ-სოფელ, კარდაკარ დავდივართ და ვკითხულობთ, ხომ არავის ჰყავს გასაყიდი პირუტყვი. სხვა რა ვქნათ, ეს ჩვენი საარსებო წყაროა.**

**უწინაც ასე ვყიდულობდით საქონელს, მაგრამ ადგილზე ვკლავდით და გამზადებული ხორცი გასაყიდად თბილისში მოგვქონდა. ახლა კი ხარჯი საგრძნობლად გაგვეზარდა. ჯერ ერთი, რომ ცოცხალი პირუტყვი სატვირთო მანქანით უნდა ჩავიყვანოთ სასაკლაოზე, დაკვლისთვის კილოგრამზე 1 ლარი გადავიხადოთ. თითქოს არ არის დიდი თანხა, მაგრამ ძირითადად 100 კგ და მეტი წონის პირუტყვს ვკლავთ და თუ გადაიანგარიშებთ, საკმაოდ სოლიდურ თანხას მიიღებთ.ამ თემაზე იმდენჯერ დაიწერა და ითქვა, მათ შორის თქვენს გაზეთშიც, რომ სასაკლაოზეც ბევრი რამ შეიცვალა. აქამდე საწარმოში თუ ჩიტიც ვერ შეფრინდებოდა, ახლა სურვილის შემთხვევაში დაკვლასაც გვასწრებენ, რათა დავრწმუნდეთ, რომ დაკლული ნამდვილად ჩვენი პირუტყვია. ეს კი გამოსწორდა, მაგრამ ტყავს ისევ მუქთად იტოვებენ და ზოგჯერ საქონლის შინაგან ორგანოებს მოზრდილი ნაწილიც ჩამოჭრილი აქვს. ესეც ზარალია ჩვენთვის. გარდა ამისა, ხორცს იმავე სატრანსპორტო საშუალებით ხომ ვერ ჩამოვიტანთ თბილისამდე, რომლითაც ცოცხალი პირუტყვი გადავიყვანეთ, ამიტომ სხვა ავტომობილის ქირაობა გვიწევს. ასე რომ, ასეთ პირობებში რა გასაკვირია, ხორცის ასეთი მაღალი ფასი“**, – გვითხრა ერთ-ერთმა ხორცით მოვაჭრემ.

**კახა მაზანაშვილი** (კომპანია **„იბერმითის“** დირექტორის მოადგილე): „რა თქმა უნდა, თავ-ფეხი და ყველა შინაგანი ორგანო მეპატრონეს რჩება, გადასახადი ერთი ლარია კილოგრამზე. ჩვენთან მხოლოდ ტყავი რჩება.

– სად აბარებთ შემდეგ ამ ტყავს?

– ხელშეკრულება გვაქვს გაფორმებული ტყავის გადამმუშავებელ ქარხანასთან რუსთავში და იქ იგზავნება. მხოლოდ ის ვიცი, რომ ქართული ტყავისგან ქურქები არ მზადდება. ქართული საქონლის ტყავისგან შეიძლება დამზადდეს, ქამარი, ფეხსაცმელი და სხვ.

– როდესაც სასაკლაოს გარეშე იკვლებოდა პირუტყვი, ტყავიც მის მფლობელს რჩებოდა, ახლა კი იზარალა, რადგან თქვენ, ფაქტობრივად, მუქთად გრჩებათ. საინტერესოა, თქვენ რა ფასად აბარებთ საწარმოში ნედლ ტყავს?

– მუქთად რატომ? ტყავი რომ ქარხანას რჩება. ეს მომსახურებაში შედის, ფასი არ ვიცი, მაგრამ ვიცი, რომ მისი ღირებულება კილოგრამობით განისაზღვრება.

– დაახლოებით მაინც არ იცით, რა ფასად აბარებს ტყავს თქვენი საწარმო?

– თუ არ ვცდები, 90 თეთრი უნდა იყოს ერთ კილოგრამზე...“

ჩვენ ნედლი ტყავის ჩაბარების ფასებით დავინტერესდით და რუსთავში ტყავის გადამმუშავებელ საწარმოს დავუკავშირდით. როგორც აგვიხსნეს, I-II ხარისხის ნედლი ტყავის ფასი კილოგრამზე 1,30 ლარის ფარგლებში მერყეობს. ვაჭრები ამბობენ, რომ ერთი მოზრდილი პირუტყვის დაკვლის შემთხვევაში მისი ტყავის წონა 15-20 კილოგრამია, ტყავის ჩასაბარებელ ფასზე გადამრავლებით კი შემოსავალი, რომელსაც მოვაჭრეები ვერ იღებენ, თვალსაჩინო ხდება. ვთქვათ, 100 კგ-იანი პირუტყვის დაკვლისას სასაკლაოს მომსახურებისთვის 100 ლარი და ტყავის თანხა რჩება. თუ გავითვალისწინებთ, რომ მოგების 10 ან 20%-იანი მარჟა მრავალი ბიზნესისთვის ჩვეულებრივი ნორმაა, შეიძლება მიახლოებით ვივარაუდოთ, რომ სასაკლაოები ერთლარიანი გადასახადით ხარჯებს ფარავენ, ხოლო მოგების ძირითადი ნაწილი მათთვის ტყავს მოაქვს.

**საკ. ინფ**

# მზის ბიჭები ნათელი გულებით...

***მოგონებები გარდასულ დღეთა.***

გულრიფში. ზაფხული, ან იქნებ შემოდგომის თბილი დღეა, ვინ იცის... მავანისთვის სიტყვა **„აგარაკი“** სახალისოა და მხოლოდ დასვენებას და განცხრომას აგონებს, ამათთვის სულხან-საბასეული აგარაკია – **„ესე არს ადგილი საყანური, გინა სავენახე, გინა დაბა“**... ესე იგი ნამდვილი მიწა!

ორივეს ჰქონდა პატარა მიწა შემოსაზღვრული – ანზორ სალუქვაძესაც და ნოდარ დუმბაძესაც... მაგრამ გულრიფში მხოლოდ იმიტომ არ უყვარდათ, რომ აქ ეს შემოდობილი ეზო-კარი ელოდათ, მათი სახელი რომ ერქვა. უბრალოდ უყვარდათ ყოველგვარი მისაკუთრების გარეშე, უყვარდათ გულწრფელად.

ნოდარ დუმბაძის აგარაკიდან ანზორ სალუქვაძის აგარაკამდე დიდი გზა არ იყო... მაგრამ გზა ვის რად უნდოდა, დილით ზღვით მიცურავდა მეგობარი მეგობართან. მერე სველ სხეულებს აფხაზეთის თბილ მზეს უფიცხებდნენ და დიდხანს საუბრობდნენ ლიტერატურაზე, ისტორიაზე...

ვინ იცის, რამდენი სტრიქონი დაბადებულა გულრიფშში, რამდენი კითხვა გაჩენილა და რამდენი პასუხი უპოვიათ.

**„ერთი საიდუმლოც გაიმეტე, ვიდრე მიხილავდე გაწბილებულს, მითხარ, რას მღეროდა აიეტი? მითხარ, რას ყიოდნენ არწივები! მითხარ, ის სახეც ხომ მზის სახეა, თამარს სიცოცხლეშიც რომ ხლებია, მითხარ, შონები ხომ კოლხებია? მითხარ, კოლხები ხომ მზის ხალხია?“** – წერდა ანზორ სალუქვაძე...

აფხაზეთს მიდიოდნენ მზის ბიჭები, უღრუბლო განწყობა ჰქონდათ და ნათელი გულები. მზესთან თამაშთამაშ მიდიოდნენ...

ანზორი ძალიან მოკრძალებული იყო, თავისი ლექსების წიგნის გამოცემასაც კი არასოდეს დაუდებდა გულს. მშვიდად იტყოდა, **„მერე რაო“**, ან **„მერეო“** და გადადებდა... ნოდარმა იცოდა მისი ლექსების ფასი, ამიტომ არ მოასვენა, ვიდრე არ დაითანხმა, სათითაოდ შეურჩია ლექსები და ანზორ სალუქვაძის პირველი წიგნი გამოაცემინა.

ანზორ სალუქვაძისათვის ლექსები მხოლოდ წიგნში არ იყო თავმოყრილი, არც ნოდარ დუმბაძისათვის. მშვენივრად იცოდნენ, რომ პოეზია იყო მათი ყოველი დღე, თუ მთელი დღე არა, დღის მნიშვნელოვანი მონაკვეთი მაინც.

პოეზია იყო, როცა ერთად ისხდნენ სანაპიროზე და მსჯელობდნენ, ან როცა ვაჟკაცური პურობა იწყებოდა, აი, ისეთი, 1978 წლის 14 აპრილს რომ ჰქონდათ ბიჭებს. თამადა ვახუშტი კოტეტიშვილი იყო: **„1978 წლის 14 აპრილს მთელი საქართველო გარეთ იყო გამოსული, ქართული ენის სახელმწიფო სტატუსს ვიცავდით. მილიცია, რომელიც დემონსტრაციის ასალაგმავად იყო მოგზავნილი უშიშროების კომიტეტის მიერ, ჩვენს მხარეს გადმოვიდა. გავიმარჯვეთ. ეს იყო პირველი შემთხვევა კომუნისტურ ყოფაში, როდესაც ხალხმა ხელისუფლებას უკან დაახევინა.**

**მახსოვს, დემონსტრაციის დაშლის შემდეგ სიხარულით აღტყინებულებს გიგლა ფირცხალავამ გვითხრა: წამოდით, ჩემს სახელოსნოში აღვნიშნოთო. სიამოვნებით დავთანხმდით. გზად ყველამ ჯიბეები ამოვიფხიკეთ და "ზღაპრული" სუფრა გავშალეთ. გიგლა, როგორც მასპინძელი, მზარეულობდა.**

**ვიყავით: ზურაბ ნიჟარაძე და თენგიზ მირზაშვილი, ჯემალ ლოლუა და დიმა ერისთავი, ჯემალ შანშიაშვილი და ანზორ სალუქვაძე. თამადობა, როგორც ყოველთვის, მე ამკიდეს. ასეთი ბედნიერი პურობა იშვიათად შემხვედრია“.**

ბედნიერი პურობა იყო მათი ყოველი ლხინი. ისეთიც, პოეტის ვაჟს – ლევან სალუქვაძეს რომ დაამახსოვრდა: თემურ მაღლაფერიძე და მამამისი მდინარეების სადღეგრძელოებს რომ სვამდნენ. საქართველოს არც ერთი პატარა მდინარეც კი არ გამორჩენიათ... მათი შენაკადებისა და განშტოებების მრავალჟამიერს ფეხზე უდგებოდნენ ამ სიტყვის ორივე გაგებით.

პოეზია იყო ამ ძალიან პროზაულ წუთებშიც, როცა გულრიფშში ბიჭები, ელექტროდენის გაყვანას ცდილობდნენ. ნოდარ დუმბაძე გულდაგულ ჭიმავს სადენებს, ვითომ დაბადებიდან ამ საქმეს ემსახურება. ანზორ სალუქვაძე კი ისეთი გამომეტყველებით უყურებს რადაცას, თითქოს ეს-ესაა, ლექსის თქმა უნდა დაიწყოს. ესეც ჩვეულებრივი იყო. თან – საქმე, თან – სინათლე და თან – ლექსი! და მიუხედავად ჭაღარისა, ნამდვილი ბიჭები არიან: უბოროტოები, უღალატოები, შეყვარებულები!

წელს, 11 დეკემბერს, ანზორ სალუქვაძე 80 წლის გახდებოდა. თუმცა იმ რეალობაში, სადაც არც საზღვრებია და არც დრო ჩერდება, გახდა კიდეც. იქ არც გულრიფში მოუგლეჯია ვინმეს დედის კალთიდან, აფხაზი და ქართველი ბიჭებიც ერთად არიან და... ნოდარ დუმბაძე ისევ გულიან-ცრემლიანად აცინებს ყველას. ანზორ სალუქვაძეც იმედიანადაა: **„გაზაფხულია, ზღვის ნაპირზე მოდის მედეა, ღვთაებრივია მშობლიური მისი ნაკვთები!/ გული წრფელი და მოიმედეა,/ რომ აღარ მოვლენ არასოდეს არგონავტები“...**

**ლელა ჯიყაშვილი**

# კარასინი: „ჟენევის დისკუსიების ალტერნატივა – მხოლოდ ახალი ომია!“

ამიერკავკასიაში უსაფრთხოებისა და სტაბილურობის საკითხებში ჟენევის მოლაპარაკებების ალტერნატივა მხოლოდ ახალი ომი შეიძლება იყოს. ამის შესახებ რუსეთის საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილე გრიგორი კარასინმა განაცხადა და იქვე იმედი გამოთქვა, რომ ამას ყველგან, მათ შორის, თბილისშიც აცნობიერებენ. მისივე თქმით, სინამდვილეში საქართველოს ხელისუფლება კვლავინდებურად უარს აცხადებს მეზობლებთან მშვიდობიანი თანაცხოვრების გამყარებაზე, აფხაზეთსა და სამხრეთ ოსეთთან ძალის გამოუყენებლობის მკაფიო შეთანხმებებზე.

კარასინმა კითხვაზე – არსებობს თუ არა დღეს იმის რეალური პერსპექტივა, რომ მოსკოვსა და თბილისს შორის ურთიერთობები დარეგულირდეს, უპასუხა:

**„თბილისში უარს აცხადებენ რეგიონში მომხდარი ცვლილებების არსისა და შეუქცევადი ხასიათის აღიარებაზე... თბილისის ახლანდელი ხელმძღვანელობისათვის რუსეთის სახით მტრის ხატის შექმნა საკუთარი საზოგადოების წინაშე ქვეყნის დანგრევისათვის პასუხისმგებლობისაგან გაქცევის, რთული სოციალურ-ეკონომიკური და ფინანსური მდგომარეობიდან, დემოკრატიული თავისუფლებების დარღვევიდან ყურადღების გადატანის საშუალებაა... და მაინც, იმ მხრივ, სადაც ამას ხელს არ უშლის პოლიტიკოსთა ბოროტი განზრახვა, ჩვენს ქვეყნებსა და ხალხებს შორის ტრადიციული კავშირების შენარჩუნება ხერხდება... მე მჯერა, რომ თბილისში დროთა განმავლობაში გამოჩნდებიან პასუხისმგებლიანი და საღად მოაზროვნე ხელმძღვანელები, რომლებიც შესაძლებელს გახდიან რუსულ-ქართული კეთილმეზობლობის სრულ მასშტაბებში აღდგენას“.**

**საქინფორმი**

# ოცდაათლარიანი სატყუარა

პოლიტიკური მოძრაობა **„თეთრების“** პრესსამსახური საქინფორმს ატყობინებს, **„თეთრი მოძრაობის“** დამფუძნებელი და ერთ-ერთი ლიდერი ზურაბ ხასია განცხადებას ავრცელებს, რომელსაც უცვლელად გთავაზობთ:

**„ერთ დროს ფუძემაგარ ქართველ გლეხს ისე უჭირს, ათლარიანიც რომ აჩუქო, სიხარულით ცას ეწევა და ათჯერ მოგახსენებს დიდ და ალალ მადლობას. ამიტომ სულ არ გვიკვირს, ოცდაათლარიანმა ვაუჩერმა რომ გაახარა გლეხკაცი და ჩვენს მზე-პრეზიდენტს ოცდაათჯერ გადაუხადა მადლობა.**

**30 ლარად რამდენ სასუქს იყიდის, ის კიდევ რამდენ ფართობს ეყოფა, ან კიდევ რამდენ საწვავს შეიძენს და ამ საწვავით რამდენ მიწას მოხნავს, ეს ექსპერტებისათვის მიგვინდია საანგარიშოდ.**

**უბედურება ის არის, რომ ხელისუფლება პიარის კეთებიდან ვერ გადაეწყო საქმის კეთებაზე. როგორ შეიძლება დასავლეთზე ორიენტირებულმა ხელისუფლებამ მშრომელ კაცს თვრამეტიოდ დოლარის ეკვივალენტი დახამრება შეჰკადრო!?**

**კარგი, დავუშვათ ამ 30 ლარს ძალიან მაღალი მყიდველობითი უნარი აქვს და ერთი-ორი დღით წაადგა გლეხის მეურნეობას. შემდეგ?**

**სოფლის მეურნეობის წელში გამართვის სურვილი თუ აქვს ჯერ კიდევ არსებულ ხელისუფლებას, საკითხს უნდა მიუდგეს არა კომპანიურად და იმპულსურად, არამედ მეცნიერებისა და პრაქტიკოსების ერთობლივი შრომით შექმნილი ტაქტიკური მოკლევადიანი და სტრატეგიული გრძელვადიანი პროგრამებით.**

**დახმარება უნდა იყოს სისტემური და მიზნობრივი, და არა ერთჯერადი და მათხოვრული – თავისი შინაარსით, ფორმით, ოდენობით.**

**გლეხკაცი მშრომელია და არა მათხოვარი, ბატონო მინისტრო, ბატონო პრემიერო, ბატონო პრეზიდენტო!“**

ახლახან საქართველოს პარლამენტმა მიიღო მორიგი **„ანტიივანიშვილური“** კანონი **„პოლიტიკური ქრთამის“** თაობაზე, რომელიც პოლიტიკურ მოღვაწეს ამომრჩევლებისადმი დაპირების უფლებასაც კი არ აძლევს. მართლაც ყოველგვარს ზღვარს სცილდება **„ნაციონალთა“** თავხედობა, რომლებიც სწორედაც რომ პოლიტიკურ ქრთამად სთავაზობენ გასაცოდავებულ მოსახლეობას 30 ლარს, ივანიშვილს კი უკრძალავენ იმის გაცხადებას, რასაც ის ადრე დაჰპირდა საქართველოს მოსახლეობას – ყველა ოჯახს თითო ტრაქტორს მივცემ თორმეტწლიანი უპროცენტო განვადებითო!

ივანიშვილის სიტყვა კი არასოდეს არ სცილდება საქმეს. ამიტომ, ახლა სრულიად საქართველოს მოსახლეობამ უნდა გადაწყვიტოს, რა ურჩევნია – ოცდაათლარიანი მათხოვრული შემწეობა თუ ტრაქტორი, რომელიც მას მართლაც დიდ პერსპექტივას უქადის საქართველოს აგრარულ სფეროში დასაქმებულ ადამიანებს, რომლებიც დღეს მხოლოდ შემთხვევითი შემოსავლების იმედად იმყოფებიან.

**საქინფორმი და „ილორი“**

# “გალმოხდილი აღმსარებელი ამბროსი”

**საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის, უწმიდესისა და უნეტარესის ამბროსის ხსოვრება და მოღვაწეობა. ჟურნალისტი ხორხილაძე საქართველოს საპატრიარქოს ჟყონდიდის ეპარქიის მიტაგარეპისკოპოსის მეუფე პეტრეს თანადგომით. მიძღვნილი პატრიარქ ამბროსის დაბადების 150 წლისთავისადმი.**

***„1995 წლის 18-19 სექტემბერს სვეტიცხოვლის საპატრიარქოს ტაძარში შედგა საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის გაფართოებული საეკლესიო კრება, რომელიც გახსნა უწმინდესმა და უნეტარესმა ილია II-მ. პატრიარქმა კრების მონაწილეებს ამცნო საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის წმინდა სინოდის ისტორიული გადაწყვეტილება ერისა და ეკლესიის წინაშე დამსახურებისათვის უწმიდესი და უნეტარესი ამბროსი შერაცხილ იქნა წმინდანთა დასში “ამბროსი აღმსარებლის” სახელით და მისი ხსენების დღედ დაწესდა 16 (29) მარტი“.***



საქართველოს ეკლესიის დროებითი მმართველი ლეონიდე ორი პირის თანხლებით მეფის ნათლის სასახლეს მიადგა, სადაც იმყოფებოდა ამიერკავკასიის განსაკუთრებული კომიტეტის (ოზაკის) წარმომადგენელობა. იქ შეხვდნენ ბ. ხატისოვს, რომელსაც გააცნეს ავტოკეფალიის აღდგენის დოკუმენტი. ხატისოვმა პასუხად სთქვა „მე არ შემიძლია რაიმე დამოკიდებულება მქონდეს ამ საკითხთან, რადგან კომიტეტი იცავს არსებულს. მცხეთაში მომხდარს კი ახალი ფორმა შემოაქვს ეკლესის ცხოვრებაში, რაც ... – ხელები უმწეოდ გაშალა.

პეტერბურგში მყოფმა კალისტრატემ და ამბროსიმ მოვალეობები გამიჯნეს. ერთი მივიდოდა პეტერბურგში მოღვაწე ნინო გელოვანთან, და ზურაბ ავალიშვილთან, მეორე კარლო ჩხეიძესთან, ივანე ჯავახიშვილთან და ირაკლი წერეთელთან. მათ მოეთათბირებოდნენ და გაირკვეოდა შემდგომში როგორ მოქცეულიყვნენ.

თუ დროებით მთავრობისაგან თანხმობას მიიღებდნენ, ეს გამოიწვევდა სინოდის წინააღმდეგობის გატეხვას. ყოველ შემთხვევაში იქნებოდა მყარი არგუმენტი საქართველოს ავტოკეფალიის აღდგენისთვის.

მალე **„პეტერბურგის ჯგუფს“** ეპისკოპოსი ანტონ გიორგაძე შეუერთდა. პრინციპული, აქტიური სასულიერო მოღვაწე...

ამ დროს საზღვარგარეთ მცხოვრები ქართველთა მოლოცვები მოდიოდა თბილისში. გაზეთმა **„საქართველომ“** 1917 წლის მკათათვის 12-ს გამოაქვეყნა წერილი სათაურით **„საზღვარგარეთული ქართველთა ხმა“**: **„ჩვენ საზღვარგარეთ მცხოვრები ქართველები, ენერგიულ პროტესტს ვაცხადებთ რუსეთის დროებითი მთავრობის წინააღმდეგ, რომელმაც საქართველოს ერმა და სამღვდელოებას დაუშალა და აუკრძალა აღდგენა ივერიის ავტოკეფალიისა – შემდგომ ავტორები წერდნენ – ავტოკეფალიის აღდგენა სრულებით არ შედის რუსეთის მთავრობის კომპენტენციაში. ჩვენი ეკლესის საკითხის გადაწყვეტა, მხოლოდ მსოფლიო პატრიარქს – პაპს, ერუსალიმის პატრიარქის და სხვას უნდა შეატყობინოს ქართველმა ერმა და სამღვდელოებამ.. ამიტომ ბ-ნ ბენეშევიჩის ჩამოსვლა ეკლესიის საკითხის შესასწავლად სრულებით ზედმეტია და უკანონო. ჩვენი ავტოკეფალია საეკლესიო სამართლის ძალით ფაქტად რჩება.**

**ქ. სტოკჰოლმი 2 მაისი 1917 წელი”.**

რამოდენიმე დღე დელეგაციის წევრები ესაუბრებოდნენ რუსეთში მოღვაწე ქართველებს, შეიმუშავეს სავარაუდო გეგმა. საკმაოდ გაისარჯნენ კარლო ჩხეიძე, ზურაბ ავალიშვილი და ნინო გელოვანი, მაგრამ საკითხის გადაწყვეტა ადვილი არ შეიქმნა, მაშინ **„ჯგუფის“** წევრები ეახლნენ სინოდის ობერპროკურორს ლვოვს, სარწმუნოების მინისტრს კატაშევს, რუსეთის დროებითი მთავრობის ხელმძღვანელს კერენსკის.

ეს იყო დაძაბული, შრომატევადი, პრინციპული შეხვედრები, რომელსაც ეწირებოდა უსაღვრო ენერგია.

რუსეთის საერო და სასულიერო პირები უარყოფდნენ სარწმუნოებრივ გაყოფას. ისინი იშველიებდნენ საქართველოში მცხოვრები რუსი სამღვდელოების აზრს, რომლებსაც არ სურდათ საქართველოს საკათოლიკოსის შემადგენლობაში ყოფნა.

1917 წლის 1 ივლისს უწმინდეს სინოდთან შეთანხმებით დაამტკიცა საქართველოს ეკლესიის უფლებრივი მდგომარეობის დროებითი წესები. რომლის თანახმად საქართველოს ეკლესიის შემადგენლობაში შევიდოდა მხოლოდ მართმადიდებლური ქართველობა. აფხაზებს, ოსებს და სხვა ერის წარმომადგენლებს სურვილისამებრ შეეძლოთ ქართული ეკლესიის შემადგენლობაში დარჩენა. იმავე წლის 14 ივნისს უწმინდესმა სინოდმა კავკასიაში რუსული მართმადიდებლური ეკლესიის მოწყობის დროებითი წესები დაამტკიცა. საქართველოს ეგზარქოსს, კავკასიის ეგზარქოსისა და თბილისის მიტროპოლიტის წოდება მიენიჭა. საეგზარქოსო იყოფოდა მისდამი დაქვემდებარებულ ეპარქიებად.

ამბროსი ხელაია აქტიურად ჩაება სრულიად საქართველოს საეკლესიო კრების მომზადებაში. მან ეპისკოპოს ლეონიდეს მიმართა წერილობით, რომ ნოვგოროდის მთავარეპისკოპოსისაგან გამოეთხოვა მისი მღვდელმსახურებიდან განთავისუფლების ნებართვა.

მოვლენები იცვლებოდა თბილისში.

მალე **„აღსრულდა განგება ღვთისა!“**

უკვე დაიწყო ფიქრი და ზრუნვა, ვინ შეიძლება ყოფილიყო საქართველოს ახლადაღდგენილი ავტოკეფალიის მმართველი ანუ კათოლიკოს-პატრიარქი. ხმები ორად გაიყო.

ზოგიერთები ეპისკოპოსს ლეონიდეს მიიჩნევდნენ ღირსეულად, სხვები კირიონ ეპისკოპოსს.

მომხრეთა დაპირისპირება მალე აშკარა გახდა. ხმამაღლა ამბობდნენ ერთისა და მეორეს ღირსებებსა და დამსახურებაზე.

მამა ამბროსის ამ დაპირისპირებაში მონაწილეობა არ მიუღია, მან იცოდა, რომ ორთავენი ღირსეული კანდიდატები იყვნენ. თუმცა წინააღმდეგობამ იმდენად მწვავე ხასიათი მიიღო, რომ მღვდელმსახურთა ერთი ჯგუფი მიიჩნევდა, რომ ასეთ დროს არქიმანდრიტ ამბროსის არჩევა იქნებოდა ყველაზე სასარგებლო შექმნილი მდგომარეობის განმუხტვისათვის.

საგანგებო დელეგაცია გაემგზავრა რუსეთში კირიონთან, რომ ის დაბრუნებულიყო საქართველოში და მონაწილეობა მიეღო არჩევნებში. კირიონს არ ჰქონდა უფლება ასეთ ჟამს განზე გამდგარიყო. იგი საქართველოში აგვისტოს ბოლოს ჩამოვიდა. ღვაწლმოსილ ეპისკოპოსს არაგვის ხეობაში ასზე მეტი ცხენოსანი შეეგება გიგო ყარანგოზიშვილის მეთაურობით.

დიდძალი ხალხი დახვდა თბილისში. არანაკლებ მომხრე ყავდა, მართმადიდებელი ეკლესიის დროებით მმართველს ეპისკოპოსს ლეონიდეს. მისი დამსახურება და თავდადება მისაბაძი იყო.

აგვისტოს ბოლოსა და სექტემბრის დასაწყისში შეიქმნა ქაოტური მდგომარეობა. ამბროსი თვლიდა, რომ **„ლეონიდეებად“** და **„კირიონებად“** დაყოფა სიკეთეს არ მოუტანდა ახლად ფეხადგმულ ეკლესიას.

ასეთ რთულ პირობებში, გადაწყდა, რომ კულტურულ-პოლიტიკური მოსაზრებით არქიმანდრიტი ამბროსი აეყვანათ კათალიკოსის თანამდებობაზე.

ავტორიტეტულმა ჯგუფმა, საეკლესიო კრების დაწყების ორი დღით ადრე სთხოვა ამბროსის, რომ კენჭი ეყარა კათოლიკოს-პატრიარქის თანამდებობაზე.

შინაგანად უპრეტენზიო არქიმანდრიტმა, თავი დახარა და ასე განაცხადა.

– არ ვარ გამბედავი, ვიდრე ცოცხალია კირიონი და ლეონიდე! – მოკლე წინადადებით გამოხატა გულისთქმა.

– არქიმანდრიტო, ახლა იმაზე უფრო უნდა ვიფიქროთ ეკლესია გადავარჩინოთ, ვიდრე თავმდაბლობაზე და სხვათა პატივისცემაზე. განა არ ვიცით, რომ ლეონიდე და კირიონი ღირსეულნი ბრძანდებიან. თუმცა ერთერთის ასვლა პატრიარქის უმაღლეს საყდარზე მეორის გაღიზიანებას გამოიწვევს.

– მესმის მდგომარეობის სირთულე – მიუგო ამბროსიმ – და მაინც თავს ვიკავებ კირიონისა და ლეონიდეს სასარგებლოდ. უფალმა იზრუნოს რომელი მათგანია ამჯერად ღირსეული და საჭირო ბედკრული საქართველოს ეკლესიისთვის.

– განა არ გვესმის მათი დამსახურება – შემოედავეს ისევ – მაგრამ არის გარეგნებები, რომელთა გათვალისწინება გვმართებს ქართული ეკლესიის სასარგებლოდ.

არქიმანდრიტი ვერ დაითანხმეს.

8 სექტემბერია ჟინჟლავს, თბილისში.

შემოდგომის მოახლოება იგრძნობა. დღეს სიონის საკათედრო ტაძარში საეკლესიო კრება გაიხსნება.

კრებაში მონაწილეობას იღებს 620 დელეგატი საქართველოს ყველა კუთხიდან.

კრებამ აირჩია პრეზიდიუმი და შეუდგა მუშაობას. პირველ და მეორე დღეს, დელეგატებმა მოისმინეს რამდენიმე მოხსენება და წაიკითხეს მისალოცი დეპეშები.

დელეგატთა წინაშე წარსდგა არქიმანდრიტი ამბროსი. მან წაიკითხა კრების სახელზე აფხაზეთიდან გამოგზავნილი მისალმების ტექსტი, რომელსაც ხელს აწერდა ოტობაიელი თავადი პეტრე ანჩაბაძე. ის არწმუნებდა შეკრებილთ, რომ **„უნდა მოხდეს ჩვენი ისტორიული ძმობის აღდგენა და შეერთება“.**

ტექსტის წაკითხვის შემდეგ არქიმანდრიტმა წარმოსთქვა ვრცელი სიტყვა, რომელიც აფხაზეთის საკითხს ეხებოდა. შემდეგ მოყვა მაგალითებს ქართველთა და აფხაზთა ახლო ურთიერთობაზე და მოითხოვა:

– თუ დელეგატები ნებას დამრთავენ საპასუხო ტექსტს შევადგენ და ჩვენის სახელით გავაგზავნოთ. ეს იქნება ჭეშმარიტად ჩვენი კეთილი ნებისა და დამოკიდებულების გამოხატვა.

– დიახ, დიახ – გაისმა დარბაზიდან.

კრების თავმჯდომარემ ბრძანა.

– თქვენი ოვაცია ჩავთვალოდ იმად, რომ არქიმანდრიტ ამბროსის დაერთოს ნება მოამზადოს საპასუხო ტექსტი.

მომდევნო დღეებში საეკლესიო კრებამ დაამტკიცა ეკლესიის მართვა-გამგეობის დებულება და მიიიღო გადაწყვეტილება საქართველო დაყოფილიყო 15 ეპარქიად.

დადგა 17 სექტემბერი.

სიონის ტაძარში დელეგატთა გარდა არავის უშვებდნენ

დღის 10 საათზე კრება გახსნა ჟურულმა.

კათოლიკოს-პატრიარქის საპატიო მოვალეობის შესასრულებლად წარდგენილ იქნენ ლეონიდე და კირიონი.

პატრიარქად აირჩიეს კირიონ საძაგლიშვილი, კირიონ II-ის სახელწოდებით.

ლეონიდემ მიიღო 230 თეორი და 218 შავი ხმა. ხოლო კირიონმა 240 თეორი და 206 შავი ხმა. ორივე გათეორებული იქნა და კირიონმა დააგროვა 4 ხმით მეტი.

საეკლესიო კრებამ ამბროსი ხელაი დაამტკიცა ჭყონდიდელ ეპისკოპოსად. უწმინდესმა და უნეტარესმა კირიონმა იმავე დღეს იგი მეტროპოლიტის ხარისხში აიყვანა. ეს იყო უიშვიათესი შემთხვევა მართმადიდებლურ ისტორიაში, მაგრამ ამ სამართლიანობას ყველა აღიარებდა, რადგან ამბროსი ღირსად სცნეს.

ლეონიდე კარებთან შეხვდა კირიონს და მიმართა: **„მიორკეცდება ძალღონე, რომ მარტო აღარ ვარ და მეგულებით ჩვენი ეკლესიის უმაღლეს ხელმძღვანელად. ფიცსა ვდებ, მთელის ჩემის არსებით დაგეხმარებით ტვირთვის ზიდვაში. ჩვენი ეკლესიის საქმის გაძღოლაში.“**

კირიონმა მადლობა გადაუხადა, შეიმოსა კათალიკოს-პატრიარქის სამოსით და ლეონიდეს, ანტონის, პიროსის, ამბროსის დახმარებით პარაკლისი გადაიხადა.

შემდეგ მთელი კრებული თან გაჰყვა და სახლამდე მიაცილა.

დადგა ამოცანა, საქართველოს მართმადიდებლურ ეკლესიას დაეკავებინა კუთვნილი ადგილი მოსახლეობის სულიერ ცხოვრებაში და მსოფლიოს მართმადიდებელ სამყაროში აღედგინა ავტორიტეტი. ეს იყო რთული, მაგრამ საპატიო მოვალეობა, რომელიც მოითხოვდა გააზრებულ საქმიანობას. დიდი ინტელექტსა და შრომას.

ლეონიდეს მომხრეები უკმაყოფილებას გამოთქვამდნენ. აცხადებდნენ, რომ ლეონიდეს დასაფასებელი ღვაწლი მიუძღვის სამშობლოსა და ეკლესიის წინაშე, მაშინ როცა კირიონი რუსეთში ირჯებოდა, ლეონიდე უწმინდეს სინოდს მედგრად ეწინააღმდეგებოდა ავტოკეფალიის აღდგენის საკითხებში, რომ მისი გამბედაობით მოხერხდა საქართველოს ეკლესიის დამოუკიდებლობის გამოცხადება, ეგზარქოსის სამუშაო კაბინეტის დაკავება და ასე შემდეგ.

კირიონის მომხრეები კი ამ უდიდესი სასულიერო მოღვაწის დამსახურებას უსვამდნენ ხაზს, მის გამოცდილებასა და ინტელექტს.

დიდი ზეიმით ჩატარდა კირიონის აღსაყდრება მცხეთის სვეტიცხოველის ტაძარში. აი, რას წერს გაზეთი **„საქართველო“** 1917 წლის 3 დვინობისთვეს.

**„სადგურის ბაქანი დროშებით და ყვავილებითაა მორთული, ხალხით გადაჭედილი კათოლიკოსის მატარებლის მოსვლისას თითქოს ერთ ცქერად იქცა. ბაქანის გვერდზე სალამისათვის ჩამწკრივებულია ჩაჩქანში ჩასმული და ფარ-ხმალ მომარჯვებული მთიელთ ამხედრიონი.**

**ბაქნის შუაგულში რკალი შეუკრავთ მაღალ ქულაჯიან ჭაბუკებსა და თეორებში მორთულ ასულებს. საქართველოს ახალგაზრდა ეროვნულ-დემოკრატიულ სტუდენტობას. ცისფერი დროშებით ორი სურათი ამშვენებს: ნინო და რუსთაველ –უწმინდესობა საქართველოს ეკლესისა და დიდება ქართული კულტურისა.“**

**სიონში კირიონმა წარმოსთქვა შთამბეჭდავი სიტყვა, რომელიც დაამთავრა შემდეგი წინადადებით: „სამშობლო საყვარელო, ღვთისმშობლის წილხვედრო, ბრძმედსა შინა ტანჯვა-ვაებისას განწმენდილო! შენთვის დაწეული, შენგან განშორებული, შენთვის მტირალი, მუდამ შენსკენ ლტოლვილი, დღეს განგისვენებ ტკბილსა შინა წიაღსა შენსა არა ვითარცა შვილი უძღები, არამედ ვითარცა მესაიდუმლე და სინდისი ეკლესიისა შენსა... ვიცი შენი გულისყური ამჟამად ჩემკენაა მოქცეული და მეკითხები: რა მომიტანე, რა მალამოსა სცხებ იარებსა ჩემსა. რით მანუგეშებ სევდით მოსილსა? ყური მომიპყარ: არ მოველ რათა გიმსახურო არამედ მსახურად შენდა და მიცემად სული ჩემი სახსრად შენდა. მოველ არა ვითარცა მწე სასყიდლით დადგინებული, არამედ ვითარც მწე ერთგული და მარად მორჩილი.“**

მცხეთაში გავრცელდა ხმა, რომ ახლადნაკურთხი პატრიარქი ტაძრიდან რომ გამოვიდოდა, მასზე თავდასხმა მოეწყობოდა. მღვდელმთავრები მას ირგვლივ შემოეხვივნენ და საფრთხე ააშორეს. მათ შორის იყო მიტროპოლიტი ამბროსი.

1917 წლის 17 ოქტომბერი საქართველოს კათალიკოს-პატრიარქმა მსოფლიოს მართმადიდებელი ეკლესიასა და საქართველოს სამწყოს მიმართა სპეციალური გუჯარით. ოთხი ძირითადი საზრუნავი ჩამოაყალიბა.

1. იყო გამტკიცება ახლად აღდგენილ ეკლესიისა მის ისტორიულ უფლებათა ფარგლებში;

2. ერის გამთლიანება, დამოუკიდებლობა;

3. ქართველთა თანხმობა. სხვადასხვა აღმსრულებლობის ერებს შორის კავშირის გამტკიცება;

4. სწავლა-განათლება და კულტურის განვითარება.

ევროპის გაზეთები მიესალმებოდნენ საქართველოს ავტოკეფალიური ეკლესიის დამოუკიდებლობის აღდგენას. რუსული გამოცემა **„ნოვოე ზარია“** წერდა **„მართმადიდებლური ეკლესიის ისტორიაში ბოლოხანებში მოხდა დიდი მოვლენა – აღსდგა საქართველოს ეკლესიის დამოუკიდებლობა (ავტოკეფალია) რუსეთის სამოქალაქო მთავრობამ საქართველოს ეკლესიას დაუბრუნა ის უფლებები, რომლებიც ჰქონდა რუსეთთან საქართველოს სამეფოს შეერთებამდე. ასე აღსრულდა სამოქალაქო სამართლიანობის აქტი“.** წერილი ბოლოვდებოდა შემდეგი მოსაზრებით **„რა უნდა ქნან ახლა მართმადიდებელმა რუსმა ადამიანებმა? მათ უნდათ მიბაძონ წმ. ეკლესიების ერთგულ ერთ მუჭა ქართველებს, რომლებიც მტკიცე პროტესტის შედეგად საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიას მიაღწიეს“.**

ეს წერილი და შენიშვნა ისე მოეწონა პეკინის სასულიერო მისიის მეთაურს, ეპისკოპოსს ინოკენტი პერესლაველს, რომ პეკინში გამომავალ **„კიტაისკაია ბლაგოვესტნიკში“** გადაბეჭდა.

**ბორის დავითაია,**
**სენაკი**

(გაგრძელება შემდეგ ნომერში)

# რა შეუთვალა ზურაბ ადეიშვილმა ივანიშვილს?

ყოფილი პროკურორის, ლაური ჯანაშიას ოჯახში ზონდერების მივარდნისა და ყაჩაღობის ინსცენირების თემა პრესითა და ტელევიზიებით, პრაქტიკულად, არ გაშუქებულა, თუმცა უკვე მესამე კვირაა, რაც მთელი ქალაქი ჩურჩულით ამ ინციდენტზე ლაპარაკობს.

საქმე ის გახლავთ, რომ ლაური (ლავრენტი) ჯანაშია დედაქალაქში საკმაოდ კოლორიტულ ფიგურად ითვლება, მას ყველა, დიდი თუ პატარა იცნობს და შეუძლებელია, რომ მის ოჯახში ნიღბიანების ვიზიტს, კონდახების ტრიალსა და ნეკნების მტვრევას, ფართო რეზონანსი არ მოჰყოლოდა.

კომპეტენტურმა წყარომ, რომელიც ქალაქური ისტორიების ერთგვარი მემატიანეა, გულისტკივილით აღნიშნა, რომ თურმე, ლაური ჯანაშია პირველად არ გამხდარა შეიარაღებული ხალხის მხრიდან ფიზიკური ტერორის მსხვერპლი.

ჯერ კიდევ შორეულ და ხიფათიან 1992 წელს, **„ზეიკიძის ბიჭებს“**, ე.წ. **„სვარშიკებს“** გაუტაცებიათ თბილისის ზღვაზე და უწმოყალოდ უცემიათ, რადგან ეჭვი შეჰპარვიათ, რომ იგი პოლიციელის მკვლელობაში ეჭვმიტანილი კრიმინალური ავტორიტეტის, ავთანდილ ბაქრაძის პასუხისმგებლობიდან დაძვრენას ცდილობდა, რადგან დამნაშავის მამა თავად პოლიციის მაღალჩინოსანი და ნაძალადევის რაიონის მაშინდელი პროკურორის – ლაურ ჯანაშიას მეგობარი იყო.

90-იანი წლების განგსტერული ისტორიებით ახლა ვერავის გააკვირვებ, რადგან მაშინ, რომ **„ბნელი და უკუნი“** იყო, ამაზე დღეს არავინ დავობს, მაგრამ დღევანდელ თბილისში, როდესაც ორგანიზებული დანაშაული ხერხემალშია გადატეხილი, კრიმინოგენული სიტუაცია კი იმგვარად გამოსწორებული, რომ ავტომანქანის **„უგონი“** და **„ვაზვრატიც“** კი – სხვა, წინა ცხოვრების მწარე მოგონებადღა შემოგვრჩა, – შეიარაღებულ ადამიანთა ჯგუფის ქალაქში გადაადგილება და ბაგებში მდებარე სახლზე დაუსჯელად თავდასხმა, ძალიან დიდ ეჭვებს იწვევს.

მარჩიელობას რომ თავი დავანებოთ, ამ ამბავს ერთი ისეთი პიკანტური დეტალი ახლავს თან, რომ ძნელია, ეს ინციდენტი ბანალური ყაჩაღობის რანგში გაიყვანო.

საქმე ის გახლავთ, რომ ლაური ჯანაშია თბილისის საკრებულოს წევრის, ნაციონალი მაჟორიტარი დეპუტატის გიორგი ჯანაშიას მამაა. გიორგი ჯანაშია კი, რომელსაც სახელისუფლებო იურისტთა წრეში **„სინგაპურას“** მეტსახელით იცნობენ, საქართველოს იუსტიციის ყოვლისშემძლე მინისტრის – ზურაბ ადეიშვილის უახლოესი გარემოცვის წევრია, წლების განმავლობაში მის მოადგილედ მუშაობდა და, როგორც ამბობენ, სახელისუფლებო ინტერესებს წარმოადგენდა კიდეც არაბულ **„რაკინში“**.

ეს კი, სწორედ ის „**რაკინია“**, ფოთის პორტი და ტელეკომპანია **„იმედი“** რომ ვითომ იყიდა (მერე გაყიდა) და, რომლის კუთვნილი, თუმცა კი დაუმთავრებელი ჰიპერმარკეტი გახსნა სააკაშვილმა **„ვარდების რევოლუციის“** მე-8 წლისთავზე.

მოკლედ, **„სინგაპურას“** მამის დატერორების ერთადერთი და უტყუარი მიზეზი, ჩვენი წყაროს ინფორმაციით, ისევ და ისევ ბიძინა ივანიშვილსა და მის პოლიტიკაში შემოსვლას უკავშირდება თურმე.

მიუხედავად იმისა, რომ ნაციონალები კატეგორიულად ამტკიცებენ, ივანიშვილი ვერაფერს დაგვაკლებს და ვერც ვერანაირ რყევებს ვერ გამოიწვევს გუნდშიო, როგორც ჩანს, არც მთლად ასეა საქმე:

წყაროს ინფორმაციით, მერაბიშვილის ყურამდე მიუღწევია უტყუარ ცნობებს, რომ ზურაბ ადეიშვილი ბიძინა ივანიშვილთან მისასვლელ გზებს ეძებს და ასეთ დელიკატურ საქმეში, სხვას რომ ვერავის ენდო, **„სინგაპურას“** თბილისურ ოჯახზე შეაჩერა არჩევანიო.

უფრო მეტიც, სწორედ ლაური ჯანაშიას პირით შეუთვლია ადეიშვილს ივანიშვილისთვის, არ სთხოვო სააკაშვილს მოქალაქეობის მინიჭება, სასამართლოს მოგაგებინებ და ისე აღგიდგენ მოქალაქეობასო.

შეუტყვია ეს ამბავი ვანო მერაბიშვილს, მაგრამ ზურაბ ადეიშვილთან პირდაპირ და უშუალო კონფლიქტს მორიდებია, შემოვლითი გზა აურჩევია და ლაური ჯანაშიასთან ზონდერების მიგზავნით, გამაფრთხილებელი მესიჯი გაუგზავნია ადეიშვილისთვის – ყველაფერი ვიცი, ყველაფერს ვაკონტროლებ და იცოდე, არ დაგინდობო.

ჟურნალისტი ზონდერების მიერ ნაცემნაბეგვ ლაური ჯანაშიას დაუკავშირდა, რომელმაც თავდასხმის ფაქტი დაადასტურა.

**ლაური ჯანაშია:**

– დიახ, საქმე აღძრულია, ვაკის პირველ ქვეგანყოფილებას აქვს. რა ეტაპზეა გამოძიება და რა ხდება, არ ვიცი, ვერაფერს გეტყვით, ჩამი-ჩუმი არ ისმის, მათ ჰკითხეთ. ძალიან ვარ დაზარალებული, დალეწილი ვარ. ივანიშვილს თუ ვის, ან რას უკავშირდება ეს, არ ვიცი, ფაქტია, დალეწილი ვარ.

როგორც ხედავ, დაზარალებულმა, თუ ვინ და რატომ დაესხა თავს, არ იცის, ჩვენი წყაროს თქმით კი, ეს ფაქტი ივანიშვილს უკავშირდება, თუმცა, ვინ იცის...

გამოგიტყდებით, არც მერაბიშვილის **„გზავნილების“** და არც შეთქმულების თეორიების, მაინცდამაინც, არ გვჯერა, მაგრამ ჩვენი ინტერესი ამ, ერთი შეხედვით დაუჯერებელმა, ისტორიამ იმით მიიპყრო, რომ უკვე თვე ხდება, რაც ივანიშვილის ადვოკატებმა გამოაცხადეს, დღე-დღეზე მივმართავთ პრეზიდენტს ივანიშვილისთვის მოქალაქეობის მინიჭების თხოვნითო, მაგრამ დღემდე საეჭვოდ ითრიეს ფეხი და მხოლოდ ახლა გააქტიურდნენ.

როგორც შევიტყვეთ, არც ვაკის პოლიცია ცდილობს მაინცდამაინც ამ იოლი საქმის გახსნას.

მოკლედ, ჩვენც და მკითხველსაც ისღა დაგვრჩენია, ყურადღებით მივადევნოთ თვალი ბიძინა ივანიშვილისთვის მოქალაქეობის მინიჭების თუ მოქალაქეობის აღდგენის იურიდიულ პერიპეტიებს, სასამართლო იქნება ეს თუ სხვა ინსტანციები და თავად გამოვიტანოთ მოვლენებიდან სათანადო დასკვნები.

დავაკვირდეთ, მოითხოვს თუ არა ივანიშვილი მოქალაქეობის მინიჭებას სააკაშვილისგან და სასამართლოს ვერდიქტსაც დაველოდოთ - ფაქტები თვითონვე გასცემენ პასუხს ყველანაირ ეჭვს და ვერსიას.

წინ საინტერესო ამბები გველის, ეს კი ნამდვილად უდავო ჭეშმარიტებაა.

**საკ.ინფ**

# დაუნები თუ დიქტატორები

## (სახალისოდ წასაკითხი არც თუ მხიარული სტრიქონები)

რაღა დაგიმალოთ და, გაბრაზებული გახლავართ... **„ვისოლმა“** და **„სოკარმა“** ე.წ. მრავალფუნქციური ცენტრები გახსნეს აღმოსავლეთ-დასავლეთის დამაკავშირებელ მთავარ მაგისტრალზე. რაც მთავარია, ლენტი ჩვენმა პრეზიდენტმა გაჭრა.

**„ადამიანური ენით“** რომ ვთქვათ, – **„რიკოთის პერევალზე, სოკარის და ვისოლის კალონკებზე ჰამბურგერიანი ზაბეგალოვკები გაუხსნიათ!“**

ჯერ ერთი, ეგრე ვინღა ლაპარაკობს და მერე მეორე, – რატომ გეწყინა, როდის იყო ჭამა-სმის დაწესებულებებს ერჩოდიო... ლენტის გაჭრას რაც შეეხება – მიშას ეგ საქმე არც ადრე დაუთმია ვინმესთვისო...

იცით, რა მეწყინა? ეს კაცი, კაცო, ეს ჩვენი პრეზიდენტი, **„გემო-კვების“** ამბავში მაინც ჩემპიონი მეგონა და იქ, რაღაცა ჰამბურგერით გამოჩნდა ტელეეკრანზე და ჩვეული კატეგორიულობით განაცხადა:

– ვინმე რამდენიმე წლის წინ ინატრებდა, რომ საქართველოში, ტრასებზე ასეთი საჭმლის მირთმევას შევძლებდით?!

შე დალოცვილო, პოლიტიკურმა კრიზისმა და რეალური კონკურენტის გამოჩენამ ეგრე კი არ უნდა დაგაბნიოს, რომ ასეთ **„წმიდათაწმიდა“** თემაზე ხელაღებით და არაკორექტულად ისაუბრო. მე ხალხი ვიცი, დღეგამოშვებით თბილისიდან მიდის სურამიდან ზესტაფონამდე (მოკლედ – **„პერევალზე“**) რომელიმე რესტორანში იაფად და გემრიელად **„პურისაჭმელად“** და მართლა და მართლა, ყველაზე კარგი ჰამბურგერის დედა არ ვატირე?!

ვხუმრობ, ახლა, ვითომ, მაგრამ რომ არც ვხუმრობ, იცით? ასეც ხომ არ შეიძლება? კარგი, ბატონო: დასავლეთში კარგი განათლებაა, საქართველოში – ცუდი; დასავლეთში ცივილიზებული ხალხი ცხოვრობს, ჩვენთან - ველურები; დასავლეთში ქსენო-ჰომო და სხვა ფობიები არ არის, ჩვენთან – პედერასტებს ერჩიან; დასავლეთში – ხულიო იგლესიასია, ჩვენთან – ბუბა კიკაბიძე... კარგი-მეთქი, ჯანდაბას თქვენი და ჩემი თავი, მაგრამ რადგან დასავლურია, მხოლოდ ამის გამო რატომ უნდა ვამჯობინო პლასტმასის ჩიზბურგერი სურამის და რიკოთის რესტორნების ხაჭაპურს ან რატომ უნდა მერჩივნოს პოლიეთილენში შეფუთული ის კურკლის მსგავსი კატლეტი **„ბიკენტიას ქაბაბს“?!**

მესმის, რომ **„ზოგს მღვდელი მოსწონს და ზოგს – მღვდლის ცოლი“**, მაგრამ ამის სახელმწიფო პოლიტიკის დონეზე აყვანა შეიძლება?! წყეველა რა კაცის საქმეა, მაგრამ დარწმუნებული ვარ, ცხონებული ბებიაჩემი, ის ტელესიუჟეტი რომ ენახა, აუცილებლად იტყოდა: **„შენ არ ჭამე აფერი მაგაზე უკეთესი!“**

არ შეიძლება, საჭმელიც აგიტაციისა და ცხოვრების წესის პროპაგანდის ნაწილად ვაქციოთ! ცხადია, ჩვენი ორიენტირი დასავლეთი უნდა იყოს, აბა, რუსეთს მოუკვდა პატრონი, მაგრამ ეჭვები რომ მიპყრობს მე ოხერს, რა ვქნა?! ასეთი ბრიყვული აგიტაციით რომ უფრო აძულებთ ხალხს ყველაფერ დასავლურს, დავიჯერო, მხოლოდ მე ვფიქრობ ასე? რა ვიცი, რა ვიცი...

აქეთ კიდევ, ეს ხუხუას ამბავი! ხუხუა ხომ იცით, მლესავი? მოკლედ შეგახსენებთ: ეს ხუხუა მუშაობს თუ მუშაობდა ივანიშვილის ერთ-ერთ სამშენებლო-სარემონტო ფირმაში მლესავად. მას ოჯახში მორიგი პიარ-აქციის ფარგლებში ქალაქის მერი, უგულავა ეწვია. მეორე დღეს ე.წ. ნაციონალურმა არხებმა გადმოსცეს, რომ ხუხუა სამსახურიდან გაათავისუფლეს – როგორ თუ გიგი უგულავა სახლში შემოუშვიო!

მთავარი მერე იყო – უგულავამ სოლიდარობა გამოუცხადა ხუხუას, ივანიშვილი დაამუნათა, – ასე არ შეიძლებაო, და ყველა რომ ელოდა (პირველ რიგში, ხუხუა), ქალაქის **„მლესავთუხუცესობას“** უბოძებსო, მხოლოდ... მორალური მხარდაჭერა გამოუცხადა!

თავის მხრივ, ძალიან საინტერესო კომენტარი გააკეთა ივანიშვილის ფირმის ბუღალტერმა, – არავის არ გაუგდია, ხელფასი და ავანსიც წინასწარ აქვს აღებული და ან ის ფული დააბრუნოს, ან კიდევ, მოვიდეს და მუშაობით აანაზღაუროსო! მოკლედ, ოლოლო და კოვზი ნაცარში, ბიჭებო...

საქმე რა არის, იცით? ერთმა მეგობარმა მითხრა: ნამდვილად ვიცი, მისი დაცვის წევრისგან, – შენს პროვოკაციებს თბილისის მერი კითხულობს და კარგად ხალისობს კიდეცო. გამიხარდა, ხალხნი ვართ, ვიფიქრე, მივალ, რამეს ვთხოვ – ან ლოჯის ამოშენება დამჭირდება, ან სარდაფის დამტკიცება-მეთქი.

ამიტომ სულ არ ვაპირებდი ახლა ამის დაწერას, მაგრამ კარგი, რა, თქვე... მატყუარა ადამიანებო (უფრო პროზაული და კორექტული ვერაფერი მოვიფიქრე), რომელი მლესავის გათავისუფლებაზე საუბრობთ, როცა მთელი თბილისი სავსეა უკანონოდ და გაუგებარი მიზეზებით სამსახურებიდან გამოყრილი ხალხით?!

მეტს არაფერს ვიტყვი, ბატონო გიგი, მართლა სათხოვარი მაქვს თქვენთან და უნდა მოვიდე...

**P.S.** არც ლოჯია მინდა, არც სარდაფი და გარაჟიც წაიღეთ, მაგის დედაც ვატირე! ამ ბოლოსიტყვაში სულ სხვა რამის დაწერას ვაპირებდი, მაგრამ ხუხუას ამბავი მონაგონია, მერიის ახალ გენიალურ იდეასთან შედარებით: ქალაქს საგაზეთო ჯიხურები ამახინჯებს და ისინი უნდა აიკრძალოს!

ადამიანური ტელევიზიები ხომ ეთერს **„ამახინჯებდა“** და აიკრძალა, ახლა გაზეთებიღა დარჩათ, აგვკრძალავენ და იქნებიან გაღიმებულები და ბედნიერები!

ძმებო, მეგობრებო, ბიჭებო და ბიჭბუჭებო, ენდეთ ბებერ, გამოცდილ პროვოკატორს – გა-ი-ჩა-ლი-ჩებთ!

**P.P.S.** შალიკოზე ვაპირებდი ხუმრობას, თეთრი სახლის წინ გამართულ მის **„მიტინგზე“**, მაგრამ ხუმრობა კი არა, მიდი, შალვა, მიდიიი: **„დაუნ ზე დიქტეიტა!!!“**

**პროვოკატორი**

## საქართველოს ექსპორტიორთა ასოციაცია დადებითად აფასებს ონიშჩენკოს განცხადებას

საქართველოს ექსპორტიორთა ასოციაცია რუსეთის ბაზარზე ქართული პროდუქციის შესაძლო დაბრუნებას მიესალმება. როგორც ცნობილია, **„როსპოტრებნადზორის“** ხელმძღვანელმა გენადი ონიშჩენკომ განაცხადა, რომ რუსული მხარე მზად არის, საქართველოში ექსპერტები გამოგზავნოს 7 ქართული კომპანიის საექსპორტო პროდუქციის ადგილზე შესასწავლად.

**"საქართველოს ექსპორტიორთა ასოციაცია 2011 წლის ოქტომბრიდან აწარმოებს აქტიურ მოლაპარაკებას „როსპოტრებნადზორთან“ ქართული პროდუქციის რუსულ ბაზარზე დაბრუნების თაობაზე. შედეგად ასოციაციამ რუსულ მხარეს მიაწოდა კონკრეტული კომპანიების საექსპორტო პროდუქციის სათანადო დოკუმენტაცია. ონიშჩენკოს აღნიშნული განცხადება საფუძველს გვაძლევს, ვივარაუდოთ, რომ დოკუმენტების შემოწმების შემდეგ დაიწყება პროდუქციის სერტიფიცირების ბოლო ეტაპი – პროდუქციის სინჯების ლაბორატორიული შემოწმება“**,– განაცხადა საქართველოს ექსპორტიორთა ასოციაციის ხელმძღვანელმა ვიქტორ წილოსანმა.

ასოციაცია კიდევ ერთხელ შეახსენებს ყველა დაინტერესებულ კომპანიას, რომ პროცესი ყველასათვის ღიაა და პროდუქციის ექსპორტზე განაცხადის შეტანა ნებისმიერ დროს არის შესაძლებელი.

**საქინფორმი**

# საქართველო მეზობლების მოძულე ქვეყნად ვერ იქცევა

ამბობენ, პოლიტიკა ბინძური საქმეაო. ხოლო, როცა ეს სიბინძურე გავლენას ახდენს ხალხთა კულტურაზე, ხელოვნებასა და ენაზე, იგი შეცდომაზე მეტია. ყველასათვის საყვარელმა ქართველმა კომპოზიტორმა ვაჟა აზარაშვილმა რუსული კლასიკური მუსიკის მიმართ საქართველოში დამოკიდებულებაზე გულისტკივილით ისაუბრა. მე კი საქართველოში რუსული ენის პრობლემებზე, მის მიმართ დაწესებულ შეზღუდვებზე მინდა გამოვხატო აღშფოთება.

ნებისმიერი ენა სამყაროს თავისებური მოდელია და მისი ხელყოფა დანაშაულზე მეტია. ეს აქსიომა ყველამ იცის, და მაინც, უახლოესი მეზობელი ხალხის ენის სწავლება შეიზღუდა სკოლებში, რაც წმინდა წყლის ენობრივ აგრესიად მიმაჩნია. საქმე ისაა, რომ რუსული ენა არჩევით საგნად გამოცხადდა. მაგრამ მეცნიერებისა და განათლების სამინისტრომ სასწავლო **«ბადეში»**, ანუ სასწავლო პროგრამაში, რაც სკოლებისთვის სავალდებულოა, მხოლოდ მე-7 კლასიდან დაუშვა. ადრე სკოლებში რუსული ენა მე-4 კლასიდან ისწავლებოდა.

პოლიტიკური კარტების ხელოვნებასა და ენის შესწავლის საქმეში ბოროტად გამოყენება მიუღებელია. მე-7 კლასიდან რომ დაუწყებ მოსწავლეს ანბანის სწავლებას, იქიდან რაც გამოვა, დღესავით ცხადია. ეს მაშინ, როცა ინგლისური ენის სწავლება პირველი კლასიდან მშობლიური ენის პარალელურად დაკანონდა.

მშობლებზე უფრო იჭვნეული მოსწავლეები კითხულობენ: რატომ მოხდა, რომ ხელისუფლებამ შეზღუდა რუსული ენის სწავლება? თუ იგი არჩევითია, რად დაუწესეს განსაზღვრული ჩარჩოები?

ყველამ იცის, ყოვლადგაუმართლებელი ეს ქმედება ხელისუფლების დაკვეთით ხორციელდება. პოლიტიკური ელიტა ცდილობს, მენტალური რევოლუცია განახორციელოს. ეს სიძულვილის აშკარა გამოვლინებაა იმ ენისადმი, რომელსაც ევროპის ყველა ქვეყანაში საფუძვლიანად სწავლობენ, რადგან ამ ზესახელმწიფოს აქვს ულევი ენერგორესურსი, გასაღების დიდი ბაზარი, ევრაზიაში მომგებიანი გეოპოლიტიკური მდებარეობა, სამხედრო თვალსაზრისით, ითვლება ატომურ სახელმწიფოდ. ამ ფონზე განათლებისა და მეცნიერების მინისტრის განცხადება **«საქართველოში მომხდარ ლინგვინისტურ რევოლუციასა და ამის შედეგად რუსული გავლენის შემცირებაზე»** საუბარი საკითხის ზედმეტად პოლიტიზირებაა. მათი განზრახვა ნათელია: მოსახლეობაზე მოახდინონ ენობრივი ფსიქოლოგიური ზეწოლა.

როცა ქვეყნის კულტურის მინისტრი იტყვის: **«დღეს საქართველოში რუსული ენის სწავლების არანაირი საჭიროება არ არსებობსო»,** მინდა შევახსენო პატივცემულ მინისტრს, რომ სწორედ კულტურას, ენასა და ლიტერატურას შეუძლია ყველაზე დაძაბულ მომენტში სასარგებლო დესპანის როლი ითამაშოს ქვეყნებს შორის.

რუსეთი, მისი ენა და კულტურა არ არის ხელწამოსაკრავი. თუ ჩვენს ხელისუფალს არ უყვარს ვლადიმერ პუტინი, ეს სრულიადაც არ ნიშნავს, ქართველმა ხალხმა გაწყვიტოს სულიერი და კულტურული ურთიერთობა დიდი შესაძლებლობის მქონე მეზობელთან. და საერთოდ, რა შუაშია, თუნდაც ამ შემთხვევაში, ენის სწავლების შეზღუდვა? თავად ხელისუფლების ჩინოვნიკებმა ხომ იციან რუსული ენა? თითქმის ყოველდღე ურთიერთობენ ამ ენაზე შუაზიელ ყაზახებთან, უზბეკებთან, ყირგიზებთან, ტაჯიკებთან, ევროპელ უკრაინელებთან თუ ბელარუსებთან... მეზობელ სომხებთან და აზერბაიჯანელებთან. ვერ გამიგია, მომავალმა თაობამ რატომ არ უნდა ისწავლოს რუსული ენა ჯეროვნად და რატომ უნდა შეეწიროს საუკუნოვანი ურთიერთობები ვლადიმერ პუტინსა და მიხეილ სააკაშვილს შორის არსებულ დაძაბულ დამოკიდებულებას?

გასულ წელს ეროვნულ გამოცდაზე უცხო ენის სტატუსით რუსული ენა ბევრმა აბიტურიენტმა ჩააბარა, ამან დიდი ხელისუფალი გააცოფა და, ეტყობა, გასცა განკარგულება რუსული ენის სწავლების შეზღუდვა-შემცირებისა. ამ გაუმართლებელ გადაწყვეტილებას მოჰყვა მეორე, ასევე არასასურველი შედეგი, გახლავთ ის, რომ შემცირდა საათობრივი განაკვეთი სკოლებში და, შესაბამისად, – გახშირდა პედაგოგთა გათავისუფლება სამსახურიდან. სკოლებიდან უშვებენ პედაგოგთა დიდ არმიას, მათ შორის სერთიფიცირებულ რუსულენოვან მასწავლებლებს, რადგან, თუ საათობრივი განაკვეთი არ იარსებებს, არც პედაგოგი დასაქმდება, გინდ აკადემიკოსი იყოს იგი.

დანაშაულად მიმაჩნია კლასიკოსების: პუშკინის, ლერმონტოვის, ტოლსტოის, დოსტოევსკისა და სხვათა ბიოგრაფიებისა და შედევრების ამოღება სასწავლო პროგრამიდან, თანამედროვე მწერლების: პასტერნაკის, ევტუშენკოს, ბლოკის, ახმადულინას ნაღვაწთა დამალვა და მათ სანაცვლოდ, შედარებით ნაკლებპოპულარულ შემოქმედთა ნაწარმოებების შეთავაზება. ეს ქართველი მოსწავლეების უფლებების უხეში შელახვაა, რადგან ნებისმიერი კულტურული ერისთვის რუსული მწერლობის მონაპოვარი შეუცვლელი განძია.

სკოლებში რუსული ენის სწავლების შეზღუდვამ გამოიწვია რეპეტიტორებთან ახალგაზრდების მოზღვავება. უფრო გაძლიერდა სწრაფვა და ინტერესი ხელოვნურად გაჩენილი ბარიერის დასაძლევად. ხალხი ბრძენია, მან იცის, რომ პოლიტიკოსების პირად დამოკიდებულებაზე აგებულ უმსგავსობას დაედება ზღვარი. ვიღაცების ამბიციებზე არ იქნება დამოკიდებული ორი მეზობელი ხალხის ბედი. ეს ის პროცესია, რომელიც დროებითია და დაღმართს მუდამ აღმართი მოსდევს.

ერი მუდამ იმისთვის უნდა ემზადებოდეს, აღმართს შეუდგეს, რადგან აღმართს მივყავართ მწვერვალისაკენ, ზეცისკენ, მზისკენ, ესაა ჩვენი ღვთიური მიზანი და ამოცანა.

მჯერა, ჭეშმარიტება იპოვის თავის გზასავალს, ხალხი მოეჭიდება იმ ჯაჭვს, რომელიც ორი ერის კულტურულ მემკვიდრეობას გადაარჩენს. არ მოკვდება ურთიერთლტოლვა, კულტურისა და მეცნიერებისადმი, როგორც ერთიანი მსოფლიოს ცივილიზაციის საინტერესო ნაწილისადმი. ამის მოტივაცია იყო, არის და კვლავაც უფრო გაიზრდება. ქართველი ერის გონებრივი მიხვედრილობა და შესაძლებლობა ამაღლდება გარდაუვალ რეალობამდე და დროებით ხელშემშლელ ფაქტორებს სამართლიანობის ქარიშხალი დალეწავს.

ხშირად ვფიქრობ: ის, რაც მოხდა, იქნებ ჩვენი ბრალიცაა, იქნებ ჩვენც დავუშვით უხეში შეცდომა, ვერ შევძელით ისე მოქმედება, როგორც ბალტიისპირეთის ქვეყნებმა მოახერხეს, ნაკლები მსხვერპლის გაღებით.

დაძაბული ურთიერთობა მუშტის პოლიტიკით არ გამოსწორდება. ხომ უნდა ვიცოდეთ, სად და რაში უნდა ვიყოთ პრინციპულები? ხალხი და მათი ენა რა შუაშია? შევეცადოთ, მდგომარეობის უკიდურესი გამწვავებით ჩიხში არ მოვექცეთ. ჩვენს კულტურულ ურთიერთობაში რესურსი არსებობს და ამ საქმეში აჩქარება დაუშვებელია.

ამ პუბლიკაციის მომზადებისას გამახსენდა ერთი ანეგდოტი: **«ციყვმა ტყეში ნახა უპატრონოდ დაგდებული არღანი. იცის, არღანი სასიამოვნო ხმას გამოსცემს, მიახტა და სახელურს და ენერგიულად დაატრიალა, მაგრამ, ჰოი, საოცრებავ! საშინელი ხრიალი გადმოიფრქვა, ყურის წამღები და დამთრგუნველი. ციყვი არ ეშვება და სახელურს ატრიალებს და ატრიალებს. ხმაურით შეწუხებული მტრედი მიფრინდა ციყვთან და ურჩია: თავი დაანებე, რასაც აკეთებ, უმეცრებააო. არ დაუჯერა ციყვმა, სახელური ატრიალა და ატრიალა, იმ იმედით, რომ ბოლოს და ბოლოს სასურველ მელოდიას გავიგონებო... მაშინ მტრედმა შესძახა: შეჩერდი, ბრიყვო, ვერ ამჩნევ, სახელურს უკუღმა ატრიალებო?!».**

მახსოვს, ნაომარი უფროსი თაობის წარმომადგენლები მიყვებოდნენ, გერმანიასთან სისხლისმღვრელი ომის მიუხედავად, თავში არავის მოსვლია სისულელე, რომ საბჭოთა სკოლებში ოდნავ მაინც შეეზღუდათ გერმანული ენის სწავლებაო.

არ ვარ პოლიტიკოსი და ამ საქმეში დილეტანტი გახლავარ. არც რუსეთში მიცხოვრია და არც არავინ მყავს ახლობელთაგან იქ, მაგრამ როგორც მოქალაქეს, მაწვალებს ფიქრი: საზოგადოებისთვის მეტად საჭირო რუსული ენა რად უნდა შეიზღუდოს?

ხალხნო, ჩვენ რა ეშმაკი გვეცა? ერთი კაცის, თუნდაც ერთი პარტიის ახირების გამო, მართლმადიდებელი ქვეყნის ენას ტაბუ უნდა დაუწესდეს? გონიერმა ერმა არ უნდა დაუშვას სიბრიყვე, რადგან წინ, გვერდი-გვერდ ცხოვრების საუკუნოვანი გზა გვიძევს.

ხელისუფლებამ ერის სახელით ნარის გლეჯა უნდა შეწყვიტოს. თვალი არ უნდა დახუჭოს იმაზე, რომ ქართველთა დიდი არმია ცხოვრობს და მუშაობს რუსეთში. იქიდან შემოსული ფულები ამსუბუქებს ჩვენს დუხჭირ ყოფას. იქ, ქართველ ხელოვნების მოღვაწეებს ვარსკვლავებს უხსნიან, უმაღლეს პრემიებს ანიჭებენ, თანამდებობებს უთმობენ. ქართული დიასპორა ელოდება ჟამს, როცა დათბება ურთიერთობა უახლოეს მეზობელთან. მათ იციან, სულიერი და კულტურული თანამშრომლობის კრიზისი ახალი დროის მსხვერპლია.

მჯერა, ქართველთა გონიერება გადასწონის და სკოლებში რეფორმის სახელით გაუგებარი და მიუღებელი ქმედებები გამოსწორდება. პოლიტიკა არ ითამაშებს გადამწყვეტ როლს ორი ქვეყნის ეროვნულ ღირებულებებში. ისტორიული კანონზომიერება არ შეეწირება ხელოვნურად დაგებულ ხაფანგს.

ინგლისური ენის საჭიროებაზე არავინ დავობს, მაგრამ იმით გამართლება, რომ ის საერთაშორისო საურთიერთო ენაა და ქედი მოვიხაროთ, მიზანშეუწონელია.

ესაა ოკეანისგადმელთა მზაკვრული ხერხი და საშუალება, ამით განახორციელოს მსოფლიო გლობალიზება-გაერთიანების დოქტრინა, მიზნის მისაღწევად ენობრივ აგრესიას არ ერიდება.

დედაენასთან ერთად პირველი კლასიდან ინგლისურის სწავლების შემოღება მომავალში გვიქადის იმას, რაც 60 ქვეყანაში მოხდა. იმ საშინელების გააზრებაც მზარავს. მისი გაფიქრებაც კი არ მინდა, რომ დედა-ენა შეილახება. დახეთ, რა ცბიერება მოიფიქრა ხელისუფლებამ: მასწავლებლებს, რომლებიც ინგლისურს ისწავლიან, ხელფასზე დანამატი ექნებათ, უცხოეთიდან ინგლისურენოვანი პედაგოგები ჩამოჰყავთ... ერთი სიტყვით, ყოველი მხრიდან უტევენ დედაენას, სარეკლამო წარწერებიდან, ტელეგადაცემებიდან, პრესის ფურცლებიდან. ეს ყოველივე კი ქმნის რეალურ საფრთხეს.

ხელისუფლებამ, აშშ-ის მიბაძვით, ყველა რელიგია თანაბარ მდგომარეობაში ჩააყენა, რატომ არ შეიძლება ენების შესწავლისადმი თავისუფალი მიდგომა დაკანონდეს? ან რატომ უნდა ისწავლებოდეს ინგლისური მშობლიურ ენასთან ერთად პირველი კლასიდან და რუსული მხოლოდ მე-7 კლასიდან? სად არის აქ სამართლიანობა და დემოკრატიულობა დაცული? სკოლა ბინძური პოლიტიკის ნაწილად არ უნდა ვაქციოთ.

**ბორის დავითაია,**
**მწერალი,**
**აკ. წერეთლის სახელობის**
**პრემიის ლაურეატი**



# პოეზიის კუთხე

## რაულ ჩილაჩავა

### ძველი აბასთუმანი

ჩამოვიდოდა ზუგდიდიდან ეტლით ანდრია,
შემდგომ ქალაქთა სატახტოთა სხვათა და სხვათა,
შენს დანახვაზე დასცდენოდათ ბაგეებს რათა:
"ჩემო პატარა სამოთხეო, ჩემო ფლანდრია!"
შენს წიაღებში "მამელუკის" უკვდავი კვანძი
ინასკვებოდა... სისხლისფერად დუღდა მელანი,
როს ძმადნაფიცი ყმაწვილები პირტიტველანი
ეწირებოდნენ დაუნდობელ დროსა და მანძილს.
შენ აგცდა რისხვა ქართველების გადამჯეგეთა,
თუმცა ავდრებმა შენს თავზედაც გადაიგრგვინეს,
და ვით პატარძალს საქორწილო მწვანე გვირგვინი,
ტყეთა ჩრდილებით დაყურსული გშვენის ჯეგეთა.
გაჩენის დღიდან ქვეყანაზე რაც მინატრია,
სხვა არაფერი არ ყოფილა შენი მზის გარდა
და ახლა უკვე მე ვჩურჩულებ იმ აღთქმულ კართან:
"ჩემო პატარა სამოთხეო, ჩემო ფლანდრია!"

## რამაზ კუპრა

### ისერუ, თანდუ

ისერუ, თანდუ, ისერუ, თანდუ,
ამარ ხოლოს რე გვარგვალა მართუ...
ღიაბი მართუ, გური მიკმართუ,
თიშენი ნამდა ბოშ ეფი მარდუ...

### კუჩხა

მოსისმარუდ მაფა ტყაში,
ხეს უკებუდ ცურუ მწვანე,
თელ სერ ნორჩალს მითიფრუნდი,
ძიუ დო ღურათ გყვოთანე...

### გიჟე ჭგიმა

ზღუა – სარკეცალო გოსისანდელი,
ვექანც, ისვანჯ, მა გითვოხექი
პალმეფიშ ოროს...
სოდგარენ გიტყვაც გოგურგინუ
დო უკულ ზღუაშე გიმწოჭოფ დუდი
ჯანჯუხაშ წვანდემქ ვეთვალენ თისხიქ...
ბრელ რულაიათ გეყუნს ტროტუარს,
ბრელქ ხოლო დუდი გემთიღ კაფეშა...
მიდგა ატყობუ ამდღანერ ჭვემას,
თისი ვაგინი: ჭვემა თეცალი
ვამურს კინე დო ვედიშოლუ,
გიჟე ჭვემათ ანწიან წიმი...

### გუგდიდარემს

ჯიმალეფი, ოცქვაფური
თქვანი ბრელი მოკო ბჭარე,
გოიმორძგვანი, შურ დო გურით,
კოჩანიერ ზუგდიდარეფს...
ცირეფს ლერსის ქუგოილუანთ,
გოპირელს დო გაპირალეფს...

### თოლიი ნახანტა

დემუნუ დო გჰოტყვაც, გოვალ,
გოგურგინუ დემიცალო,
უკულ ჟი – ცას ქიმკაჭაბუ
ვალქ-ღირაკილ გვერიცალო...

* * *

გური გოზიორილ მაფუ,
შურქ გინმართუ ყინი თირო,
სი გემინწყი, ჩქიმ ღორონთი,
თენა თაშ იყინო ირო?..

## სპორტული კუთხე მიჰყავს ჟურნალისტ გიორგი ჯალაღანიას

# მურთაზ ხურცილავა

### (გთავაზობთ წერილს (ნაწყვეტებს) ბატონ არჩილ გოგელიას წიგნიდან "ასეთია სპორტული ცხოვრება")

თბილისის **"დინამოს"** მაისური... ძალზე ხშირად ვამბობთ და ვწერთ ამ სიტყვებს. თუ რა ძვირფასია ეს სიტყვები, ამას მოწმობს მურთაზ ხურცილავას ნაამბობი:

ჩემთვის ქვეყნად არსებობს მხოლოდ ერთი **"დინამო"** და, შესაბამისად, **"დინამოს"** ერთადერთი მაისური. ეს განსაკუთრებით ვიგრძენი მაშინ, როცა გუნდიდან წავედი და ქუთაისის **"ტორპედოში"** დავიწყე თამაში. მატჩის წინ ჩვეულებრივ სარკეში ვიხედები ხოლმე. ვერ წარმოიდგენთ, რა გრძნობა შემომენთო, როცა სხვა კლუბის მაისურში დავინახე ჩემი თავი. ამას ქუთაისელთა საწყენად როდი ვამბობ. **"დინამო"** სულ სხვა გუნდი იყო ჩემთვის, ერთადერთი სიყვარული, ერთადერთი კოლექტივი, რომელშიც თავს ისე ვგრძნობდი, როგორც საკუთარ ოჯახში. ღმერთმა დამიფაროს, ვინმეს შეურაცხყოფა მივაყენო და, მით უმეტეს, სტუმართმოყვარე ქუთაისელებს, მაგრამ ვფიქრობ, ისინიც და სხვებიც სწორად გამიგებენ. თხუთმეტი წლის მანძილზე მეცვა დინამოელთა მაისური...

მურთაზ ხურცილავასთვის **"დინამოს"** მაისური იმაზე მეტს ნიშნავდა, ვიდრე მითხრა. ეს იყო მისთვის საოცნებო გუნდის თავისებური დროშაც და ემბლემაც, ერთგვარი რელიქვიაც, რომელთანაც დაკავშირებულია საბჭოთა კავშირისა და, როგორც შემდეგ გაირკვა, ევროპის ერთ-ერთი უძლიერესი კლუბის საინტერესო ისტორია. მან, ბანძელმა ყმაწვილმა, ბევრჯერ ითამაშა **"დინამოში"**, ბევრჯერ ჩაიცვა სახელოვანი კლუბის მაისური, ვიდრე **"დინამოს"** შემადგენლობაში ჩაირიცხებოდა. ეს იყო მის წარმოდგენაში. ფანტაზია მას უხატავდა ლეგენდარული გუნდისა და ლეგენდარულ ფეხბურთელთა სახეებს. ახლოდან ეს სახეები კი არ გაფერმკრთალდა, არამედ პირიქით, ახალგაზრდა დამწყებ ფეხბურთელში საოცარი ენთუზიაზმი და მონდომება წარმოშვა.

მაგრამ მანამდე, თბილისის **"დინამომდე"**, იყო უცნობი მურთაზ ხურცილავა, ჩვენთვის, ფეხბურთის გულშემატკივრებისთვის, რასაკვირველია.

– ბანძაში ვთამაშობდი ველურ ფეხბურთს. მერე ამიყვანეს გეგეჭკორის **"სალხინოში"**. ხან ნახევარდაცვაში მაყენებდნენ, ხან თავდასხმაში. მაშინ მეცხრე კლასში ვიყავი. **"სალხინო"** ზუგდიდის **"დინამოს"** ეთამაშებოდა საქართველოს თასზე. ამ თამაშს უყურებდა დავით ცომაია. ეტყობა, მისი ინფორმაციის შემდეგ ერთი კვირაც არ გასულა, დამიძახეს სოხუმში, სადაც ანდრო ჟორდანია ხალხს არჩევდა **"დინამოსათვის"**. ამ შეკრებაზე, სხვათა შორის, ჩემთან ერთად იყვნენ გიორგი სიჭინავა, გურამ პეტრიაშვილი, როინ კვასხვაძე... ესენი მახსოვს. გადაჭრით არაფერი უთქვამთ ჩემთვის, მაგრამ გასინჯვის შემდეგ მითხრეს, გამოგიძახებთო. 1960 წელს მოსწავლეთა საკავშირო სპარტაკიადაზე ამიყვანეს საქართველოს ნაკრებში, რომლის მწვრთნელი იყო ნიაზ ძიაფშიპა. მაშინ პირველად ვიგრძენი ნამდვილი მწვრთნელის ხელი. მანამდე როგორც მინდოდა ისე ვთამაშობდი. მოსწავლეთა ნაკრებში ნახევარმცველი ვიყავი. მოხდა ისე, რომ ჩვენი ცენტრალური მცველი დაიმტვრა. ძიაფშიპამ იკითხა, რომელი შეცვლითო. თავი არავინ გამოიდო და ბოლოს მე ვიკისრე დაშავებული ამხანაგის შეცვლა. ასე ინება განგებამ ჩემი ცენტრალურ მცველად დაყენება და მას შემდეგ სულ ამ ადგილზე ვთამაშობდი. იმ მატჩის შემდეგ ნიაზმა შემაქო, რჩევა-დარიგებაც მომცა. გუშინდელ დღესავით მახსოვს. მერე მალე მიმიწვიეს საკავშირო ჭაბუკთა ნაკრებშიც...

...1961 წელს, დაპირებისამებრ, გამომიძახეს გაგრაში, სადაც **"დინამო"** ახალი სეზონისათვის ემზადებოდა. ჩემი ჩასვლა თბილისისა და მოსკოვის დინამოელთა საკონტროლო მატჩს დაემთხვა. ანდრო ჟორდანიამ სათადარიგო შემადგენლობაში შემიყვანა. ძალიან ცუდი ამინდი იყო, გადაუღებლად წვიმდა. ავტობუსში ვისხედით და იქიდან ვუყურებდით შეხვედრას. შესვენებაზე ჟორდანიამ გაარჩია თამაში. მეც ყურდაცქვეტილი ვუსმენდი. ერთბაშად მომიბრუნდა და მკითხა: ხომ არ გეშინიაო. ჩემთვის ჩუმად ჩავილაპარაკე: რისი უნდა მეშინოდეს-მეთქი. თუ არ გეშინია, ახლა ითამაშებო. თან არავითარი რჩევა არ მოუცია. ერთი კი მითხრა – მარჯვენა მცველად დადექიო.

ძალიან გამეხარდა. ჩემთვის მთავარი ის იყო, რომ **"დინამოს"** მაისური ჩავიცვი. მიჭირდა დაჯერება, რომ მოედანზე გავედი შოთა იამანიძესთან, ზაურ კალოევთან, მიხეილ მესხთან, ვლადიმერ ბარქაიასთან და სხვა ფეხბურთელებთან ერთად. მხოლოდ თამაშის დაწყებიდან რამდენიმე წუთის შემდეგ მოვედი გონს. თამაშის შემდეგ ქებაში ძუნწმა ჟორდანიამ მითხრა: **"დიავოლ! ასე თუ გააგრძელე თამაში, ვფიქრობ რაღაცას მიაღწევ!"**

მურთაზ ხურცილავა ძალიან სწრაფად და იოლად მოერგო არა მხოლოდ თბილისის **"დინამოს"**, არამედ სხვადასხვა ყალიბის ნაკრებ გუნდებსაც. მალე მან საბჭოთა კავშირის ნაკრების მაისურიც მოირგო.

სხვათა შორის, მურთაზ ხურცილავა ერთადერთი ქართველი ფეხბურთელია, რომელსაც მსოფლიო ჩემპიონატის ბრინჯაოს მედალი აქვს მოპოვებული.

– 1965 წლის მიწურულს ბრაზილიაში პელეს წინააღმდეგ ვითამაშე. მოედანზე მეორე ტაიმის მეათე წუთზე გამომიყვანეს. პირველ ტაიმს ჩვენი ნაკრები აგებდა 2:0. მატჩი კი დამთავრდა 2:2. არ ვიცი, როგორ ვითამაშე, მაგრამ მეორე ტაიმში ჩვენს კარში ბურთი რომ არ გასულა, ეს არ გახლდათ ურიგო შედეგი.

ხურცილავა იყო იმედი გუნდისა და მაყურებლისა. მოედანზე მისი ყოფნაც კი სასიკეთოდ მოქმედებდა კოლექტივზე. არავის დაუჩაგრავს იგი თამაშის კლასით. ხურცილავა არავის უნახავს ინერტული, დოინჯშემოყრილი, პასიური. მნიშვნელობა არ ჰქონდა, კარგად იყო თუ შეუძლოდ გრძნობდა თავს, მინდორზე იყო მუდამ ერთნაირი მონდომებით, ერთნაირი ენთუზიაზმით თამაშობდა. ასე იყო, მაგალითად, ბრაზილიასთან მატჩის მესამე დღეს, როცა მურთაზი მოსკოვში დარაჯად დაუყენეს ედუარდ სტრელცოვს.

– თამაშმა დაადასტურა, რომ ეს იყო მართლაც ძალიან ძლიერი ფეხბურთელი, თუმცა, იმ დღეს ბევრი ვერაფერი გააკეთა. შეხვედრა დამთავრდა ფრედ. კარგი თამაში გამომივიდა. სწორედ იმ დღიდან ჩავირიცხე საბჭოთა კავშირის ნაკრებში...

ნიჭიერი ფეხბურთელის კარიერა დრამატულად დასრულდა. სრული საფუძველი გვაქვს ვიფიქროთ, რომ იგი გახდა საფეხბურთო ინტრიგების მსხვერპლი. ფეხბურთელი, რომლის მომრევიც მწვანე მინდორზე არავინ იყო, სუბიექტური კოლიზიების ლაბირინთში დაიბნა. ბევრი მომხრე განუდგა მას იმ დროს, როცა განსაკუთრებით სჭირდებოდა მხარის დაჭერა.

ხურცილავას დრამა მარტო მისი დრამა არ ყოფილა. ის იყო მთელი ჩვენი ფეხბურთის დრამა, რომელიც მწვავედ განიცადეს ჭეშმარიტმა გულშემატკივრებმა. მას შეეძლო დარჩენილიყო გუნდში, მაგრამ თავისი ნებაყოფლობითი წასვლით კვლავ სამსახური გაუწია ფეხბურთს და ჩააქრო კონფლიქტის კერა.

**"დინამო"** მისთვის საყვარელ გუნდად დარჩა, როგორიც ოდესღაც მეოცნებე ბანძელი ყმაწვილისთვის იყო. არა მგონია, ამჟამად ქართულ ფეხბურთს მურთაზ ხურცილავაზე დიდი გულშემატკივარი ჰყავდეს.

## იუმორი

**პოლიციელები კარზე აკაკუნებენ. ნარკომანი ძლივს აღებს კარებს.**

**– თქვენს კარებთან გვამია, ვინ მოკლა?**

**– ა, ეს უკვე მკვდარი მოვიდა!**

* * *

**სარა:**

**– აბრამ, როგორ გატეხე ახალი სკამი და გააფუჭე ახალი ჭაღი. პირდაპირ გული მისკდება. ნუთუ არ შეგეძლო სხვაგან ჩამოგეხრჩო თავი?**

* * *

**ზანგმა ოპერაციის შემდეგ მოიწყინა.**

**– რა მოხდა, ოპერაციამ ცუდად ჩაიარა?**

**– არა, კარგად, მაგრამ თეთრი ძაფით გამკერეს.**

* * *

**– ოფიციანტ, რა კოშმარია! მე არ ვისადილებ იქ, სადაც პორნოგრაფია მეფობს!**

**– სად ხედავთ აქ პორნოგრაფიას?**

**– შეხედეთ, ჩემს წვნიანში ორი ბუზი რა დღეშია!?**

* * *

**ჭიჭიკია, ვის "ბალელშჩიკობ"?**

**– ყვითლებს.**

**– მაგენი ვინ არიან?**

**– რა ვიცი, "პროსტო" ფერი მევასება, სიმონ!**

* * *

**მოხუცი ქალი ცოცხს ყიდულობს, როგორც იქნა აირჩია. გამყიდველი ეკითხება:**

**– შეგიხვიოთ თუ ზედ მოაჯდებით?**

## ალექსანდრე ანქვაბი მსო-ზე შეთანხმების თაობაზე

**„აფსნიპრესის"** ცნობით, აფხაზეთის პრეზიდენტმა ალექსანდრე ანქვაბმა დიდი მნიშვნელობა არ მიანიჭა რეგიონის ოპოზიციური ჯგუფების მიერ მსო-ზე რუსეთ-საქართველოს შეთანხმებასთან დაკავშირებით გამოთქმულ შეშფოთებას და განაცხადა, რომ ეს შეთანხმება სოხუმისთვის რაიმე რისკს არ შეიცავს.

**„მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციაში გაწევრება მნიშვნელოვანია რუსეთისთვის, რომელიც ჩვენი სტრატეგიული მოკავშირეა. და რა უნდა გავაკეთოთ ამ შემთხვევაში? თავზე ნაცარი დავიყაროთ? ამის საფუძველი არ არსებობს. შიშები აქ ზედმეტია და, მითუმეტეს, ფობიები. და დამიჯერეთ, ჩვენ არაფერს არ გავაკეთებთ ისეთს, რაც ზიანს მიაყენებს აფხაზეთს",** – განაცხადა ანქვაბმა.

მისი თქმით, არსებობს საკითხები, რომლებიც წყნარად უნდა მოგვარდეს, ზედმეტი საჯაროობის გარეშე. **„ჩვენ ყოველთვის ვიცავთ აფხაზეთის ინტერესებს. შესაძლოა, ვინმეს უნდა, რომ ხმამაღლა და ხმაურიანად ავლაპარაკდეთ რაღაცის წინააღმდეგ, მაგრამ ეს არ იქნება სწორი. აფხაზეთისთვის რაიმე რისკები არ არსებობს",** – განაცხადა ანქვაბმა.

მისი თქმით, რუსეთსა და აფხაზეთს შორის ვაჭრობის მოცულობის შესახებ მონაცემები საჯაროა და **„ეს ვინმესთვის რაიმე სტრატეგიულ ინტერესს არ წარმოადგენს".**

**„თუ ის გვაღელვებს, რომ რუსულ მხარეზე ტვირთებზე ელექტრონული მონაცემები, ჩიპები მიმაგრდება, ვინ თქვა, რომ ეს ყველაფერი აფხაზურ მხარეზეც იმუშავებს? ჩვენთან ამაზე არავინ შეთანხმებულა. ვინ თქვა, რომ ჩვენი გავლით ტვირთები სადღაც წავა? ამაზე არავინ შეთანხმებულა ჩვენთან. ჩვენ იმაზე ვსაუბრობთ, რომ ვერანაირი დამკვირვებლები, რომლებიც იქ მონიტორინგს განახორციელებენ, ვერ გამოჰყვებიან ტვირთებს ჩვენს მხარეზე. ჩვენ არავის არ შემოვუშვებთ და ჩვენი თანხმობის გარეშე ვერანაირი ტვირთი ვერსად ვერ წავა",** – განაცხადა ანქვაბმა.

მისი თქმით, ის ფაქტი, რომ აფხაზეთი საერთოდ არ არის ნახსენები რუსეთ-საქართველოს ორმხრივ შეთანხმებაში, სადაც **„სავაჭრო დერეფნები"** გეოგრაფიული კოორდინატებითაა განსაზღვრული, ვერ შეცვლის ადგილზე არსებულ რეალობას.

**„იმის გამო, რომ ჩვენს ქვეყანას „დერეფანი" უწოდეს, აფხაზეთი არ შეწყვეტს აფხაზეთად ყოფნას; ჩვენი კონსტიტუცია და ჩვენი დამოუკიდებლობა არსად არ წასულა. მოეწერება თუ არა ხელი შეთანხმებას, ჩვენი ამოცანაა, ყველაფერი გავაკეთოთ იმისათვის, რომ არანაირი საერთაშორისო დოკუმენტი არ ლახავდეს ჩვენს სუვერენიტეტს და არ არღვევდეს ჩვენს დამოუკიდებლობას. ამას ნამდვილად არ დავუშვებთ",** – განაცხადა მან.

გავრცელებულ ცალკე ინფორმაციაში **„აფსნიპრესი"** იტყობინება ანქვაბის სიტყვებზე დაყრდნობით, რომ აფხაზეთმა **„საქართველოსთან ვაჭრობის ლეგალიზება უნდა მოახდინოს".** მისი თქმით, იგი მდინარე ენგურზე არსებული საზღვრის გასწვრივ ვაჭრობის საბაჟო ადმინისტრირების მომხრეა.

**„საიდუმლოს არ წარმოადგენს, რომ უამრავი ხილი და ბოსტნეულია მაღაზიებსა და ბაზრებში [აფხაზეთში], რომელიც არალეგალურადაა შემოტანილი ქართულ-აფხაზური საზღვრის გავლით; თუმცა სახელმწიფოს არანაირი შემოსავალი არ აქვს ამ სავაჭრო ბრუნვიდან",** – განაცხადა ანქვაბმა.

## საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ, რუსები კოსმოსში ქალს პირველად უშვებენ

საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ, პირველად კოსმოსში კვლავ ქალი გაფრინდება. რუსი კოსმონავტი, ელენა სეროვა ორბიტაზე 2014 წელს გაემგზავრება და საერთაშორისო კოსმოსურ სადგურზე გრძელვადიან მისიას შეუერთდება. ის და მისი კოლეგა დიმიტრი კონდრატიევი, სადგურზე სხვა ასტრონავტებს ჩაანაცვლებენ.

ეს გადაწყვეტილება ახლახან როსკოსმოსისა და ნასას ერთობლივი კომისიის სხდომაზე მიიღეს. საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ, კოსმოსში დღემდე არცერთი ქალი აღარ გაფრენილა.

რაც შეეხება მსოფლიოს პირველ კოსმონავტ ქალს, ვალენტინა ტერეშკოვას, ის დღეს 74 წლისაა და ახლახან რუსეთის დუმაში დეპუტატის მანდატიც მოიპოვა.

**„ედიანაია როსიას"** რეგიონული საარჩევნო სიის პირველმა ნომერმა, იაროსლავის გუბერნატორმა, სერგეი ვახრუკოვმა დეპუტატობაზე უარი თქვა. შედეგად, მისთვის განკუთვნილი მანდატი სიის მეორე ნომერს, ვალენტინა ტერეშკოვას ერგო.

ISSN 1987-8966 ილორი
9771987896009
ავტორებს ეკისრებათ პასუხისმგებლობა წაკითხულისა და მონაცემების სიზუსტეზე

რედაქციის მისამართი: თბილისი, ბაქრაძის ქუჩა №6 მე-4 სართული სარეგ. №01018002930
234-32-95

მთავარი რედაქტორი: როლანდ ჯალაღანია
სარედაქციო საბჭო: ზაურ გახარია, თემურ ქორიძე, თენგიზ კუბლაშვილი, კლიმენტი შელია, გივი სომხიშვილი, ანზორ შონია, გიორგი სიჭინავა, ნუგზარ სალაყაია (გალი)
ტექნიკური რედაქტორი: მიხეილ ჩოდრიშვილი
გაზეთის მენეჯერი: ზურაბ ქობალია 599-34-37-27

გაზეთ "ილორის" გაცნობა შეგიძლიათ "საქინფორმის" ვებგვერდზე WWW.saqinform.ge